Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

UN WOMEN

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა პროექტის ფარგლებში — „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით ახორციელებს. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან/და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მოსაზრებებს

პროექტის ხელმძღვანელი: ..... **თამარ ჭოხონელიძე**
ავტორები: ..... **თეა ქართველიშვილი, თემო ჯოჯუა**
დიზაინი და დაკაბადონება: ..... **მაია ძიძიგური**

ISBN 978-9941-8-7374-4

წიგნში „ქალის სტატუსი საქართველოში (XII-XVIII სს.)“ წარმოდგენილია ქალის უფლებები და მოვალეობები საკანონმდებლო კრებულებისა და იურიდიული ხასიათის ისტორიული საბუთების ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში განხილულია ქალის სტატუსი სახელმწიფო სამსახურში, სამართალწარმოების პროცესში და ოჯახში, ამასთანავე ქალთა ფინანსური რესურსები.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქალის სტატუსი საქართველოში (XII-XVIII სს.)

თეა ქართველიშვილი
თემო ჯოჯუა

თბილისი
2024

წინასიტყვაობა 05

თემო ჯოჯუა

ქალი შუა საუკუნეების საქართველოში 07
(ქალი და სახელმწიფო სამსახური; ქალი, როგორც ქონების მესაკუთრე),

ქალი მეფე 09

დედოფალი 42

ქალი ფეოდალი 58

თეა ქართველიშვილი

ქალის სტატუსი სამართალწარმოების პროცესში, საპროცესო სამართლებრივი უფლებები 66

ქალი ოჯახში — ქორწინება 92

განქორწინება 104

ქვრივი ქალის უფლებები 114

წინასიტყვაობა

ქალის მდგომარეობა და სტატუსი შუა საუკუნეების საქართველოში გენდერული თანასწორობის თემის კვლევის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში ქალის უფლებები და მოვალეობები ყველაზე მკაფიოდ იმ პერიოდის შესახებ სამართლის ძეგლებშია ასახული, სადაც, როგორც საკანონმდებლო კრებულები, ასევე იურიდიული ხასიათის ისტორიული საბუთები ერთიანდება. გარდა უშუალოდ ნორმატიული აქტებისა, ამ ძეგლებში ასევე, შესულია სამართლის ყველა დარგი, რომელიც რელიეფურად წარმოაჩენს შუა საუკუნეების საქართველოში დაკანონებულ ამა თუ იმ იურიდიულ ნორმას. ამასთან, ისინი, საკანონმდებლო ნორმებთან შედარებით, ცხოვრებაში დამკვიდრებული სამართლებრივი ნორმების გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს.

შუა საუკუნეების წყაროები, ძირითადად, არისტოკრატი ქალების შესახებ მოგვითხრობს, თუმცა დოკუმენტური წყაროების სიმრავლიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მასში მაღალი ფენის წარმომადგენელი ქალების უფლებების გარდა, დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ქალების უფლებებიც არის გადმოცემული.

როგორც ქვემოთ იხილავთ, შუა საუკუნეების საქართველოში ქალები აქტიურად იყვნენ ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვის საქმეებში. წინამდებარე ნაშრომში ქალი მეფეების, დედოფლების და ქალი ფეოდალების მოღვაწეობას განვიხილავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალის სტატუსი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მის ქონებრივ შესაძლებლობებზე. იგი პირად ქონებას სხვადასხვა სახით და გზით იღებდა და შესაბამისად, მისი განკარგვის თავისუფლებაც ჰქონდა.

ამასთან, ქალის სტატუსი მკაფიოდ იკვეთება საპროცესო სამართლებრივ უფლებებში; კერძოდ, კი რამდენად ჰქონდა მას მართლმსაჯულების განხორციელების უფლება, შეეძლო თუ არა ყოფილიყო მოსარჩლე, მოწმე ან ფიცის დამდები.

ყველაზე სრულყოფილად კი ქალის უფლებები და მოვალეობები საქორწინო სამართალში ჩანს. ქორწინება-განქორწინების საკითხი ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენას ეხებოდა და მისი ნორმების დადგენა, ძირითადად, საეკლესიო სჯულმდებლობით ხდებოდა.

მოცემული ნაშრომი ოთხი ძირითადი თავისგან შედგება:
1. ქალი და სახელმწიფო სამსახური; 2. ქალი, როგორც ქონების მესაკუთრე; 3. ქალის სტატუსი სამართალწარმოების პროცესში, საპროცესო სამართლებრივი უფლებები; 4. ქალის სტატუსი ოჯახში.

კვლევა დამყარებულია სამართლის კრებულებსა და ისტორიულ დოკუმენტებში დაცული მასალის ანალიზზე, რაც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმ იურიდიული რეგულაციების განსასაზღვრავად, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობას, უფლებებსა და მოვალეობას აწესრიგებდა.

ქალის სტატუსი საქართველოში

(XII-XVIII სს.)

ქალი შუა საუკუნეების საქართველოში

ქალი და სახელმწიფო სამსახური; ქალი, როგორც ქონების მესაკუთრე

ქართული ისტორიული დოკუმენტები ქალების, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებისა და ქონების მესაკუთრეთა შესახებ მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ამ ინფორმაციის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი აჩვენებს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, დიპლომატიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში ჩართული ქალები, მათი იურიდიული სტატუსისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ძირითადად, სამ ჯგუფად იყოფოდნენ. ესენი იყვნენ:

1. ქალი მეფეები — სახელმწიფოს პირველი პირები და ქვეყნის უზენაესი ხელისუფლები.

2. დედოფლები — სამეფო ოჯახის წევრები: მეფეთა დედები, დები, ცოლები ან ასულები.

3. ქალი ფეოდალები — არისტოკრატული ოჯახის წევრები: ფეოდალთა დედები, დები, ცოლები ან ასულები.

იმისათვის, რათა მეტნაკლებად სრულყოფილი სახით აღვადგინოთ შუა საუკუნეების საქართველოში ქალების, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებისა და ქონების მესაკუთრეთა პორტრეტები, დაწვრილებით განვიხილავთ ხუთ ისტორიულ დოკუმენტს, რომელთაგან პირველი ორი დოკუმენტი ქალი მეფის, მომდევნო ორი დოკუმენტი დედოფლის, ხოლო ბოლო, მეხუთე დოკუმენტი ქალი ფეოდალის მიერ არის გაცემული.

ქალი მეფე

საქართველოს ისტორია სულ ორ ქალ მეფეს იცნობს. ესენი არიან: 1. მეფე თამარი (1184-1210 წწ.); და 2. მეფე რუსუდანი (1223-1245 წწ.). სამწუხაროდ, რუსუდანის მიერ გაცემული დოკუმენტები ჩვენამდე მოღწეული არ არის. რაც შეეხება თამარის მიერ გაცემულ დოკუმენტებს, მათგან დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ორი დოკუმენტი: 1. 1187-1188 წლების სიგელი გელათის მონასტრისადმი; და 2. 1195-1196 წლების სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ორივე ამ სიგელს.

1. მეფე თამარის 1187-1188 წლების სიგელი გელათის მონასტრისადმი.

თამარის სიგელი XII-XIII საუკუნეების ქართული სამეფო სიგელებისათვის ტრადიციული ფრაზით „სახელითა ღმრთისაითა“ იწყება. ამის შემდეგ თამარი, როგორც დოკუმენტის გამცემი სუბიექტი, ასახელებს თავის ვინაობას, უფრო ზუსტად კი, მიუთითებს სახელს, საგვარეულო კუთვნილებასა და იურიდიულ სტატუსს:

„...მე, თამარ ბაგრატიონსამან, ნებითა ღმერთისაითა ავხაზთა და ჯერეთელთა, ერანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და ერეოვლომან, შერვანშა და შაქანშა და ყოველსა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან...“.

სიგელის ციტირებულ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თამარის იურიდიული სტატუსი, რომელიც ვრცელი სამეფო ტიტულატურის სახით არის გადმოცემული. თავად ტიტულატურა, შინაარსობლივად, ორ ნაწილად იყოფა:

ა) თამარის ტიტულატურის პირველ ნაწილს შეადგენს შვიდი სამეფო ტიტული, რომლებსაც თავის დროზე შვიდი სხვადასხვა სახელმწიფოს მონარქები ატარებდნენ. ეს ტიტულებია:

• მეფე აფხაზთა — ტიტული, რომელსაც VIII საუკუნის დასასრულს დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული აფხაზთა სამეფოს ხელმწიფეები ფლობდნენ (ტიტული პირველად მიიღო ლეონ II-ემ (767-811 წწ.)).
• მეფე ქართველთა — ტიტული, რომელსაც IX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაარსებული ქართველთა სამეფოს მონარქები ატარებდნენ (ტიტული პირველად მიიღო ადარნასე II-ემ (888-923 წწ.)).
• მეფე რანთა — ტიტული, რომელსაც IX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი რანის (ჰერეთის) სამეფოს ხელმწიფეები ფლობდნენ (ტიტული პირველად მიიღო გრიგოლ ჰამამმა (893-997 წწ.)).
• მეფე კახთა — ტიტული, რომელსაც XI საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს მონარქები, რანთა მეფის ტიტულთან შეწყვილებით, ატარებდნენ (ტიტული პირველად მიიღო კვირიკე III დიდმა (1010-1037 წწ.)).
• მეფე სომეხთა — ტიტული, რომელსაც X საუკუნის II ნახევარში სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში დაარსებული ტაშირ-ძორაგეტის სომეხთა სამეფოს ხელმწიფეები ფლობდნენ (ტიტული პირველად მიიღო გურგენმა (978-989 წწ.)).
• შარვანის შაჰი — ტიტული, რომელსაც IX საუკუნეში აღ-მოსავლეთ კავკასიაში შექმნილი შარვანის სახელმწიფოს მონარქები ატარებდნენ (ტიტული პირველად მიიღო ჰაისამმა (861-880 წწ.)).
• შაჰან შაჰი — ტიტული, რომელსაც IX საუკუნეში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე დაარსებული ანისის სამეფოს ხელმწიფეები ფლობდნენ (ტიტული პირველად მიიღო აშოტ I-მა (885-891 წწ.)).
საინტერესოა, რომ თამარის სამეფო ტიტულატურის პირველი ნაწილი ზუსტად ასახავს ისტორიულ რეალიებს და გვაუწყებს, რომ თამარის სახელმწიფო ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი სახელმწიფოს გაერთიანების შედეგად შეიქმნა, თავად თამარი კი ამ შვიდი სახელმწიფოს სათავეში მდგომი მონარქების კანონიერი მემკვიდრე იყო.

ბ) თამარის სამეფო ტიტულატურის მეორე ნაწილს მიეკუთვნება ფრაზა „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით-მფლობელი“. ტიტულატურის ეს ნაწილი, პირველი ნაწილისაგან



განსხვავებით, უფრო ზოგადი ხასიათისაა და გვამცნობს, რომ თამარი დომინანტი მონარქის სახით სათავეში ედგა ვრცელ გეოპოლიტიკურ არეალს, რომელიც მოიცავდა როგორც „აღმოსავლეთს“ ე.ი. წინა აზიის ქვეყნებს, ისე „დასავლეთს“, ე.ი. ევროპის ტერიტორიას.

თამარის სამეფო ტიტულატურის მეორე ნაწილზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აქ თამარი უბრალოდ „მფლობელად“ კი არ არის მოხსენიებული, არამედ „თვითმფ-ლობელადაა“ დასახელებული. აშკარაა, რომ ტიტულატურაში ეს სიტყვა საგანგებოდ არის შეტანილი და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თამარი თვითმპყრობელი სუზერენი იყო, მას „აღმოსავლეთსა და დასავლეთზე“ ხელმწიფების უფლება ღმერთის ნებით, მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული და ამ უფლების ლეგიტიმაცია რომელიმე სხვა მონარქის მხრიდან ფორმალურ თუ არაფორმალურ დადასტურებას არ საჭიროებდა.

თუ თამარის სამეფო ტიტულატურას შევადარებთ მისი წინა-მორბედი და მომდევნო ხელმწიფეების, კონკრეტულად კი, საქართველოს მეფეების — გიორგი III-ისა (1157-1184 წწ.) და გიორგი IV ლაშას (1210-1223 წწ.) ტიტულატურას, რომლებიც ამ უკანასკნელთა მიერ გაცემულ დოკუმენტებშია შემორჩენილი, დავრწმუნდებით, რომ სამივე მეფის ტიტულატურა თითქმის იდენტურია:

• გიორგი III-ის მიერ საქართველოს ეკლესიისათვის მიცემული 1177-1178 წლების სიგელი: „...გიორგისაგან, ბაგრატუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშაი და შაჰანშაი და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“.
• თამარის 1187-1188 წლების სიგელი გელათის მონასტრისადმი: „...თამარ ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან...“.
• გიორგი ლაშას მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემული 1211-1212 წლების სიგელი: „...გიორგი ბაგრატუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელისაი“.

იმავდროულად, გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი ლაშას სამეფო ტიტულატურაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ თამარის ტიტულატურას ერთი თავისებურება ახასიათებს: თამარი, გიორგი III-ისა და გიორგი ლაშასაგან განსხვავებით, არა მხოლოდ მეფის ტიტულს, არამედ მეფისა და დედოფლის ტიტულებს ატარებდა.

სრულებით ნათელია, რომ თამარის ტიტულატურის ეს თავისებურება მთლიანად მისი მატარებლის გენდერული კუთვნილებით იყო განპირობებული. მართლაც, თამარი, გიორგი III-ისა და გიორგი ლაშასაგან განსხვავებით, ქალი მეფე იყო და ეს არსებითი გარემოება მის ტიტულატურაში მეფის ტიტულის გვერდით, დამატებით, დედოფლის ტიტულის გაჩენის გზით იყო ასახული.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ თამარი ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ დოკუმენტებში, აგრეთვე, დღეისათვის ცნობილ ყველა სხვა წერილობით წყაროში, ან მეფის ტიტულით ან კიდევ, მეფისა და დედოფლის შეწყვილებული ტიტულებით არის მოხსენიებული. რაც შეეხება თამარის მხოლოდ დედოფლის ტიტულით მოხსენიებას, ასეთი შემთხვევა წერილობით წყაროებში საერთოდ არ გვხვდება.

ამგვარად, ირკვევა, თამარის ტიტულატურის დასახელებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი პოლიტიკური სტატუსის ამსახველ ტიტულს — მეფეს (// მეფეთმეფეს), რომლის ტიტულატურაში შეტანაც სავალდებულო იყო, ხოლო თამარის გენდერული კუთვნილების ამსახველი ტიტული დედოფალი (//დედოფალთდედოფალი) დამატებითი ხასიათის მონაცემად მიიჩნეოდა და მისი ტიტულატურაში შეტანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

დავუბრუნდეთ თამარის სიგელს. თამარი დოკუმენტის მომდევნო ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ სურვილი ჰქონდა, რაიმე სამსახური გაეწია გელათის მონასტრისათვის, რომელიც მისი წინაპარი მეფეების მიერ იყო აგებული.

თამარი გვაუწყებს, რომ მისმა წინაპარმა მეფეებმა გელათის წინაშე მდგომი ყველა საკითხი ჯეროვანი სახით გადაწყვიტეს და მათ მხოლოდ ერთი საკითხი დარჩათ მოუგვარებელი. კერძოდ, გელათის აგების დროიდან არსებობდა განწესება, რომლის თანახმადაც მონასტერს ჰყავდა თორმეტი მწირი, დაახლოებით, ამჟამინდელი მორჩილი, რომლებიც არა საკუთრივ გელათის ტერიტორიაზე, არამედ მისი გალავნის გარეთ ცხოვრობდნენ. ამავე განწესების მიხედვით, მწირებს სამონასტრო ძმობის ყოველდღიურ ტრაპეზზე, ე.ი. პურობაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ და მათ მონასტერში საზრდელის მისაღებად მხოლოდ მაშინ უშვებდნენ, როცა ტრაპეზი სააღაპოდ, ე.ი. ვინმე კერძო შემომწირველისა თუ შემომწირველთა ჯგუფის სულის საოხად იმართებოდა. ამ მიზეზის გამო, გელათის გალავანთან მცხოვრები მწირები შიმშილსა და გაჭირვებაში იმყოფებოდნენ:

„...ვინცა, ჰაოამცა წჩჰსამჩჰოუბლოად მეფობის ბემისად და საოოცვ�ოად მომავლოსა ბემისა, სინაოლოსა იესო ჯჰინლეს წინაშ წჩჰგომისა ჟამსა საოხინებლოად სულსა ბემისა, ბემგონმცა სიჯვლოისა საჯმე ბენილ იყო ომჩოიკ-ბუიჩბუინოსნოა მეფეა, ჰაჰეა ბემოაგონ სჩუოჯნილსა, ფოვლოოუჩი შმკობილსა საფოვლოსა, ბეღასა ომჩოისასა სამკუიჩჩებლოსა — ბიჩსა მონასტეჩსა ბლოაოსა შინა, ჩომლი ანეშნა საოოცვლოად სულსა მაოისად და წჩჰსამჩჰოუბლოად შმეგომად მაოსა მომავლოაა, ცჩხეს მაოსა ზეცა მსხეომოა მეფეა და ჩჩაი იყო ბაკოუბული და გაუგებლი მის მონასტეჩისა საჯმე, ამისგონ კიდე, ჩომლი ანეშნებასაკე მის მონასტეჩისასა ზეცა, ოოჩმეცი მწჩჩი იყო ბაწესებული საონბიოსა გაჩეი და ჩჩაი იყო საზჩიბლო მაოცა, ოუიჩიკ ჩომლი, თუ ვინ გაჩეომონ გაჩიბაკადის ანაჯჩ, მაშინ შუშუნჩონ ცჩაჯებსა და სხუებ ჩჩაი ჭონბა ცჩაჯებისაგონ და ფოვლოოუჩი ულონონი, გაჩეი უცხოისა საზჩიბლოისა მიმლოიბენ, იქიჩვიბეს“.

თამარი სიგელის შემდეგ ფრაგმენტში გადმოგვცემს, რომ დაუშვებლად მიიჩნია, გელათის მონასტრის გალავანთან მცხოვრები თორმეტი მწირი შიმშილსა და გაჭირვებაში დარჩენილიყო და მათი საკითხის გადაწყვეტის მიზნით, გელათს, უფრო ზუსტად კი, „დედასა ღმრთისას“, შეწირა, ე.ი. საკუთრებაში გადასცა, არგვეთის მხარეში, ე.ი. ზემო იმერეთში მდებარე სოფელი ჭორვილა, რომელიც ადრე ვინმე კავაის-ძის ცოლის საკუთრება იყო. თამარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გელათისათვის სოფელ ჭორვილას შეწირვას კონკრეტული პირობა ჰქონდა. ამ პირობის თანახმად, თორმეტივე მწირს, ერთი მხრივ, უნდა მისცემოდა უფლება, რომ მონასტერში გამართულ ყოველდღიურ ტრაპეზს, სამონასტრო ძმობის სხვა წევრების მსგავსად, შეუზღუდავად დასწრებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა დაკისრებოდა ვალდებულება, რომ თამარისათვის ელოცათ:

„ესე ეწყინა მეფობასა ზუენსა, ჰაითან გონწესებულად ზნეს სხუისა ჰკლოთ-შმხლეკარჰობაი, ამისთუის შეესწიე და მოვაკსენ ლეკასა ომჰოთისასა და მუნ შინა დაუსჰულებლად გონზენილსა ლჰაჯებსა ჰაგუეს — ქოჰვილაი, კავაის-ძისა ცოლეული, ჭონლეს ლჰაჯებსა მიუკუნისამლინ და დასხლებთლინ ყოველთვე დაუცალებლად იგი მწიჰნი თოჰმეტნივე ლჰაჯებსა; ვითა მას მონასტერსა შინა მეოვნი ძმანი დასხლებინ, ეგჰევე იგი თოჰმეტი მწიჰი დასხლებთლეს და ჭონლეს ლჰაჯებით ჯუჰი და ულოცვიენ მეფობასა ზემსა, სოფლისა ამას შინა წარმოიყვანისათუის და სიკეთისათუის ღოლიასა და მეჰმესა მას საუკუნესა შესანდობლად ზემდა“.

თამარი სიგელის მომდევნო ფრაგმენტში აზუსტებს, რომ მის მიერ გელათის მონასტრის, უფრო ზუსტად კი, ამ მონასტერში დაბრძანებული „ხახულის ღმრთისმშობლის“, ე.ი. ხახულის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისათვის შეწირული ჭორვილა მოიცავდა არამხოლოდ უშუალოდ სოფელს, ე.ი. სოფელში მცხოვრებ ყმა-გლეხებსა და მათ სამოსახლო მიწის ნაკვეთებს, არამედ, დამატებით, სოფლის კუთვნილ ვრცელ ტერიტორიას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებდა. გარდა ამისა, თამარი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის მიერ გელათისათვის გადაცემული ჭორვილა, მონასტრის კუთვნილი სხვა სოფლების მსგავსად, ყოველგვარი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან გათავისუფლებული იყო:

„ჭორეს სიგელს — ქოხვილი კავაის ძისა �oyuo, წმიდასა ღმრთისმშობელსა ხახულსასა და მუნ შინა კანგელილსა ცხოვრებსა, მთითა, ბარითა, ცეცითა, ველითა, წყლითა, წისქვილითა და ყოველითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, სავმრითა და უკმრითა, მკუიდრად, თავისუფლად და შუამავლად ყოველსა შესავლისა და გამოსავლისაკენ, ვითა თუით სხუანი საჭონელნი მის მონასტერისანი ბზარნი და შუამავლნი სიონ“.

თამარის სიგელის ზემოთ განხილულ სამ ფრაგმენტში რამდენიმე საკითხი იპყრობს ყურადღებას. ქვემოთ ეს საკითხები რიგ-რიგობით იქნება განხილული.

სიგელის ციტირებული ფრაგმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ თამარი გელათის მონასტრისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. ასეთი დამოკიდებულების მიზეზი დოკუმენტში პირდაპირ არის დასახელებული: თამარი გვაუწყებს, რომ გელათი აგებული იყო მისი წინაპარი მეფეების მიერ, ერთი მხრივ, მათი სულისათვის სალოცველად, ხოლო, მეორე მხრივ, მათ შთამომავალ მეფეთა ზეობის წარსამართებლად.

თამარის სიგელის ამ ფრაგმენტის შინაარსის სწორად გაგებისათვის განვმარტავ, რომ გელათის მონასტერი თამარის წინაპარი მეფეების მიერ აგებული რიგითი მონასტერი არ იყო და ის დაარსების დროიდან მოყოლებული ბაგრატიონ ხელმწიფეთა საუკუნო განსასვენებელს, მათ საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. სწორედ გელათში იყვნენ დაკრძალული თამარის წინა სამი თაობის ხელმწიფეები, საქართველოს მეფეები — დავით IV აღმაშენებელი (1089-1125 წწ.), დემეტრე I (1125-1155/1156 წწ.) და გიორგი III. გელათში უნდა დაკრძალულიყვნენ თავად თამარიცა და მისი შთამომავალი ბაგრატიონი მეფეებიც.

ამგვარად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ თამარი გელათის მონასტრის, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულო საძვალისა და თავისი საუკუნო განსასვენებლის, მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა.

თამარის სიგელის ციტირებული ფრაგმენტებიდან ვიგებთ, რომ არგვეთის მხარეში მდებარე სოფელი ჭორვილა ერთ დროს ვინმე კავაის-ძის ცოლის საკუთრება იყო.

სამწუხაროდ, თამარის სიგელში დასახელებული კავაის-ძისა და მისი ცოლის შესახებ, რომლებიც, ცხადია, ფეოდალები იყვნენ, რაიმე სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ამ მიზეზის გამო, უცნობია, თუ როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა ჭორვილა კავაის-ძის ცოლის საკუთრებაში. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ სოფელი კავაის-ძის ცოლს მამის ოჯახიდან მზითვად ჰქონდა მიღებული და შუა საუკუნეების ქართული საოჯახო სამართლის ნორმების თანახმად, მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, თამარის სიგელიდან არ ჩანს, თუ როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა კავაის-ძის ცოლის კუთვნილი ჭორვილა თამარის ან მისი რომელიმე წინამორბედი მეფის საკუთრებაში. ვიცით მხოლოდ ის, რომ დოკუმენტის გაცემის დროს, ე.ი. 1187-1188 წლებში, სოფელი კავაის-ძის ცოლს აღარ ეკუთვნოდა და ის უკვე თამარის საკუთრება იყო.

თუ აქ, ჰიპოთეტურად, დავუშვებთ, რომ ჭორვილა თამარმა უშუალოდ კავაის-ძის ცოლისაგან შეიძინა, მაშინ გამოვა, რომ სახეზე გვაქვს XII საუკუნის II ნახევრის საქართველოში ორ ქალს შორის სოფლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მრავალმხრივ საინტერესო აქტი, რომლის ფარგლებშიც ქალმა მეფემ, ამ შემთხვევაში, თამარმა, ქალი ფეოდალისაგან, ამ შემთხვევაში, კავაის-ძის ცოლისაგან, ზემო იმერეთში მდებარე სოფელი ჭორვილა შეიძინა.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, თუ რატომ შეწირა თამარმა გელათის მონასტერს მაინცადამაინც ის სოფელი, რომელიც არგვეთის მხარეში მდებარეობდა. საფიქრებელია, რომ თამარის ამ გადაწყვეტილებას თავისი ლოგიკური მიზეზი ჰქონდა.



მეფე დავით IV აღმაშენებლის ანონიმი ისტორიკოსის მიერ 1125 წლის შემდგომ ახლოხანებში შედგენილი თხზულება „ცხორებაჲ მეფეთმეფისა დავითისი“, მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებლმა მის მიერ აგებულ გელათის მონასტერს უზარმაზარი შეწირულება მისცა და ამ შეწირულებაზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, ასახელებს უმემკვიდრეოდ ამოვარდნილ ბაღვაშთა მამულს, რომელიც არგვეთის მხარეში მდებარე სოფლებს მოიცავდა.

როგორც ჩანს, თამარმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გელათის კუთვნილი სოფლების ერთი და სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არგვეთის მხარეში მდებარეობდა და ამიტომაც მონასტერს სამეფო ოჯახის კუთვნილი მრავალრიცხოვანი სოფლებიდან სწორედ ის სოფელი შეწირა, რომელიც იმავე არგვეთში, გელათის საკუთრებაში მყოფი სხვა სოფლების მახლობლად მდებარეობდა.

თამარის სიგელის ციტირებულ ფრაგმენტებში არანაკლებ საინტერესოა სოფელ ჭორვილაზე დაკისრებული სახელმწიფო გადასახადების რეგულირების საკითხი. თამარი დოკუმენტში აღნიშნავს, რომ გელათის მონასტრისათვის შეწირული ჭორვილა ისევე გაათავისუფლა ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან, როგორც ეს გელათის კუთვნილ სხვა სოფლებთან დაკავშირებით იყო მიღებული. ამგვარად, ირკვევა, რომ თამარი გელათის მონასტრის მიმართ, ამ უკანასკნელის მსგავსად კი, სხვა სამეფო მონასტრების მიმართაც, შემწყნარებლურ საგადასახადო პოლიტიკას ატარებდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თამარის მეფობის დროს როგორც გელათის, ისე სხვა სამეფო მონასტრების კუთვნილი სოფლები და ყმამამულები სახელმწიფო გადასახადებისაგან მთლიანად გათავისუფლებული იყვნენ.

თამარი სიგელის მომდევნო ფრაგმენტში აღნიშნავს, რომ დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები ზედმიწევნით ზუსტად უნდა იქნეს აღსრულებული და შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში მიღებული წესისამებრ, წყევლა-კრულვას უთვლის ყველა იმ პირს, ვინაობისა თუ სტატუსის მიუხედავად, ვინც მიზანმიმართულად ან უნებლიედ, სრულად ან ნაწილობრივ, უგულებელყოფს დოკუმენტის პირობებს:

„და ესენი ვუიბძანებია მშო�lი და მეჭურეული ბძანებულსა ამის ზუენისა, ესენი მეუნებლე, მავნებელი და რამაკლებელი მისი და თუ ვინმე იკადრის ამისა ზემისა გაგებულსა შეცვლებად, ვინა თუ კერმწიფემან, ანუ ხამანცა კუესმან კაცმან, ხანისაცა მიზეზისა შემოლებითა, გა-მცა-უხილხლების მამი, ძე და სული წმიდაი, შ-მცა-ლების ძეწოლაი კაენისაი, შიშთვილი იუდაი, დანთქმაი დათან და ანიონი და კეულომცა ეს სიდუუითა ომეთისაითა მკურეი და ცოცხალი გაუკენლად და ნუმცა ხაი წესემეთების მისთუის საუმჯობესოდ ჯნილი“.



როგორც ვხედავთ, სიგელის ციტირებულ ფრაგმენტში თამარი იყენებს წყევლის ფორმულებს, რომლებიც შუა საუკუნეების ქართული დოკუმენტების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კერძოდ, თამარი მისი დოკუმენტის უგულებელსმყოფელებს ემუქრება შემდეგი სასჯელებით: მამის, ძისა და სული წმიდის, ე.ი. სამების რისხვით; კაენის ძრწოლით, ე.ი. იმ თავზარდაცემი გრძნობით, რომელსაც ძმის მოკვლის შემდეგ განიცდიდა ღმერთის წინაშე წარმდგარი კაენი; იუდას შიშთვილით, ე.ი. იმ თოკით, რომლითაც ქრისტეს გაცემის შემდეგ თავი ჩამოიხრჩო იუდამ; და სხვ.

თამარის სიგელის შემდეგი ფრაგმენტი შეიცავს მიმართვას მომდევნო მეფეების, აგრეთვე, იმ მოქმედი ან მომავალი სახელმწიფო მოხელეებისადმი, რომლებსაც დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნების აღსრულებაზე პირდაპირი ან ირიბი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თამარი ყველა ამ პირს მოუწოდებს, რომ ზედმიწევნით ზუსტად დაიცვან დოკუმენტის პირობები:

„აწ, ვინცა ჰნახოთ ბძანებანი და სიგელი ესე ზემი, შემდგომითი შემდგომად მომავალთა მეფეთა, ეპისთავთეპისთავთა, ეპისთავთა, აზნაურთა, ოთხმისდუეთა, ნაცვალთა, აჯამეთის ამხამადთა, ცყინმცვალთუხუცესთა, კოგინასა ციხისთავთა, ჯალისუფალთა, გზირთა და ფოვლთა სიჭმის მოჭმელთა ზუენთა, ღიღთა და მცირეთა, დაუმცკიცენ და ნუვინ უშალავთ ბძანებასა ამას ზუენსა, ნუცა ხას ვინ დაკლებთ, ნუ ღიღსა და ნუ მცირესა, თუინიერ შწუკნისა და თანადგომისა“.

თამარის სიგელის ციტირებულ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმ სახელმწიფო მოხელეთა ჩამონათვალი, რომლებსაც საქართველოს სამეფოს ადგილობრივი მმართველობის აპარატში სხვადასხვა თანამდებობები ეკავათ. ეს სახელმწიფო მოხელეები არიან:

- ერისთავთერისთავები და ერისთავები — საერისთავოების, ე.ი. ქვეყნის ყველაზე მსხვილ ტერიტორიულ და სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულთა გამგებლები.
- ოთხმიზდურები — ადგილობრივი მმართველობის აპარატის მაღალი რანგის მოხელეები, რომლებიც საერისთავოს მეოთხედ ნაწილს განაგებდნენ.
- ნაცვალები - ადგილობრივი მმართველობის აპარატის მოხელეები, რომლებიც ერისთავებისა და შესაძლოა, ოთხმიზდურთა მოადგილეები იყვნენ.
- აჯამეთის აბრამადები — იმერეთში, მდინარე რიონის მარცხენა შენაკადებს: ყვირილასა და ხანისწყალს შორის მდებარე აჯამეთის სამეფო ნაკრძალის მოურავები.
- აჯამეთის ტყისმცველთუხუცესები -—აჯამეთის აბრამიდთა მოადგილეები, რომლებსაც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდნენ აჯამეთის ტყისმცველები.
- გოგნის ციხისთავები — იმერეთში, ოკრიბას მხარეში მდებარე გოგნის ციხის გარნიზონის მეთაური, რომელიც იმ მხარის საფორტიფიკაციო ქსელს განაგებდა.
- გზირები — ადგილობრივი მმართველობის აპარატის დაბალი რანგის მოხელეები, რომელთა მთავარ ფუნქციას ხელისუფლის ბრძანების ადგილზე მიტანა წარმოადგენდა.

მართალია, თამარის სიგელში მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის აპარატის ის მოხელეები არიან ჩამოთვლილი, რომლებსაც ამ კონკრეტული დოკუმენტის მოთხოვნათა აღსრულება ევალებოდათ, თუმცა ამ ჩამონათვალიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ თამარს, როგორც ქალ მეფეს, ექვემდებარებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის აპარატების მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატი, რომელთა დახმარებითაც მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე წარმატებით მართავდა მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს.

სიგელის მომდევნო ფრაგმენტში თამარი საქართველოს ეკლესიის მაღალ იერარქებს — კათოლიკოსებსა და ეპისკოპოსებს მიმართავს და სთხოვს მათ, რომ „უჯუარობით დაამტკიცონ“, ე.ი. ერთი მხრივ, ხელმოწერით დაადასტურონ დოკუმენტის ნამდვილობა, ხოლო, მეორე მხრივ, წყევლა-კრულვით დაემუქრონ ყველა იმ პირს, ვინც დოკუმეტის პირობებს უგულებელყოფს:

„და თჳუენ, წმიდანო კათოლიკოზნო და წმიდანო მოდგილთმოძღუარნო, უჯუარობითა დაუმტკიცოთ“.

საინტერესოა, რომ თამარის ეს თხოვნა სრულად დააკმაყოფილა იმჟამინდელმა ქართლის კათოლიკოსმა თეოდორე II-ემ (დაახლ. 1187-1204 წწ.), რომელმაც დოკუმენტის მეორე ნაწილში საკუთარი ხელით დაწერა „უჯუარობით დამტკიცების“ ტექსტი. ამ ტექსტზე ქვემოთ მექნება საუბარი და ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდები.

თამარის სიგელის პირველ, ძირითად ნაწილს ამთავრებს შუა საუკუნეების ქართული ისტორიული დოკუმენტებისათვის ტრადიციული დასკვნითი ფრაგმენტი, რომელიც გვაუწყებს, რომ დოკუმენტი დაწერილი იყო თამარის მეფობის მე-10 წელს, საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობრის არსენ სამძივარის ხელით:

„დაიწერა ბძანებაი და სიგელი ესე ზემი ინდიკტიონსა მეცხრესა ზემისასა მეათესა, ჯერითა საწოლისა და საჭურჭლისა ზუენისა მწიგნობარსა არსენი სამძივარისაითა...“.

თამარის სიგელის ციტირებული ფრაგმენტის შინაარსის სწორად გაგების მიზნით, დავაზუსტებთ სამ დეტალს:

ა) დოკუმენტში თამარის მეფობა ათვლილია 1178 წლიდან, როდესაც გიორგი III-ემ თამარი თანამოსაყდრე მეფედ გამოაცხადა და არა 1184 წლიდან, როდესაც გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ თამარი სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა. ამგვარად, დგინდება, რომ დოკუმენტი 1178 წლიდან მე-10 წელს, ე.ი. 1187-1188 წლებში იყო გაცემული.

ბ) საწოლის მწიგნობრობა და საჭურჭლის მწიგნობრობა სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობები იყო. საწოლის მწიგნობარი სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის მაღალი რანგის მოხელე იყო და ქვეყნის პირველი მინისტრის — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანაშემწის თანამდებობა ეკავა. საწოლის მწიგნობარი მეფის პირად მდივნად ითვლებოდა და მის „საწოლს“, ე.ი. კაბინეტს განაგებდა. საჭურჭლის მწიგნობარი, საწოლის მწიგნობრის მსგავსად, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის მაღალი რანგის მოხელე იყო, ოღონდ იერარქიაში, საწოლის მწიგნობრის მომდევნო საფეხურზე იდგა. საჭურჭლის მწიგნობარი „საჭურჭლეს“, ე.ი. სამეფო სალაროს განაგებდა და მეფის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ზოგჯერ საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობრების თანამდებობები ერთსა და იმავე პირს ეკავა. სწორედ ასეთ შემთხვევას ვხედავთ თამარის მიერ გელათის მონასტრისათვის მიცემულ სიგელში.

გ) დოკუმენტის დამწერი არსენი სამძივართა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა. სამძივართა საგვარეულო სამცხეში სახლობდა და XII-XIV საუკუნეების საქართველოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში დიდ როლს თამაშობდა. სწორედ სამძივართა ფეოდალური სახლის რძალი და სავარაუდოდ, დოკუმენტის დამწერ არსენ სამძივარის ცოლი ან დედა იყო ცნობილი დიპლომატი ქალი — კრავაი ჯაყელი, რომლის შესახებაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ საყოველთაოდ რომ ცნობილ

ამბავს მოგვითხრობს. მემატიანე გადმოგვცემს, 1184-1185 წლებში თამარის წინააღმდეგ კონკრეტული პოლიტიკური მოთხოვნებით ამბოხება დაიწყო დიდებულთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი მეთაურობდა. თამარმა ყუთლუ-არსლანი ტყვედ შეიპყრო, თუმცა ამბოხებულები უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ და საქმე შეირაღებული დაპირისპირებისაგან მიდიოდა. შექმნილ ვითარებაში, თამარმა ამბოხებებულებთან მოლაპარაკება გადაწყვიტა და მათთან დიპლომატიური მისსით გაგზავნა ორი ქალი ფეოდალი — ხვაშაქ ცოქალი, რომელიც ქართლის ერისთავ რატი სურამელის დედა იყო და ჩვენთვის საინტერესო კრავაი ჯაყელი, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, სამძივართა სახლის რძალი იყო. ხვაშაქმა და კრავაიმ დიპლომატიურ მისას წარმატებით გაართვეს თავი და ამბოხებულები თამარს ბრძოლის გარეშე დანებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ თამარმა გელათის მონასტრისათვის მიცემული დოკუმენტის დამწერი არსენ სამძივარი სწორედ კრავაი ჯაყელის მიერ გაწეული ერთგული სამსახურის სანაცვლოდ დააწინაურა სამეფო კარზე და მას საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობრის შეწყვილებული თანამდებობები უბოძა.



თამარის სიგელის პირველ, ძირითად ნაწილს მოსდევს დოკუმენტის მეორე ნაწილი, რომელიც თამარისა და სხვა ისტორიულ პირთა დამტკიცებებს შეიცავს.

ვიდრე ამ დამტკიცებების განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ დამტკიცებები შუა საუკუნეების დოკუ-მენტებისათვის აუცილებელ დიპლომატიკურ ელემენტს წარმოადგენდა. ეს იყო დოკუმენტის გამცემისა და მიმღების, აგრეთვე, მათ მიერ შერჩეული მოწმეების ხელით დაწერილი სხვადასხვა მოცულობის ტექსტები, რომლებიც დოკუმენტის ნამდვილობას ადასტურებდა. დამტკიცებები, ტრადიციულად, დოკუმენტის ბოლოში იყო დაწერილი.

სამწუხაროდ, თამარის სიგელის მეორე ნაწილი ბოლო-ნაკლულია. ამ ნაწილიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ პირველი ოთხი დამტკიცების ტექსტმა და მეხუთე დამტკიცების დასაწყისმა ფრაგმენტმა, რომლიდანაც იმის გარკვევაც კი ვერ ხერხდება, ეს დამტკიცება ვის მიერ იყო

დაწერილი.
სიგელის პირველი დამტკიცება თავად თამარს ეკუთვნის. დამტკიცების ტექსტი, დოკუმენტის დანარჩენი ტექსტისაგან განსხვავებით, უშუალოდ თამარის ხელით არის დაწერილი და შეიცავს ვრცელ ტექსტს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ თამარი განათლებული და ღმრთისმეტყველებაში განსწავლული ქალი იყო:

„ჰ. სახელოითა ღმერთისაითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ხახულისა ღმერთისმშობლისაითა, მას ჟამსა, ოდეს სკიპტრჰა-შარავანდთა მეფობისათა მეფობასა ვიჰმენ, ამისთჳს ვითნე კუალად შნ მიეჰ ძლუნვილი სამადლოთა და ცოდჳსა შნ წმიდასა, დიდებულსა, განსაკუთნებულად ჰთხოვდეს — ძისა შნისასა, განვაცხონენ ცოცხანი, მოსავნი შენნი და მოწყალეთა შნთანი, ჰაითა ჩემთჳს ოხითა მეოთუმცო�ენენ შნდა, მოწყალებისა მნებისა და ნამდჳილი ჰეუფნად ნათელი მფუისა ძისა მისისა ოხითა შნდა ეჰქმნეთ... ამის მომშოლელსა ესენა ეფუბადცა მიუოენ ჩემგან, განგებისა შეიხვეთა მოეკადენ ბჰალონი ნესტოჰ და ოჰიეენესი. ეცოლეთისა შესავლისაგან და სამონასტერჰოსაგან კიდე ესა ჰაი სჰეე უფ მათ თანა და ესცა ვისი ჯელი შვიდოდის ესაის ეუსაის კაცისაი: ესა ჩუენი, ესესა ჩუენთა სასეფოთა ჯელისუფალოთა... ჰ. ესე, ჩემდა სადიდებელად ჩემგან სასოებით და ეულსმოდგინებით ჩემისა სჰეისა განაჩენი ჩემითა ჯელითა ფოდვილითა დამიმტკიცებია. ვინცა და ჰამანცა ეუსჰმან კაცმან ბჰძანება და სიეცელი ესე ჩუენი მტკიცე შეფვალოს, შნ, ყოვლად წმიდაო ღმერთმშობელო, ძისა შნისა და სულისა წმიდისა მეგობარჰითა თანა დასაჯე იგი და ჩემთა ფოდვათა და ბჰალოთა მზღუენია იგი ღოესა განკითხვისასა და სიტყუაი იგი მას ზედამცა ეოესჰუოებრ: „სიმხლო მეგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა".



სიგელის რიგით მეორე დამტკიცება თამარის მეორე ქმარს, მეფე დავით სოსლანს ეკუთვნის. დამტკიცება მოკლე და ლაკონურ ტექსტს შეიცავს:

„ჰ. მე დავით მეფესა, დამიმტკიცებია“.

დავით სოსლანის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო ფაქტი. როგორც ზემოთ ვნახეთ, დოკუმენტი 1187-1188 წლებში იყო გაცემული. სამეცნიერო ლიტერატურიდან კი ცნობილია, რომ თამარი დავით სოსლანზე 1189 წელს დაქორწინდა.

დაისმის კითხვა: როგორ გაჩნდა დავით სოსლანის დამტკიცება 1187-1188 წლების სიგელზე, როდესაც დოკუმენტის გაცემის დროს იგი არც თამარზე იყო დაქორწინებული და არც მეფის ტიტულს ფლობდა?

ამ კითხვის საპასუხოდ ქართველ მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავით სოსლანმა საკუთარი დამტკიცება სიგელში თამარზე ქორწინების შემდეგ, 1189 წელს ან უფრო მოგვიანებით ჩაწერა. ჩვენი ამჟამინდელი ცოდნის გათვალისწინებით, ეს მოსაზრება მისაღები და გასაზიარებელია.

თამარის სიგელის მესამე დამტკიცება ერისთავ დავითს ეკუთვნის.

ეს დამტკიცება, დავით სოსლანის დამტკიცების მსგავსად, მოკლე ტექსტს შეიცავს:

„ჰ. ამას თამარის ბრძანებასა მე, ნებითა ღმერთისითა ერისთავი
დავით, ვამოწმებ და ვამტკიცებ. მტკიცე ყოს ღმერთმან“.

მართალია, თამარის სიგელში მითითებული არ არის, თუ კონკრეტულად, რომელი საერისთავოს გამგებელი იყო დავითი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ როგორც გელათის მონასტერი, ისე სოფელი ჭორვილა იმერეთში მდებარეობს, უნდა ვიფიქროთ, რომ დავითი იმერეთის, უფრო ზუსტად კი, არგვეთის ერისთავი იყო.

თამარის სიგელის მეოთხე დამტკიცება ქართლის კათოლიკოს თეოდორე II-ეს ეკუთვნის. ეს დამტკიცება, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, სრულებით განსხვავდება, როგორც თამარის, ისე დავით სოსლანისა და ერისთავ დავითის დამტკიცებებისაგან. თეოდორე II-ის დამტკიცება, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, „უჯუარობით დამტკიცებას“ წარმოადგენს და არამხოლოდ ადასტურებს დოკუმენტის ნამდვილობას, არამედ წყევლა-კრულვით ემუქრება ყველა იმ პირს, ვინც დოკუმეტის პირობებს უგულებელყოფს:

„Თ. ესე, ვითა ღმერთივ-კჳრკჳნოსანსა მეფეთმეფესა და ღელოვანთა ღელოვანსა თამარს დიდსა მონასტერსა მათსა შინ, კერძოთს, მეფობასა მათსა წარსამრეველად და სულიერად სოფლებისათჳს ქორეკვილი შეუწირავს მუნ შინა მყოფთა მწირთა საზრდელად და სიკეთე ესე დაუწერია და საუფლოთა ჴელითა მათითა დაუმტკიცებია, მტკიცე ყავნ ღმერთმან ძალება მათი, მეცა, კოსტაკი ეპისტეს მიერ ეპიტროს კათალიკოზი თეკერეს, მოწამე და დამამტკიცებელი ვარ. ვინცა და რამცა კუერძან კაცმან, რანაცა ესამა, რანაცა მიზეზს მოლებითა, ჴელ-ყოს შლად და ეცილვად ამას ძალებასა და კაკებულსა, ჴიერმცა არს ურჩჴელად დაუსაბამოსა ღმერთსა ურჩითა, ათორმეტთა მოციქულთა ეუარითა, შვიდთა ჴერძათა მადლითა, ხუთთა ურცხიანეთა ეუარითა, კათოლიკე ეკლესიასა და შინ, ღმერთივაღმერთებულს სულდს სოფლის მადლითა, ფოვლითა ურცხიანეთა ეუარითა და მოდგეთმოძღუარითათა და ზემ, კოსტაკისცა, ეუარითა. ვინ მტკიცედ ყოს, აკუეთხენ ღმერთმან და წმიდამან დედაეკლესიამან“.



თამარის სიგელის მეხუთე, ჩვენამდე მოღწეული ბოლო დამტკიცება დაუდგენელ პირს ეკუთვნის. ამ დამტკიცების ტექსტი, დასაწყისი ფრაგმენტის გამოკლებით, დაკარგულია. თავად ეს დასაწყისი ფრაგმენტი რაიმე საინტერესო ინფორმაციას არ შეიცავს და ამიტომ მისი ციტირებისაგან თავს შევიკავებთ.



1. მეფე თამარის 1195-1196 წლების სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი.

თამარის სიგელი, გელათის მონასტრისათვის მიცემული სიგელის მსგავსად, ტრადიციული ფრაზით „სახელითა ღმრთისაითა“ იწყება. ამის შემდეგ თამარი, როგორც დოკუმენტის გამცემი სუბიექტი, თავის სახელს, საგვარეულო კუთვნილებასა და იურიდიულ სტატუსს მიუთითებს:

„...თამარისაჲ ბაგრატიონისა, ნებითა ღმერთისაითა ავხაზთა და ჯორეველთა, ხანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დიდოვალთა-დიდოვლისა და ფოვლისა ალმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობითა მჴყრობელისა“.

თამარის სიგელის ეს ნაწილი, ძირითადად, გელათის მონასტრისათვის მიცემული სიგელის შესაბამისი ნაწილის იდენტურია და მისგან მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავდება. კერძოდ, დოკუმენტში თამარის იურიდიული სტატუსი გადმოცემულია ვრცელი ტიტულატურით, რომელშიც არა შვიდი, არამედ ხუთი სამეფო ტიტული შედის. ტიტულატურიდან ამოღებულია შარვანის შაჰისა და შაჰან შაჰის ტიტულები, რაც ძალიან უცნაურია, რადგან პარალელური წერილობითი წყაროებიდან კარგად არის ცნობილი, რომ თამარი ამ ორ ტიტულს გარდაცვალებამდე ატარებდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამ ტიტულებს მისი შვილები, მეფეები — გიორგი IV ლაშა და რუსუდანი ფლობდნენ.

თამარი სიგელის მომდევნო ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ მის წინაშე თხოვნით წარსდგა საქართველოს სამეფოს პირველი ვაზირი, ქყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და პროტოუპერტიმოსი ანტონი გლონისთავისძე, რომელმაც მანამდე საკუთარი სახსრებით სოფელ სხალტბიდან შიომღვიმის მონასტრამდე „წყალი“, უფრო ზუსტად კი,



წყალსადენი გაიყვანა. ანტონმა მეფეს მოახსენა, რომ სხალტბის მიდამოებში, წყალსადენის სათავესთან, სახლობდა გლეხი ქოსაისძეების ორი ოჯახი, რომლებიც სამეფო ყმები იყვნენ. ანტონს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მის მიერ გაყვანილი „წყლის კაზმვის“, ე.ი. წყალსადენის მოვლა-პატრონობის საქმე სწორედ ქოსაისძეთათვის ჩაებარებინა. ამიტომ იგი თამარს შეევედრა, რომ ქოსაისძეები შიომღვიმის მონასტრისათვის შესაწირავად მისთვის ეწყალობებინა:

„მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზიანი ჩუენი ანტონი ქყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობარეთუხუცესი და პროტოფერეიმონი და კუეპარჯა და მოკუაკვსენა, ხალთამცა შვიწყალონეთ და ითქმა მოუიმეს, მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა, წყალი მიიყვანეს სხალტბისაით და წყლისა მის სათავესა ზედა კოეხი ჯერ სასეფოი, მის წყლისა მკაზმავად იგი კოეხი, სამკუიდროდ შესწირავად მოუიმისად, სულისა მისისათუის მეს მიუბოძეთ“.

თამარის სიგელის ციტირებულ ფრაგმენტთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ ქყონდიდელის მიერ გაყვანილი წყალსადენი არქეოლოგების მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი. ირკვევა, რომ წყალსადენი შესანიშნავი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა, რომელიც ხრიოკ ადგილას გაშენებულ შიომღვიმის მონასტერს დღე-ღამეში 243 ტონა წყაროს წყალს აწვდიდა. წყალსადენის სათავე სხალტბის სერის ჩრდილოეთ ფერდობზე, სოფელ სხალტბის მახლობლად მდებარეობს. აქედან წყალი თიხის მილების დახმარებით სხალტბის სერის სამხრეთ კალთაზე მდებარე შიომღვიმისაკენ მიედინებოდა. წყალსადენის ტრასის სიგრძე თითქმის 2 კილომეტრია და რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში — დამრეც, დახრამულ და კლდოვან რელიეფზეა გაყვანილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია წყალსადენის ბოლო მონაკვეთი, რომელიც 170 მეტრის სიმაღლის ფრიალო კლდეზე ეშვება.



თამარის სიგელის ციტირებულ ფრაგმენტში კიდევ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას. დოკუმენტის მიხედვით, ანტონ ჭყონდიდელმა ის კი არ სთხოვა თამარს, რომ ქოსაისძეთა ორი ოჯახი პირდაპირ მეფეს შეეწირა შიომღვიმისათვის, არამედ შეევედრა თამარს, რომ ქოსაისძეები ჯერ მისთვის ეწყალობებინა, რათა შემდეგ ისინი თავად შეეწირა მონასტრისათვის.

ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გარემოებას, სამართლებრივი თვალსაზრისით, უზარმაზარი დატვირთვა ჰქონდა. მართლაც, იმ შემთხვევაში, თუკი თამარი ქოსაისძეთა ორ ოჯახს პირდაპირ შიომღვიმეს შეწირავდა, მაშინ გამოვიდოდა, რომ მონასტრისათვის შეწირულების მიმცემი სუბიექტი მეფე იყო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი თამარი ქოსაისძეებს ანტონს უწყალობებდა, ეს უკანასკნელი კი მეფისაგან ნაწყალობევ გლეხებს შიომღვიმეს შეწირავდა, მაშინ გამოვიდოდა, რომ შეწირულების გამცემი სუბიექტი უკვე ჭყონდიდელი იყო.

როგორც ჩანს, ანტონ ჭყონდიდელს სურდა, რომ მის მიერ საკუთარი სახსრებით გაყვანილი და შიომღვიმისათვის საკუთრებაში გადაცემული წყალსადენის მკაზმავებად სახელდობრ ის პირები ყოფილიყვნენ დადგენილი, რომლებიც მონასტრისათვის მისსავე მიერ იქნებოდნენ შეწირული.

თამარი სიგელის მომდევნო ფრაგმენტში გვაუწყებს, რომ ანტონ ჭყონდიდელის თხოვნა შეიწყნარა, ქოსაისძეთა ორივე ოჯახი შიომღვიმისათვის შესაწირავად უწყალობა



და იქვე, დამატებით, აღნიშნავს იმასაც, რომ ქოსაისძეები სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარი ვალდებულებებისაგან გაათავისუფლა:

„ესეგუაჯესა ომეთიმან და ვისმინეთ ჯაჯი და მოკსენება მისი, ვაზიისა ზუენისა ანდონი ქყონდიდელი მთავარეპისკოპოსისა, მწიგ-ნობართუხუცესისა და ეროფოუჯეფიმოსისა და ხომელი სხალდას მის წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა ყოეხი ზის... კუამლად ოხი, ჭოსაისძენი, საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად, მისდა მიგუითავისუფლებია“.

სიგელის ამ ფრაგმენტში საინტერესოა ერთი გარემოება: თამარმა ისე უწყალობა მისი კუთვნილი ქოსაისძეების ორი ოჯახი ანტონ ქყონდიდელს, რომ ამ წყალობის სანაცვლოდ, ანტონისაგან რაიმე საზღაური არ მოუთხოვია.

ასეთი უანგარო წყალობის შემთხვევები შუა საუკუნეების საქართველოში ძალზედ იშვიათად გვხვდება და თვალ-ნათლივ მიუთითებს არამხოლოდ იმ ფაქტზე, რომ თამარი მდიდარი ხელმწიფე იყო, არამედ იმაზეც, რომ იგი თავისი ერთგული სახელმწიფო მოხელეების მიმართ დიდ გულუხვობას იჩენდა.

თამარი სიგელის მომდევნო ფრაგმენტში აღნიშნავს, რომ მის მიერ ანტონ ჭყონდიდელისათვის ნაწყალობევი, ხოლო ანტონის მიერ შიომღვიმისათვის შეწირული ქოსაისძეთა ორი ოჯახი, ისევე როგორც ჭყონდიდელის მიერ გაყვანილი წყალსადენი, სამუდამოდ მონასტრისა და მისი დამაარსებლის - წმ. შიო მღვიმელის საკუთრებაში უნდა დარჩეს. გარდა ამისა, თამარი აღნიშნავს, რომ მის არც ერთ მოხელეს არ აქვს უფლება, სახელმწიფო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებულ ქოსაისძეებს რაიმე ახალი ვალდებულება დააკისროს და იქვე, აზუსტებს, რომ ქოსაისძეთა ერთადერთ ვალდებულებას, ისიც მხოლოდ შიომღვიმის მიმართ, წყალსადენის მოვლა-პატრონობა წარმოადგენს:

„ჰორეს იგი წყალი და გოეხნი ჯოსაძესენი... კუამლად ოხი... და შვილნი და შვილისშვილნი მათნი, სასოსა და მფარველსა ჩუენსა წმიდასა მამასა შიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერსა მოუიმეს. ესენ ჟამსა შეცვალოს და ესენ ხარ მას წყალსა და გოეხსა ზედა ჰკლიესუფალთა ჩუენთა ჰკლი შუვიდოდეს; ფოვლითუნი შუვალ და თავისუფალ ეს; ხარცა ანდონი ქყონდიდელმან გაუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურებდეს. და ესენ კუიძეძონებია მშოლელი და მეჯოგეული ძეძონებულსა ამის ჩუენისაი, ესენ მეუნებლე, მავნებელი და დამაკლებელი მათი".

სიგელის ამ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თამარმა წინასწარ განსაზღვრა, თუ, სახელდობრ, რა ვალდებულება უნდა დაკისრებოდა ქოსაისძეთა ორ ოჯახს მას შემდეგ, რაც ისინი ჯერ ანტონ ჭყონდიდელის, ხოლო შემდეგ შიომღვიმის საკუთრებაში გადავიდოდა. მეფის ეს განწესება ქოსაისძეთა უფლებების დასაცავად გატარებულ ღონისძიებას წარმოადგენდა და შიომღვიმეს ართმევდა უფლებას, მათ საკუთრებაში გადასული ქოსაისძეებისათვის იმაზე მეტი ან იმისაგან განსხვავებული ვალდებულებები დაეკისრებინა, ვიდრე ეს თამარის სიგელით იყო განწესებული.

თამარის სიგელის შემდეგი ფრაგმენტი შეიცავს მიმართვას იმ მოქმედი ან მომავალი სახელმწიფო მოხელეებისადმი, რომლებიც დოკუმენტში გაწერილი რეგულაციების აღსრულებაზე არიან ან იქნებიან პასუხისმგებლები. თამარი ყველა ამ მოხელეს მოუწოდებს, ზედმიწევნით ზუსტად დაიცვან და შეასრულონ სიგელის პირობები:

„ან, ვინცა ჰნახოთ ბრძანებანი და სიგელი ესე ჩუენი: ზეზარნისა ცოხილთაკენთა, მჯდარავნომეტბელთა, მოხარაჯენთა, მესაბანჯეთა და ყოველთა სარჯის მოიმკრთა ჩუენთა: ღირთა და მცირეთა, რაუმცეცეთ და ნუკონ უშალავთ ბრძანებასა ამას ჩუენსა, ნუცა ხას ვინ დაავლებთ ნუ ღირსა და ნუ მცირესა, თუინიერ შწუკნისა და თანადგომისა“.

თამარის სიგელის მომდევნო ფრაგმენტი დოკუმენტის პირველი, ძირითადი ნაწილის ბოლო მონაკვეთს წარმოადგენს. ფრაგმენტი გვაუწყებს, რომ სიგელი თამარის მეფობის მე-18 წელს, სამეფო კარის მწიგნობრის, სხვა წყაროებით უცნობი იაკობ იწრელისძის ხელით იყო დაწერილი:

„ესიწესა ბძანებაი ეა სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისსა მეათუესამეტესა, ჴელითა მწიგნობარისა ჩუენისა იაკობ იწჩელისძისითა“.

საინტერესოა, რომ სიგელის ციტირებულ ფრაგმენტში დოკუმენტის გაცემის დრო, გელათისათვის მიცემული სიგელის შესაბამისი ფრაგმენტის მსგავსად, ათვლილია არა 1184 წლიდან, როდესაც თამარი საქართველოს სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა, არამედ 1178 წლიდან, როდესაც იგი მამის — გიორგი III-ის თანამოსაყდრე მეფე გახდა. მაშასადამე, დგინდება, რომ სიგელი 1178 წლიდან მე-18 წელს, ე.ი. 1195-1196 წლებში იყო გაცემული.



14041
H d

თამარის სიგელის მეორე ნაწილი ხუთ დამტკიცებას შეიცავს. ამათგან, პირველი დამტკიცება თავად თამარს ეკუთვნის. დამტკიცების ტექსტი, გელათისათვის მიცემული სიგელისათვის დართული თამარის ვრცელი დამტკიცებისაგან განსხვავებით, მოკლე და ლაკონურია:

„ჰ. მტკიცე ყოს ღმერთმან შუკვალებლად“.

სიგელის რიგით მეორე დამტკიცება თამარის ქმარს, მეფე დავით სოსლანს ეკუთვნის. ეს დამტკიცება, თამარის დამტკიცების მსგავსად, აგრეთვე, მოკლე და ლაკონურია:

„ჰ. მე, მეფესა დავითსასა, დამიმტკიცებია. მტკიცეა ნებითა ღმერთისითა“.

თამარის სიგელის მესამე დამტკიცება, რეალურად, ცალკე დოკუმენტს — შიომღვიმის სამონასტრო კრებულის დაწერილს წარმოადგენს.



აქვე განვმარტავთ, რომ X-XV საუკუნეების საქართველოში სიგელი ეწოდებოდა მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უშუალოდ მეფის, ე.ი. სახელმწიფოს პირველი პირის მიერ იყო გაცემული. რაც შეეხება სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეების, ფეოდალების, საეკლესიო იერარქებისა თუ სხვა პირთა მიერ გაცემულ დოკუმენტებს, მათ, ტრადიციულად, დაწერილის სახელით აღნიშნავდნენ.

განსახილველი დამტკიცება, სიგელის პირველი ორი, მხედრული ანბანით დაწერილი დამტკიცებისაგან განსხვავებით, ნუსხური ანბანით არის დაწერილი და შიომღვიმის სამონასტრო კრებულს ეკუთვნის.

დამტკიცებაში, პირველ ყოვლისა, მადლიერებით არის აღნიშნული ანტონ ჭყონდიდელის მიერ მონასტრისთვის გაწეული უდიდესი სამსახური. გარდა ამისა, დამტკიცებაში ნათქვამია, რომ ანტონის მიერ შიომღვიმისათვის შეწირული ქოსაისძეთა ორი ოჯახი სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის მოვლა-პატრონობისათვის საკმარისი არ იყო და ამიტომ სამონასტრო კრებულმა იგივე სამსახური, დამატებით, დააკისრა ორ სხვა გლეხს — პატარასა და ქაჩაბურაისძეს, რომლებიც შიომღვიმის მონასტერს ეკუთნოდნენ. დამტკიცებაში ხაზგასმულია, რომ თუკი წყალსადენის მოვლა-პატრონობას „ნივთიერი საკაზმავი“, ე.ი. შესაკეთებელი მასალის შეძენა და დამატებითი მუშახელის გამოყვანა დასჭირდებოდა, მასალის შესაძენად საჭირო სახსრები შიომღვიმეს უნდა გაეღო, ხოლო მუშახელად სამონასტრო კრებულის წევრები და შიომღვიმის კუთვნილ სოფლებში, მათ შორის, სხალტბაში, მცხოვრები ყმა-გლეხები უნდა გამოსულიყვნენ. დამტკიცებას ამთავრებს შუა საუკუნეების ქართულ ისტორიული დოკუმენტებისათვის ტრადიციული კრულვითი ტექსტი, რომელიც მიემართება ყველა იმ პირს, ვინც დამტკიცების პირობებს დაარღვევს:

„ჯ. სმხელოთა ღმჰთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმჰთისმშობელისაჲთა, მადლოთა და შწუკვნითა ღიისთა მამათა ჩუენთა: იოვნე, შიო და კვეტისიოთ, ესე დაწეჰიოლ დავწეჰეთ ჩუენ, სჰუელად კჰებულომნ და ლაკჰამნ მოკმისამნ: ჯჰისდეს სწორჰმნ ანდრონი ქყონდიდელომნ დიდითა ლუანწლოთა და ეულისმოდგინებითა და სავასოჲთა ალუკჴმჰავითა, მოიყვნა წყაჰოჲ ესე ნუეშონის-სალემელად ამის უდაბნოისათჳს, ჰომელსა სუკუნომდეა ჰს კსენებაჲ და სუფევაჲ ყოველთა წმიდათა თანა. ესე ქოეხნი ჯოსაჲსეენი... ვითა ამას სიკელსა შინა ქაჩენით სწეჰიაჰს, მათან მოკებული ჰს და წყაჰოჲსათუის მიყენებული... ჩუენ დავხედენით ამას, ჰომელ ესენი ოდენ ჰა ეყოფოდეს მკაზმავად წყაჰოსა. მათითავე კითხვითა და ბჰძანებითა ეჰთი მეოჰშაბათე ქოეხი, სმხელითი ჴსდაჰ და მეოჰლდ ქოეხი... ჯაჩაბუჰაჲსეენ, ესენიცა წყაჰოსავე მიუყენენით მკაზმავად. უკუეთუ ნივთიეჰი ჰაჲმე საკაზმავი იყოს, სხალდებუჰითა და სხუაკნუჰითა ძალითა ზედა მივიდოდით და მოქიჰვებით ჩუენ კჰებულობით ვჴკაზმიდეთ... ამისი შცავლაჲ ჩუენ, კჰებულისაკნ, ჰსადეს იკადჰს. და ვინცა ეს ჩუენი ქაკებული შცავლოს და წაჰმდებად და უდებებით იუჰვოდს წყაჰოსა საჯესა, კჰალომცა ჰს თჳთ საუფლოჲთა მით სიდუკვთა, ჰომელი ჯჰისდემნ თავთა მათ მოციჯულთა ჴჰეუა და ყოველთათმცა მწვალებელთა თანა დაბასჯების სული მისი და ნუმცა ჰს კნაი მისი დესა მას დიდსა განკითხვისასა".

სიგელის მესამე დამტკიცებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მის ტექსტში თამარის მიერ ანტონ ჭყონდიდელისათვის ქოსაისძეთა ორი ოჯახის წყალობის ფაქტი საერთოდ არ არის ნახსენები.

ეს გარემოება სამართლებრივი თვალსაზრისით სავსებით ლოგიკურია. თამარმა ქოსაისძეთა ორი ოჯახი ანტონ ჭყონდიდელს უწყალობა, ანტონმა კი ქოსაისძეები უკვე თავად შეწირა შიომღვიმეს. აქედან, გამოდის, რომ შიომღვიმეს შეწირულება არა მეფემ, არამედ ანტონმა მისცა და ამიტომაც სამონასტრო კრებულმა მადლიერებით სწორედ ანტონი მოიხსენია.

თუმცა, მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების აზროვნებისა და ქცევის ეტიკეტის გათვალისწინებით, მაინც ძალიან უცნაურია, რომ შიომღვიმის სამონასტრო კრებულმა თავის დამტკიცებაში თამარი, როგორც ანტონ ჭყონდიდელისათვის ქოსაისძეთა ორი ოჯახის მბოძებელი სუზერენი, საერთოდ არ მოიხსენია.

თამარის სიგელის მეოთხე დამტკიცება ანტონ ჭყონდიდელს ეკუთვნის. ეს დამტკიცება, სიგელის მესამე დამტკიცების მსგავსად, ცალკე დოკუმენტს — დაწერილს წარმოადგენს. ანტონი დამტკიცებას იწყებს ტრადიციული ფრაზით „სახელითა ღმრთისაითა“, რის შემდეგაც ღმერთს სამეფო ოჯახის წევრების — დავით სოსლანის, თამარისა და გიორგი ლაშას განდიდებასა და დღეგრძელობას შესთხოვს:

„...აღიერენ და დაამტკიცენ ომეხითმან მეფენი ზუენნი: დავით და თამარ და ძე მათი გიორგი ლაშა, ხომლოთა წლონია უჯმოვ და სუფევაი დაუსხულებლო“.



დამტკიცების ციტირებულ ფრაგმენტში საინტერესოა ორი გარემოება:

1. ანტონ ჭყონდიდელი სამეფო ოჯახის წევრების ჩამოთვლას დავით სოსლანით იწყებს. ეს მეტად უჩვეულო მოვლენაა, ვინაიდან პარალელურ წერილობით წყაროებში სამეფო ოჯახის წევრების ჩამოთვლისას პირველად ყოველთვის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი — თამარი იხსენიება.

2. ანტონი უფლისწულს ერთდროულად მოიხსენიებს ნათლობისა და საალერსო სახელებით: „გიორგი ლაშა“. როგორც ჩანს, იმ დროს უფლისწულის საალერსო სახელით მოხსენიება იმდენად მიღებული მოვლენა იყო, რომ მას ქვეყნის პირველი მინისტრიც კი ლაშას სახელით მოიხსენიებდა.

დამტკიცების მომდევნო ფრაგმენტში ანტონ ჭყონდიდელი მოგვითხრობს, რომ სხალტბა—შიომღვიმის წყალსადენი სამწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად გაიყვანა:

„მე, მიწამან და მოოსვეტომან მეფობისა მათისამან, ანტონი ქუთნელიეტომან, ვიხილე სალო ომჰოთისი წმიდა უფაბნი მოუიმისი და მას შინა მყოფნი წმიდანი მამანი ქიმსა და იწჰოებასა შინა უჰწყუტობისასა და ჭმწეობითა წმიდისა მამისა შიოსითა ვეძებნე და ვპოე წყალი ადგილსა სხალტბისასა და ჯეტ-ვყავ მოჭმეტბად და შწეკნითა მისითა მოვიყვანე წყაროი კესა წმიდისა ეკლესიისასა, ეამთა წეროწლისა სამისათა, დიდითა შრომითა და კუოსმოდგინებითა...“.

დამტკიცების შემდეგ ფრაგმენტში ანტონი მადლიერებით აღნიშნავს, რომ თამარმა შიომღვიმისათვის შესაწირავად ქოსაისძეთა ორი ოჯახი უწყალობა. ანტონი გვაუწყებს, რომ მონასტრის საკუთრებაში გადასული ქოსაისძეთა თითოეული ოჯახი ვალდებული იყო, „ქუქანკად“, ე.ი. წყალსადენის მომვლელ ხელოსნად გაეზარდა ერთი წევრი, რომელიც წყალსადენს მოუვლიდა და უპატრონებდა. გარდა ამისა, ანტონი გვამცნობს, რომ შიომღვიმე, თავის მხრივ, ვალდებული იყო წყალსადენის დაზიანებული თიხის მილები თავისი სახსრებით შეეძინა და საჭიროების შემთხვევაში, ქოსაისძეებს მუშახელითაც დახმარებოდა:

„და მას წყაროსა სათავესა იყო კუამლი ოხი სასეფოი... და ვჴვრეჴ და მოვაკსენ ღმერთსა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს, ხალთამცა იკი კლიხნი მის წყაროსა მკაზმავად უბოძნეს და მოაკსენნეს ამას მონასტერსა. ჭმიწყალოს და მიბოძნეს... ამით სიკეთეთა მკუიდრად და თავისუფლად მეფობასა მათსა საღოცავად... და მე კუფრინ სამსახური მის წყაროსი, რომელი ოხისავე სახლისაგან თუითეი ჴვილი მათი ჯუჯანკად კანსწავლეტბოდეს და ჴკაზმვიდენ მას წყაროსა. სხუა სამსახური არცა ხი კკლესიისი �as, თუინიერ წყაროსა კაზმვისაგან კიდე და თუ დიდი და ნივთი ხანმე საჯმე კამოჩნდეს, რომელი მათგან არ იჯნეტბოდეს, მონასტერი დაუდეტბოდეს, ანუ თუით მემოუიმე და კერეტული ზედა მივიდოდეს და ფოვლითუით უნაკლულოდ ჴკაზმვიდენ და მილი ოდესცა უნდეს, მემოუიმე კაიოტბდეს კკლესიისა ძალითა და საფასითა“.

დამტკიცების ამ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ანტონ ჭყონდიდელის ფრაზა, რომ მან თამარს ქოსაისძეების შიომღვიმისათვის შეწირვა სთხოვა: „ვჰკადრე და მოვაკსენე... მეფეთა მეფესა თამარს, რაითამცა იგი გლეხნი... უბოძნეს და მოაკსენნეს ამას მონასტერსა“. მართალია, ანტონი იქვე აზუსტებს, რომ თამარმა ქოსაისძეები პირდაპირ შიომღვიმეს კი არ შეწირა, არამედ ჯერ მას უწყალობა: „შემიწყალეს და მიბოძნეს“, მაგრამ აშკარაა, რომ ანტონს საქმის არსი მართებულად ესმის. ქოსაისძეთა შიომღვიმის საკუთრებაში გადასვლის მთელი მატერიალური სიმძიმე, რეალურად, სწორად თამარმა იტვირთა და მის საკუთრებაში მყოფი ქოსაისძეებიც ისე უწყალობა ჭყონდიდელს, რომ ამ მატერიალური დანაკარგის სანაცვლოდ, მისგან არაფერი მოუთხოვია. სწორედ ამას გულისხმობს ანტონი, როდესაც დიპლომატიურად აღნიშნავს, რომ მან თამარს ქოსაისძეთა ორი ოჯახის შიომღვიმისათვის შეწირვა სთხოვა.

დამტკიცებას ამთავრებს ვრცელი კრულობითი ტექსტი, რომელშიც ანტონ ჭყონდიდელი წყევლით ემუქრება ყველა იმ პირს, ვინც თამარის სიგელსა და თვის დამტკიცება-დაწერილში ასახულ იურიდიულ რეგულაციებს დაარღვევს:

„აწ ესე, ვითა ჯნილა და კაკუბელა, მცკიცე ფოს ომეხთმან და თუით მან წმიდამან შიო და ვინცა და ხამანცა კუსმან კაცმან: დიდმან ანუ მცირემან, აზნაურმან ანუ მოსაკმეგემან, ჯლიანუფალმან ანუ უჯლიანუფლომან, მონაზონმან კინა ეხისკანმან, კმეფემან და თუნდა შინა მფოფმან, წინამძღუარმან, მოძღუარმან და ანუ ჭეუბელმან დაკალოს, შეცვალოს და წარმიტუბითი ალარ ჭკაზმოს და არ იუხვოს, ხანისცა მიზეზისა მოუბითა, ნისფოხმცა არს ყოვლადწმიდისა ომხთისმშობლისათუის, არიოზ — ძისა მისისათუის, ჭეხოდე — ნათლისმცემლისათუის, დომენტიანე — იოვანე მახარებლისათუის,

ნეჰონ — წმიდათა მოციქულთათუის, დეოკლიტიონე და მარსიმიონე — წმიდათა მოწამეთათუის და სალაცა უსიმსხლო მსხუეჰრლი ჭინაჰვის და ონუ ჭნაჰულა და ბაჰძიმსა შინა წყალი ეჰთვის და ჰთულა, მისმცა ფუკლაისა მაღლთა კჰულა ცათა შინა და ჯუეფონასა ზეცა და მემცა უბჰალი ვიჯმნები ფოვკლთა ცოდვათა ჩემთაკონ და ამას წმიდასა უალბნისა შინა მფოფთა ჰასაცა ჟამსა ჰმაჰთბეს და საუჰავი უნდეს, ალაკლონ და ამა იუჰვონ, უზიაჰბკლომცა იჯმნებიონ დოესა კოჰცთაკონ გონსლოვისა მათისა და კამო-მცა-ეკუბიონ კჰებულისაკონ წმიდათა მამათაის".

თამარის სიგელის ბოლო, მეხუთე დამტკიცება ეკუთვნის ქართლის მთავარეპისკოპოსს, რომლის სახელიც ტექსტში მითითებული არ არის. უცნობი მღვდელმთავარი, ერთი მხრივ, ადასტურებს თამარის სიგელის, ანტონ ჭყონდიდელისა და შიომღვიმის სამონასტრო კრებულის დაწერილობის ნამდვილობას, ხოლო, მეორე მხრივ, წყევლა-კრულვას უთვლის ამ სამი დოკუმენტის მოთხოვნათა უგულებელსმყოფელებს:

„ჯ. ამას ბაძონებასა და სიგელსა ომჰთისა სწოჰისა მეგობეგისა თამჰისასა და ონდონი ქყონდიდელის და წმიდათა მამათა მოუიმლოთა, ჰომელი წყაჰოსათჳს კაცენი კოეხნი კაუცენიონ... მცა, ჯჰისდეს მიეჰ ჯჰათოსა მთავჰაბეისკოპოსი, მოწამე და ალამბეკიცებელი ვაჰ ბაძონებისა მათისა. ვინცა და ჰასაცა მიზეზსა შეკვალოს... ამის წყაჰოისა სჯეე, ომეჰთიმონ იკი შეუალოს წესთაკონ სალმჰთოთა და ალამბეკიცებელნი ომეჰთიმონ აკუჰთხნეს".



დედოფალი

დედოფლის, ე.ი. მეფის დედის, დის, ცოლის ან ასულის, მიერ გაცემული ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ისტორიული დოკუმენტები XIII საუკუნის II ნახევრით თარიღდება. ეს არის დასავლეთ საქართველოს მეფე დავით VI ნარინის (1249/1259 წ. – 1290-იანი წწ.) პირველი (?) ცოლის, დედოფალ თამარ ამანელისძის მიერ გაცემული ორი დოკუმენტი: 1. 1260-1267 წლების პირველი დაწერილი გელათის მონასტრისადმი; და 2. იმავე 1260-1267 წლების მეორე დაწერილი გელათის მონატრისადმი. განვიხილოთ ორივე დოკუმენტი.

1. დედოფალ თამარ ამანელისძის 1260-1267 წლების პირველი დაწერილი გელათის მონასტრისადმი.

თამარ ამანელისძე დაწერილის დასაწყის ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ ამ დოკუმენტის დედანი, რომელსაც ეტრატის გრაგნილის ფორმა უნდა ჰქონოდა, მიიტანა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ აგებულ გელათის მონასტერში, რომელიც ბაგრატიონ ხელმწიფეთა საუკუნო განსასვენებლს წარმოადგენდა და წინ დაუბრძანა ხახულის ღმრთისმშობლის ხატს, რომელიც მონასტრის მთავარ ტაძარში უნდა ყოფილიყო დასვენებული:

„დაწერილი ესე დავსდევ დიდსა და წმიდასა მონასტერსა, დიდისა დავითის აღშენებულსა, ომხოთივკჯჩკჯნოსანთა მეფეთმეფეთა სამკჯრეტლოსა კლოათის, წმიდა ომხოთისმშობლოსა ხახულოსსა წინაშე...“.

დაწერილის ციტირებულ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თამარ ამანელისძე თავის დოკუმენტს, მეფე თამარის ზემოთ განხილული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, არა სიგელის, არამედ დაწერილის სახელით მოიხსენიებს.

თამარ ამანელისძის დაწერილის განხილული ფრაგმენტი აჩვენებს, რომ დოკუმენტების სახელდების აღნიშნული ტრადიცია დედოფლების მიერ გაცემულ დოკუმენტებს, მეფეების მიერ გაცემულ დოკუმენტებთან შედარებით, უფრო ნაკლები იურიდიული ძალის მქონე აქტებად მიიჩნევდა და მათ არა სიგელების, არამედ დაწერილების კატეგორიას მიაკუთვნებდა.

ამგვარად, დგინდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მეფე და დედოფალი, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების საფუძველზე შექმნილ ერთ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, თანაბარი რანგის სამართლებრივი სუბიექტები არ იყვნენ და თავიანთი რანგის შესაბამისად, სხვადასხვა ძალმოსილების მქონე იურიდიულ აქტებს გამოსცემდნენ: მეფე — სიგელებს, ხოლო დედოფალი — დაწერილებს.

თამარ ამანელისძის დაწერილის განხილულ ფრაგმენტში არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ თამარმა დოკუმენტი გელათის მონასტერში მიიტანა და ის ხახულის ღმრთისმშობლის ხატს წინ დაუბრძანა.

ზემოთ, მეფე თამარის სიგელის განხილვის დროს, უკვე განვმარტე, რომ გელათის ზეციურ პატრონად და უმთავრეს სალოცავად ხახულის ღმრთისმშობლის ხატი მიიჩნეოდა და ამიტომ ყველა ის პირი, ვინც კი საუკუნეების მანძილზე მონასტერს რაიმე შეწირულებას აძლევდა, ამ შესაწირავს, პირველ ყოვლისა, ხახულის ღმრთისმშობელს უძღვნიდა და გაღებული შეწირულების სანაცვლო შეწევნასაც იმავე ხახულის ხატს შესთხოვდა.

თუ თამარ ამანელისძის მიერ თავისი დაწერილის გელათის მონასტერში მიტანისა და ხახულის ღმრთისმშობლის ხატისათვის წინ დაბრძანების აქტს აღნიშნული ტრადიციის კონტექსტში განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ თამარმა თავისი შესაწირავი, სხვა მრავალრიცხოვან შემომწირველთა მსგავსად, პირველ ყოვლისა, ხახულის ხატს მიართვა.

თამარ ამანელისძე დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში აღნიშნავს, რომ დოკუმენტი ხახულის ღმრთისმშობლის ხატს მიართვა იმ დროს, როდესაც მეფე დავით ნარინმა ცოლად შეირთო, დედოფლად აქცია და ამით „საპორციელოდ სახელოვან-ყო“, ე.ი. გამორჩეული საამქვეყნო პატივი არგუნა. თამარი დოკუმენტის ამავე ფრაგმენტში გვაუწყებს, რომ იგი მეფეზე ქორწინებით მინიჭებული „საპორციელი“ პატივით არ დაკმაყოფილდა, გადაწყვიტა, გვირგვინოსან მეუღლეს „სულიერი“ პატივითაც გათანაბრებოდა და ამ მიზნით, განიზრახა, ქმრის ოჯახის, ე.ი. ბაგრატიონ ხელმწიფეთა კუთვნილ გელათის მონასტერში, თავისი სამუდამო „საპსენებელი და სამწირველო“ გაეჩინა:

„...მას ჟამსა, ოდეს ინება ღმერთმან და ღირს მყო ძლევისა და უძლეველობისა მეფეობისა ხუსეინისა ძმან, ერვი მეფეობემან, ემნელოსძისა ასული თამარ მათისა სახლსა შიგან მათად ცოლად და ღირდოვლად მომიყუანეს და ვითა საპოხიერად მათ წინაშე ფოვამან სახელოვან-მყო, ესეოვე მათსა მონასტერსა შიგან საუკუნო სულისა ჩემისა საპსენებელი და სამწირველოსა კაცნა კეოლსვიერეინ“.



თამარ ამანელისძე დაწერილის ციტირებულ ფრაგმენტში იოტისოდენაც არ აჭარბებს, როდესაც აღნიშნავს, რომ მას, როგორც ამანელისძეთა ფეოდალური სახლის ასულს, მეფე დავით ნარინზე ქორწინებით გამორჩეული „საპორციელო“ პატივი ერგო.

დღისათვის გარკვეულია, რომ XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნიდან მოყოლებული, ორსაუკუნენახევრის მანძილზე, ქართველი მეფეები მხოლოდ და მხოლოდ სამეფო წარმომავლობის ქალებზე, ე.ი. უცხო ქვეყნების ხელმწიფეთა ასულებზე, ქორწინდებოდნენ.

აღნიშნული ტრადიცია პირველად XIII საუკუნის შუახანებში დაირღვა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ დავით VII ლაშას ძემ (1247-1270 წწ.) არა უცხო ქვეყნის ხელმწიფის ქალი, არამედ ქართველი დიდებულის, რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერისძის ასული — გვანცა შეირთო.

დავით ნარინისა და თამარ ამანელისძის ქორწინებას დავით ლაშას ძისა და გვანცას ქორწინებიდან ათიოდე წლის შემდეგ, 1260-იანი წლების I ნახევარში ჰქონდა ადგილი.

ამგვარად, დგინდება, დავით ნარინის მიერ ქართველი დიდებულების — ამანელისძეების ასულის ცოლად შერთვა საქართველოს მეფეების ქორწინების ორსაუკუნენახევრიანი ტრადიციის დარღვევის რიგით მეორე შემთხვევას წარმოადგენდა, თამარ ამანელისძე კი ქართული ფეოდალური საზოგადოებიდან გამოსული რიგით მეორე ქალი იყო, რომელსაც ქართველ მეფესთან ქორწინების მანამდე უპრეცედენტო პატივი ერგო წილად.

შესაძლოა, სწორედ ამ უპრეცდენტო პატივის გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ თამარ ამანელისძე თავის დაწერილში, როგორც ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტში, ისე სხვა ფრაგმენტებში, გვირგვინოსან მეუღლეს ყოველთვის მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს და მას პატრონს, ე.ი. სუზერენს უწოდებს.

ცალკე მსჯელობის საგანია თამარ ამანელისძის გადაწყვეტილება, თავისი სამუდამო „საჯსენებელი და სამწირველო“ გაეჩინა გელათის მონასტერში, რომელიც მისი მეუღლის ოჯახის საგვარეულო განსასვენებელი იყო.

სამწირველო წარმოადგენდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიიდან კარგად ცნობილ კერძო ფეოდალურ ორგანაზაციას, რომელსაც კონკრეტული პირი ან პირთა ჯგუფი კონკრეტულ მონასტერში, ამ მონასტერის



ნებართვით აფუძნებდა. სამწირველოს უპირველესი ამოცანა მისი დამფუძნებლისათვის სამუდამო აღაპის გადახდის უზრუნველყოფა იყო.
სამწირველოში აღაპის გადახდა, ძირითადად, ითვალისწინებდა დამფუძნებლის სულისათვის კერძო ღმრთისმსახურების (ლიტურგიის) ჩატარებასა და პურობის (ტრაპეზის) გამართვას. აღაპის გადახდა ხდებოდა წელიწადში ერთხელ ან რამდენიმეჯერ, იმ კონკრეტულ დღესა თუ დღეებში, რომლებიც დამფუძნებლის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული. დამფუძნებლის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული აღაპით გათვალისწინებული ღმრთისმსახურების ჩატარებისა და პურობის გადახდის პირობებიც.

დამფუძნებელი სამწირველოს საკუთრებაში გადასცემდა გარკვეული ოდენობის ყმა-მამულსა და სხვადასხვა სახის უძრავ-მოძრავ ქონებას, რომელიც სამწირველოს არსებობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მატერიალურ საფუძველს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, დამფუძნებელი დაადგენდა მწირველს (იშვიათად — მწირველებს), რომელიც სასულიერო პირი იყო და უპირატესად იმავე მონასტერში მოღვაწეობდა, რომელშიც სამწირველო იყო დაფუძნებული. სწორედ მწირველი იყო სამწირველოს, როგორც ორგანიზაციის, მმართველი და მისი კუთვნილი ყმა-მამულისა თუ უძრავ-მოძრავი ქონების გამგებელი. მწირველის, როგორც სასულიერო პირის, მოვალეობა იყო დამფუძნებლის სულისათვის სააღაპე ღმრთისმსახურების ჩატარება. მწირველისავე მოვალეობა იყო დამფუძნებლის სულისათვის გამართული სააღაპე პურობის ორგანიზება, რომელსაც, ძირითადად, შესაბამისი მონასტრის მოწესეები, ხოლო ზოგჯერ, საგანგებოდ პურობისათვის გარედან მოსული პირები, უპირატესად, უპოვარები და გლახაკები, ესწრებოდნენ. მწირველი სამწირველოსა და მისი ქონების მართვა-გამგეობისათვის გაწეული შრომის ანაზღაურებას, აგრეთვე, სააღაპე ღმრთისმსახურების ჩატარებისა და სააღაპე პურობის ორგანიზების საფასურს, სამწირველოს შემოსავლებიდან იღებდა. მწირველის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს იკავებდა სხვა მწირველი, რომლის შერჩევისა და დადგენის წესიც დამფუძნებელს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული. როგორც წესი, გარდაცვლილი მწირველის ადგილს იკავებდა მისივე ნათესავი, რომელსაც მწირველი სიყრმის ასაკიდან ამ საქმისათვის ზრდიდა და ამზადებდა.

რიგ შემთხვევებში, დამფუძნებელი სამწირველოს, ყმა-მამულისა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების გარდა, წირავდა, ე.ი. საკუთრებაში გადასცემდა, მცირე ზომის ეკლესიას ან სამლოცველოს, სენაკებსა და სამეურნეო ნაგებობებსაც, რომლებიც შესაბამისი მონასტრის ტერი-ტორიაზე ან მის მახლობლად მდებარეობდა. მცირე ეკლესია და სამლოცველო გამოიყენებოდა სააღაპე ღმრთისმსახურების ჩასატარებლად, სენაკები — მწირველის საცხოვრებლად, ხოლო სამეურნეო ნაგებობები — სააღაპე პურობისათვის განკუთვნილი პროდუქტის შესანახად.

მიუხედავად იმისა, რომ სამწირველო კონკრეტულ მონასტერში იყო დაფუძნებული, ის, როგორც ორგანიზაცია, მონასტრის, როგორც ორგანიზაციისაგან, დამოუკიდებელი იყო და საუკუნეების განმავლობაში სწორედ დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახით ფუნქციონირებდა.

მაშასადამე, თამარ ამანელისძეს დავით ნარინზე ქორწინებისა და დედოფლის სტატუსის მიღების შემდეგ, გადაწყვეტილი ჰქონდა, გელათის მონასტერში, ბაგრატიონ ხელმწიფეთა საგვარეულო განსასვენებელში, დაეარსებინა საკუთარი სამწირველო, ე.ი. მცირე ფეოდალური ორგანიზაცია, რომლის დახმარებითაც გელათში საუკუნეების მანძილზე აღასრულებდნენ მის სააღაპე ღმრთისმსახურებასა და პურობას.

თამარ ამანელისძე დაწერილის შემდეგ ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ დავით ნარინის დიდმოხელის, ამირეჯიბ ბეღე ქობულისძისაგან იყიდა სოფელი კვახჭირი, რომელიც, როგორც ცნობილია, იმერეთში, ქალაქ ქუთაისის მახლობლად მდებარეობს. თამარი გადმოგვცემს, რომ მან ბეღეს კვახჭირის სანაცვლოდ, გადაუხადა 12 000 თეთრი, ე.ი. ვერცხლის ფული, აგრეთვე, სხვა „მისაცემელი“, რომლის რაობა და ოდენობა დოკუმენტში მითითებული არ არის. თამარი გვაუწყებს, რომ იგი კვახჭირის შეძენამდე ჯერ მეუღლეს დაეკითხა, შემდეგ მის ვაზირებს, ე.ი.

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის უმაღლეს მოხელეებს ჰკითხა რჩევა და როცა ქმრისაგან „ბრძანება“, ე.ი. ნებართვა, ხოლო ვაზირებისაგან „მოწმობა“, ე.ი. გადაწყვეტილების მართებულობის დადასტურება მიიღო, მხოლოდ ამის შემდეგ იყიდა სოფელი. თამარი გვამცნობს, რომ თავის დროზე კვახჭირი ბეღესათვის დავით ნარინს უბოძებია. ამასთან, მეფეს ბეღესათვის მიუცია სიგელი, რომელშიც ჩაწერილი ყოფილა, რომ თუკი ოდესმე აღმოჩნდებოდა დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნებოდა, რომ ვინმე სხვა პირს კვახჭირზე რაიმე უფლებები ჰქონდა, ასეთი დოკუმენტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო:

„კიოხვითა და ბძანებითა ღმერთისა სწორისა მეფეთმეფისა დავითისითა და მათითა ვაზირითა კიოხვთა და მოწმებითა, ვიყიდე სოფელი კვახჭირი მათისა ამირაჯიბის ჯობულოსძისა ბეღესგან, სხვსა ყოველსა მისაცემელისაგან კიდე, ოთხმეფეთას თეთრად, ჯალრონთაგან მისთვის ესეთითა სიგელითა ბოძებული, ხომელსა ესე სწერია: „თუ ხარ ვის კვახჭირს სიგელი და დაწერილი ჭონდეს, ამით სიგელითა იგი ყოველი ძაგვცეხია და მცეიცე ესე ოდენ“.

თამარ ამანელისძის დაწერილის ციტირებულ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სოფელი კვახჭირი ბეღე ქობულისძისაგან არა დავით ნარინმა ან მთლიანად სამეფო ოჯახმა, არამედ კონკრეტულად თამარმა იყიდა.
აქედან ვიგებთ, რომ თამარ ამანელისძის დაწერილში მითითებული თანხა — 12 000 ვერცხლის ფული და სხვა „მისაცემელი“, რომელიც თამარმა ბეღე ქობულისძეს გადაუხადა, არა დავით ნარინის ან სამეფო ოჯახის, არამედ საკუთრივ თამარის, როგორც დედოფლის, პირადი საკუთრება იყო. ცხადია, თამარის, როგორც დედოფლის, პირადი საკუთრება იყო სოფელი კვახჭირიც, რომელიც თამარმა დასახელებული თანხის საფასურად იყიდა.

მართალია, თამარ ამანელისძის დაწერილიდან არ ჩანს, თუ რა გზით აღმოჩნდა ბეღე ქობულისძისათვის გადახდილი თანხა თამარის პირად საკუთრებაში, მაგრამ საფიქრებელია, თამარს ეს თანხა მამის ოჯახიდან მზითვის სახით ჰქონოდა მიღებული.

საერთოდ, ის ფაქტი, რომ თამარ ამანელისძე მდიდრული მზითვის მფლობელი იქნებოდა, რაიმე ეჭვს არ იწვევს. ჯერ ერთი, თამარი, გვანცა კახაბერისძის შემდეგ, რიგით მეორე ქართველი ქალი იყო, რომელიც საქართველოს მეფეზე დაქორწინდა და სავსებით ნათელია, რომ მამის ოჯახი მას, დედოფლად გახდომის შემდეგ სამეფო კარისათვის შესაფერის მზითვს გაატანდა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ამანელისძეთა ფეოდალური სახლის წევრები, ტრადიციულად, ცხუმის (სოხუმის) ერისთავობას ფლობდნენ, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საზღვაო-სავაჭრო ქალაქს განაგებდნენ და თამარისათვის მდიდრული მზითვის გატანება არ გაუჭირდებოდათ.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, რომ თამარ ამანელისძემ კვახჭირის შეძენამდე თავისი გადაწყვეტილება ჯერ დავით ნარინს გააცნო და სოფელი მხოლოდ მას შემდეგ იყიდა, რაც გვირგვინოსანი მეუღლისაგან შესაბამისი ნებართვა მიიღო.

როგორც ჩანს, მართალია, სოფლის შესაძენი თანხა თამარ ამანელისძის, როგორც დედოფლის, პირადი საკუთრება იყო, მაგრამ ამ თანხის რაიმე დანიშნულებით გამოყენებისათვის მას გვირგვინოსანი მეუღლის ნებართვა მაინც სჭირდებოდა.

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ თამარ ამანელისძემ კვახჭირის შეძენამდე რჩევა დავით ნარინის ვაზირებსაც სთხოვა და სოფელი მხოლოდ მას შემდეგ იყიდა, რაც ვაზირებმა გადაწყვეტილების მართებულობა დაუდასტურეს.

დღეისათვის დადგენილია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ვაზირის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა მეფისათვის რჩევის მიცემა იყო. თამარ ამანელისძის დაწერილი ჩვენ ცოდნას დამატებითი ინფორმაციით ავსებს და გვაუწყებს, რომ მეფის სამსახურში მდგომი ვაზირები რჩევებს არამხოლოდ მონარქებს, არამედ დედოფლებსაც აძლევდნენ.

თამარ ამანელისძე დაწერილის მომდევო ფრაგმენტში გადმოგვცემს, რომ გელათის მონასტერში, განსახილველი დაწერილის გარდა, მიიტანა და დატოვა კიდევ ორი დოკუმენტი: 1. დავით ნარინის მიერ ბეღე ქობულისძისათვის მიცემული სიგელი, რომლითაც მეფემ ბეღეს კვახჭირი უბოძა; და 2. ბეღე ქობულისძის მიერ თამარისათვის მიცემული დაწერილი, რომლითაც ბეღემ იგივე სოფელი თამარს მიჰყიდა. გარდა ამისა, თამარი გვაუწყებს, რომ დასახელებული სამი დოკუმენტის გელათში მიტანა და მონასტრისათვის კვახჭირის შეწირვა შეთანხმებული იყო გელათში მოღვაწე მონაზვნებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებდნენ თამარისაგან შეწირულების მიღების აქტს. თამარის თქმით, ეს პირები იყვნენ: 1. მოძღვართმოძღვარი ანტონი, რომელიც იმავდროულად, დავით აღმაშენებლის მწირველიც იყო; 2. წინამძღვარი იოვანე, რომელიც, პარალელურად, დავით ნარინის მწირველიც იყო; 3. იმავე დავით ნარინის გამზრდელი ილარიონ ფავნელი, რომელიც, ამასთანავე, მეფე თამარის მწირველიც იყო; 4. დეკანოზი პეტრე; და მონასტრის სხვა მოწესეები, რომლებსაც თამარი „დიდი დავითის“, ე.ი. მონასტრის დამაარსებლის — დავით აღმაშენებლის სულიერ ძმებს უწოდებს:

„...და თვით იგი სიგელი და ბეღესკენ ზემოჴს მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა, კიმხჴთა, მოკსენებით და მოწმებითა დიდისა მოძღუართმოძღურისა, დავითის მწირველისა ანტონისითა, დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, ჯერეონთა მწირველისა იოვანესითა, ჯერეონთა კამზრდელისა, თამარის მწირველისათა ილარიონ ფავნელისათა, ჯერე დეკანოზისა და ყოველთა დიდისა დავითის ძმათათა...“.

ის ფაქტი, რომ თამარ ამანელისძემ გელათის მონასტერში საკუთარი დაწერილის გარდა, სოფელ კვახჭირის მფლობელობასთან დაკავშირებული ორი სხვა, უფრო ადრეული დოკუმენტიც მიიტანა, კარგად აჩვენებს, რომ თამარს საფუძვლიანი სამართლებრივი ცოდნა ჰქონდა. მან, დაუშვა ის ვარიანტი, რომ შესაძლოა, სამომავლოდ ვინმე სუბიექტს გელათთან კვახჭირის მფლობელობის თაობაზე სამართლებრივი დავა წამოეწყო და ამ მოსალოდნელი საფრთხის პრევენციის მიზნით, მონასტერს წინასწარ გადასცა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც გელათს სამართლებრივ დავაში გამარჯვების გარანტიას აძლევდა.

თამარ ამანელისძე დაწერილის შემდეგ ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ გელათში დააფუძნა თავისი კერძო სამწირველო, ე.ი. მცირე ფეოდალური ორგანიზაცია და იქ მწირველად, ე.ი. სამწირველოს, როგორც ორგანიზაციის მმართველად, დაადგინა მონაზონი იოვანე, რომელიც გელათში მოღვაწეობდა და მონასტრის კანდელაკის, ე.ი. მნათეს თანამდებობას ფლობდა. თამარმა სწორედ მწირველად დადგენილ იოვანეს „მიუთვალა“, ე.ი. ჩააბარა ბეღე ქობულისძისაგან ნაყიდი სოფელი კვახჭირი, აგრეთვე, ორი ყმა-გლეხი — კვედუროსძე და ციბალასძე, რომლებიც თამარისათვის დავით ნარინის ჰქონია ნაბოძები. დოკუმენტის მიხედვით, კვედუროსძე და ციბალასძე სახლობდნენ სოფლებში — მესხეთსა და ფარსმანაყანევში, რომლებიც, როგორც ცნობილია, იმერეთში, ქუთაისის მახლობლად მდებარეობს. გარდა ამისა, თამარმა იოვანეს ჩააბარა „პიპოსეული სახლებიც“, ე.ი. გელათის ტერიტორიაზე მდებარე სენაკები, რომლებიც თავის დროზე ვინმე პიპოს საკუთრება ყოფილა. ეს სენაკები იოვანეს, ერთი მხრივ, საცხოვრებლად, ხოლო, მეორე მხრივ, თამარისათვის გადასახდელი სააღაპე ღმრთისმსახურებისა და პურობისათვის საჭირო სანთლისა თუ საკვები პროდუქტის შესანახად უნდა გამოეყენებინა. დასასრულ, თამარმა განაწესა, რომ მისთვის ყოველ

წელიწადში ერთხელ, დიდმარხვის მეორე შვიდეულის კვირა დღეს, გელათის მონასტერში უნდა გადაეხადათ მისი აღაპი, რომელიც, თავის მხრივ, ღმრთისმსახურების ჩატარებასა და პურობის გამართვას ითვალისწინებდა:

„...და ვაჩინე მწირველად ჩემად ლიხი და ჰესიოსნი კონდლაკი იოვნე და გამიჩინეს ადგილად დღე მეოხე მსხვათა, კვრიაკე, სნეულნი და ყოველთაუით უნაკლულო და გაუჩინეთ სახლნი ჰარელეულნი და ფრიალეზ-სალერმნი, ვითა წესია და მიუთვალე სოფელი კვალფიი და მესხეთს ეთი ქლეხი, ჰესიხონთაკონ ბოძებულო კვლეუფოსძე და სალოვნელ ვასმონაყონეს ფიბლასძე, მწირველსა ჩემსა იოვნე კონდლაკსა".

თამარ ამანელისძე დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში აღნიშნავს, რომ მისი აღაპის გადახდაზე პასუხისმგებლობა მწირველად დადგენილ იოვანეს ეკისრებოდა. სწორედ იოვანეს უნდა ჩაეტარებინა სააღაპე ღმრთისმსახურება, რომელშიც, გელათის მონასტერში მოღვაწე ყველა მოწესეს უნდა მიეღო მონაწილეობა. თამარის მითითებით, იოვანეს ღმრთისმსახურების პროცესში უხვად უნდა გამოეყენებინა სანთელი, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში ძალზე ძვირად ფასობდა. გარდა ამისა, იოვანეს ღმრთისმსახურების დამთავრების შემდეგ უნდა გაემართა სააღაპე პურობა, რომელსაც გელათის ყველა მოწესე უნდა დასწრებოდა:

„ვიდრემდისცა ცოცხალნი იყოს, ამას ადგილსა ჩემსა უნაკლულოდ გარეკიდეს, მღვლოთა, დიაკონთა და ყოველსა სვეტებსა ეკლესიასა ლოცვებითა, წიგნითა, სნეულთა, ვითა წესია ბერსა მონასტერსა ადგილთა და მეხმე ფრიალეზს, მოძღუარითმოძღუარსა, წინამძღუარსა, ეკონომოზსა და ყოველთა ძმათა კეთილად ნუგეშინისცემითა და გონსუენებითა...".

თამარ ამანელისძე დაწერილის შემდეგ ფრაგმენტში გვაუწყებს, რომ მისი აღაპის გადახდაზე პასუხისმგებლობა მწირველად დაგენილ იოვანეს სიცოცხლის ბოლომდე ეკისრებოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი გელათის სამონასტრო კრებულს, საერთო გადაწყვეტილების გზით, მწირველად უნდა დაედგინა ის პირი, რომელსაც იოვანე საგანგებოდ ამ საქმისათვის აღზრდიდა და მოამზადებდა. დოკუმენტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუკი იოვანეს გარდაცვალების შემდეგ გათავისუფლებულ მწირველის თანამდებობას იოვანეს მიერ გაზრდილი პირი რაიმე მიზეზის გამო ვერ დაიკავებდა, მაშინ გელათის სამონასტრო კრებულს, აგრეთვე, საერთო გადაწყვეტილების გზით, მწირველად უნდა დაედგინა სხვა პირი, რომელიც ამ თანამდებობას ყველაზე მეტად იმსახურებდა:

„...და შემდგომად მისა, თუ კაზჩრილო იყოს მისი ოიხსი, მოძოუსითმოძოუსიასა, წინამძოუსიასა, რეკანოზისა და ყოველთა ძმათა კიოხვთა, ბჟანგითა და კამოხჩევითა იკი ოჩინონ და თუ მისი კაზჩრილო ესეი სჩვინ იყოს, ვინცა სხუა ესეი იყოს, ხომე მონასტერს ემსახუჰბოდეს, ყოველთაკე ძმათა კამოხჩევითა და ბჟანგითა იკი ოჩინებოდეს".

როგორც ვხედავთ, თამარ ამანელისძის დაწერილის ზემოთ ციტირებული სამი ფრაგმენტი შეიცავს მკაფიოდ გაწერილი უფლებებისა და მოვალეობების მთელ სქემას, რომელიც საშუალებას იძლეოდა, თამარის მიერ დოკუმენტით განსაზღვრული პირობები საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ყოფილიყო აღსრულებული.

თამარ ამანელისძის დაწერილზე, როგორც იურიდიულ აქტზე, დაკვირვება, ერთი მხრივ, აჩვენებს, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში კერძო საკუთრებასა და ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, სამართლებრივი თვალსაზრისით, მაღალ დონეზე იყო რეგულირებული, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თამარს საფუძვლიანი იურიდიული ცოდნა ჰქონდა, სამართლებრივ ურთიერთობებში შესანიშნავად ერკვეოდა და თავის კომპეტენციას დოკუმენტების გაცემის პროცესში სრულფასოვნად იყენებდა.

თამარ ამანელისძე დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში აღნიშნავს, რომ დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები ზედმიწევნით ზუსტად უნდა იქნეს აღსრულებული და წყევლა-კრულვით ემუქრება ყველა იმ პირს, ვინც რაიმე მიზეზით უგულებელყოფს დოკუმენტის პირობებს:

„ესე ჩემჴ სასოჴმი და ერითა კულსმოდგენჴმითა მოკონჴულო და ჯმნილო წმიდასა ერსა მონასტერსსა კლოკის შწიხულო და ჩემჴ ჩემითა ოჯხოთა ნასყიდი, ხისაჴ და ჟამსა შმოჴმითა შმიკვალოს დოე ალაკრ კაჩენილი და სამწიხვლო კვალჴიხი და მესხეთს კლოხი ეხოი კვლეუხოსძე და სალონე კუკრხასძე, შნ, ყოვლადწმიდაო ღმხოისმშობლოო ხალულოსაო, ძისა შნისა მკმობლითა და მკლალუხესა თონა დასაჯე და თვთ შნ, ყოვლადწმიდისა მკმობლითა ნისტოხის და ოხიკენისთონა და ყოვლოთამკა ბხალოთა და კოდვათა ჩემთათუს იკი მისკემს სიტყუასა ღმეხოისა, ტოესა მას ერსა ტონკიოხესასა“.

თამარ ამანელისძე დაწერილის ჩვენამდე მოღწეული ტექსტის ბოლო ფრაგმენტში გვაუწყებს, რომ დოკუმენტი დაწერილი იყო „სეფის“, ე.ი. მეფის სამსახურში მდგომი ზარდახნის მწიგნობრის დაბნედილის ხელით:

„სეფისა ზარდახნისა მწიგნობარისა დაბნედილისა ჯალიოთ დამიწერია“.

ჩვენ ზემოთ, მეფე თამარის სიგელის განხილვის დროს, ვნახეთ, რომ თამარის დოკუმენტი შედგენილი იყო არსენ სამძივარის ხელით, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის წარჩინებული მოხელე იყო და საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობრების შეწყვილებულ თანამდებობებს ფლობდა.

თამარ ამანელისძის დაწერილიდან ვიგებთ, რომ ეს დოკუმენტი შედგენილი იყო სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის სხვა წარჩინებული მოხელის - ზარადხანის მწიგნობრის მიერ, რომელიც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ხელქვეით მოხელეთა იერარქიაში საწოლის მწიგნობრის მომდევნო საფეხურზე იდგა.

როგორც ჩანს, თამარ ამანელისძემ ისარგებლა დედოფლის სტატუსით და დაწერილის შედგენა დაავალა ზარადხანის მწიგნობარს, რომელიც მისი გვირგვინოსანი მეუღლის სამსახურში იდგა და სამეფო კარზე მსახურობდა.

2. დედოფალ თამარ ამანელისძის 1260-1267 წლების მეორე დაწერილი გელათის მონასტრისადმი.

თამარ ამანელისძე დაწერილის დასაწყის ფრაგმენტში, პირველ ყოვლისა, წარმოგვიდგენს საკუთარ თავს, უფრო ზუსტად კი, მიუთითებს თავის სახელს, სტატუსს, გვირგვინოსანი ქმრის ვინაობასა და საგვარეულო კუთვნილებას. ამის შემდეგ თამარი მოგვითხრობს, რომ ცოტნე გარაყანისძისაგან შეიძინა სოფელი ჯიქეფონი, რომლის ადგილმდებარეობაც, ჯერჯერობით, დაუდგენელია. თამარი აღნიშნავს, რომ თავად ცოტნეს ჯიქეფონის ერთი ნაწილი შეძენილი ჰქონდა, ხოლო მეორე ნაწილი „ნასისხლად“ ჰქონდა მიღებული, ე.ი. მის წინაშე სასისხლო დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის დანაშაულის პატიების საფასურად ჰქონდა გამორთმეული. თამარის თქმით, იგი საგანგებოდ შეხვდა დასავლეთ საქართველოს სამეფოს დიდებულებს, აგრეთვე, იმ პირებს, ვისაც ჯიქეფონის ნაწილი ცოტნესათვის „ნასისხლად“ ჰქონდათ მიცემული და მხოლოდ მას შემდეგ შეიძინა სოფელი, რაც დარწმუნდა, რომ სოფელი ნამდვილად ცოტნეს საკუთრება იყო და მასზე უფლებას არც ჯიქეფონის ძველი მეპატრონე აცხადებდა და არც ვინმე სხვა სუბიექტი:

„...მე, თამარ დედოფალმან, სულოკუჰიძეულსა და სანადჩალოისა მეფისა ჰუსუფანის ძისა, ყოველთა მეფეთა მეფისა დავითის ცოლმან და ქმნილასძისა ასულმან, ვიყიდე სოფელი ჯიქეფონი ცოცხე გარაყანისძისაგან, მისგანაც ნასყიდი და ნასისხლი, ამა ჯუყანისა დიდებულთა და აზნაურთა და მისთა მესისხლეთა და მოსამართლეთა ყოველსა დაჯდომითა, უსარჩელი და მოუდავარი ყოველსა ადამიანისაგან...“.

სამწუხაროდ, დაწერილის ციტირებულ ფრაგმენტში, თამარ ამანელისძის მიერ გელათისათვის მიცემული პირველი დაწერილის შესაბამისი ფრაგმენტისაგან განსხვავებით, მითითებული არ არის, თუ რა ოდენობის თანხა გადაუხადა თამარ ამანელისძემ ცოტნე გარაყანისძეს. სამაგიეროდ, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ცოტნესათვის მიცემული თანხა თამარის პირადი საკუთრება იყო და ის მას, სავარაუდოდ, მამის ოჯახიდან მზითვის სახით ჰქონდა მიღებული.

თამარ ამანელისძე დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში გვაუწყებს, რომ მან ცოტნე გარაყანისძისაგან ნაყიდი სოფელი ჯიქეფონი გელათის მონასტერსა და ამ სავანის ზეციურ პატრონს — ხახულის ღმრთისმშობლის ხატს შეწირა. გარდა ამისა, თამარი გვამცნობს, რომ გელათის სამონასტრო კრებულმა მას, ჯიქეფონის შემოწირვის სანაცვლოდ, განუწესა ახალი საუკუნო აღაპი, რომელიც წელიწადში ერთხელ, 20 სექტემბერს, ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულზე უნდა გადაეხადათ. თამარის თქმით, სამონასტრო კრებული ვალდებული იყო მისი აღაპის გადახდის დროს უხვად გამოეყენებინა სანთელი, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში ძალზედ ძვირად ფასობდა. დასასრულ, თამარი დასძენს, რომ სამონასტრო კრებული ვალდებული იყო, გელათში გამართული ყოველი ტრაპეზის დროს იგი ლოცვებში მოეხსენიებინა:

„...და შვწირე და მოვაკსენე ყოვლად წმიდასა ღმერთმშობელსა ხახულისასა, დიდსა მონასტერსა გელათს, საუკუნოდ, საღოცველად და საკოკრად სულსა ჩემისად, ვიდრემდისცა წმიდა ესე მონასტერი ეგოს და კავიჩინე ალაკი სანთელი და დო სკერემბერსა ოცსა, ღმერთმშობლისა შობაი და ყოველთა დღეთა ფრაკრებსა ზედა სახელოვნებით მოვიკსენებოდეთ“.



თამარ ამანელისძე დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში, რომელმაც ჩვენამდე ნაკლული სახით მოაღწია, აღნიშნავს, რომ მან ჯიქეფონის შეძენისა და გელათისათვის შეწირვის ნებართვა ქმრისაგან — მეფე დავით ნარინისაგან მიიღო. გარდა ამისა, თამარი აზუსტებს იმასაც, რომ მის მიერ შეძენილ და გელათისათვის შეწირულ სოფელში თორმეტი „გლეხი“, ე.ი. გლეხის ოჯახი ცხოვრობდა, საიდანაც ვიგებთ, რომ ჯიქეფონი მაინცადამაინც ხალხმრავალი დასახლება არ იყო:

„ესე ჩემ თამარისაგან ერეოვლისაგან ნასყიდი... ომხთის სწორისა ხუსურანის ძისა მეჯომეფისა ბძანებითა და ერჯლომითა... ნასყიდი სოფელი ჯიქეფონი, თორმეტი კოეხი, მისითა მიწა-წყლითა და მიმდგომითა მთითა, ბარითა... ზღუჩითა ...“.

სამწუხაროდ, თამარ ამანელისძე დაწერილის ბოლო ფრაგმენტები დაკარგულია და მათი განხილვა ვეღარ ხერხდება. მიუხედავად ამისა, დოკუმენტის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები, ისევე როგორც გელათისათვის მიცემული პირველი დაწერილი, აჩვენებს რომ თამარი საკმაოდ დიდ პირად ქონებას ფლობდა და ამ ქონების გარკვეულ ნაწილს გელათისათვის შესაწირავი სოფლის შესაძენად ხარჯავდა. გარდა ამისა, ეს ფრაგმენტები, პირველი დაწერილის მსგავსად, აჩვენებს იმასაც, რომ თამარს მაღალი სამართლებრივი აზროვნება ჰქონდა და მონასტრისათვის შესაწირავი სოფლის შეძენამდე საგანგებოდ არკვევდა, ამ სოფელზე ვინმე სხვა სუბიექტი რაიმე უფლებას ხომ არ აცხადებდა.

ქალი ფეოდალი

ქალი ფეოდალის, ე.ი. ფეოდალის დედის, დის, ცოლის ან ასულის, მიერ გაცემული ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ისტორიული დოკუმენტი XIII საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი არისტოკრატული საგვარეულოს, სურამელთა ფეოდალარი სახლის რძლის — ქაქანას მიერ შიდა ქართლის გაღმა მხარში, მდინარე კავთურას ხეობაში მდებარე ქვათახევის მონასტრისათვის მიცემული დაწერილი.

ქაქანას დაწერილის დასაწყისი ფრაგმენტი შეიცავს ვრცელ საღმრთისმეტყველო ტექსტს, რომელშიც თავდაპირველად მამა, ძე და სული წმიდა, ე.ი. სამებაა დასახელებული, ხოლო შემდეგ სხვადასხვა წმიდანები და ზეციური ძალები არიან ჩამოთვლილი:

„ჰ. სპეტლითა ჰისტორიოსა და ჰისტორიუბერტლისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მოხუცითა და ჭწკვნითა ყოველად უხრწნელისა ღელოვლისა ზუენისა ომოიოსმშობლისა და მარიამ ჯალწულისა მარიამისაითა, შუამგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა მთავარანგელოზთა: მიქელ, გაბრიელ და მისა ჭმეგომთა ძალთაითა, მოხუცითა და ძალთა ყოველთა ნაშობთა უმეცესისა წმიდისა წინაისწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესაითა, ძალთა და ჭწკვნითა, რომელი მიეყრდნა სეობასა მასა მკერდსა მაცხოვრისასა, წმიდისა იოვან მახარებელისა და ომოიოსმეტყველისაითა, წმიდათა და ყოველად ჯუბულთა მოციქულთა, მოწამეთა, მღვდელთმოძღვართა, წინასწარმეტყველთა, ნეტართა მამათა და მამათმთავართა, მოწესეთა და მეუბანოეთაითა და რომელნი საუკუნითგან საფინო ეფუნეს უფალსა ომეთსა ზუენსა და საფინო-ყოველ არან, ამათ ყოველთა ძალთა, ჭწკვნითა და მეოხებითა წმიდისა და ლუანწო-მთავრისა, მკნისა, ლოვნისა მკერდისა ბოთეი კავთისაითა...".

როგორც ვხედავთ, ქაქანას დაწერილის ციტირებული დასაწყისი ფრაგმენტი არსებითად განსხვავდება თამარის ზემოთ განხილული სიგელის დასაწყისი ფრაგმენტისაგან, რომელიც შეიცავს მოკლე ფრაზას „სახელითა ღმრთისაითა“, აგრეთვე, თამარ ამანელისძის ზემოთ განხილული დაწერილისაგან, რომლის ჩვენამდე მოღწეული ტექსტის დასაწყისშიც ღმერთის ხსენება საერთოდ არ გვხვდება.

ქაქანას დაწერილის დასაწყის ფრაგმენტში, მეფე თამარის სიგელის დასაწყის ფრაგმენტში მითითებული ღმერთის ხსენების ნაცვლად, შეტანილია ვრცელი საღმრთისმეტყველო შესავალი ტექსტი, რომელშიც მამის, ძისა და სული წმიდის, ე.ი. სამების დასახელების შემდეგ ჩამოთვლილი არიან სხვადასხვა წმიდანები და ზეციური ძალები: ღმრთისმშობელი, მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი, სხვა მთავარნგელოზები და ანგელოზები, იოვანე ნათლისმცემელი, იოვანე ღმრთისმეტყველი, მოციქულები, მოწამეები, მღვდელთმოძღვრები, წინასწარმეტყველები, ნეტარი მამები, მამათმთავრები, მოწესეები, მეუდაბნოეები და სხვ.

ქაქანას დაწერილის დასაწყის ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ საღმრთისმეტყველო შესავალ ტექსტში მასში შეტანილი, მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ცნობილ ზეციურ ძალთა და წმიდანთა ჩამონათვალის ბოლოს დასახელებულია „წმიდა გიორგი კავთისაი“, ე.ი. კავთის წმ. გიორგის ხატი, რომელიც საკუთრივ საქართველოში ცნობილი სიწმიდე იყო.

ამ საყურადღებო ფაქტს თავისი ახსნა აქვს. დღეისათვის გარკვეულია, რომ ამა თუ იმ წერილობითი ძეგლის საღმრთისმეტყველო შესავალ ტესტში შეტანილი მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ცნობილ ზეციურ ძალთა და წმიდანთა ჩამონათვალს, რიგ შემთხვევებში, ამთავრებს იმ კონკრეტული, ლოკალურ სივრცეში ცნობილი წმიდანისა თუ სიწმიდის მოხსენიება, რომლის მიმართაც ამ წერილობით ძეგლის დამკვეთს, დამწერს ან მომავალ მფლობელს განსაკუთრებული სიყვარული და სასოება ჰქონდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ირკვევა, რომ ქაქანას დაწერილის შედგენის დროს, ე.ი. XIII საუკუნის მიწურულს, კავთის წმ. გიორგის ხატი ქაქანას საცხოვრებელი არეალისა და ქვათახევის მონასტრის ადგილმდებარეობის მომცველი რეგიონის — შიდა ქართლის გაღმამხრის ერთ-ერთ უპირველეს სიწმიდედ და სალოცავად მიიჩნეოდა.

დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში ქაქანა, როგორც დოკუმენტის გამცემი სუბიექტი, ასახელებს საკუთარ ვინაობას, უფრო ზუსტად კი, მიუთითებს თავის სახელს, მეუღლის სახელს და მეუღლის მამის გვარსახელს. გარდა ამისა, ქაქანა აღნიშნავს, რომ „ქვათახევის ღმრთისმშობელს“, ე.ი. ქვათახევის მონასტერში დაბრძანებული ღმრთისმშობლის ხატს შეწირა სოფელი ნოსტე, რომელიც, როგორც ცნობილია, შიდა ქართლის გაღმამხარში, მდინარე თეძმის ხეობაში მდებარეობს. დასასრულ, დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქაქანაზე უფრო ადრე ნოსტე იმავე ქვათახევისათვის მიწობლისძეებს, ე.ი. შიდა ქართლის გაღმამხარში მოსახლე მიწობლისძეთა ფეოდალური სახლის წევრებს ჰქონდათ შეწირული:

„...ესე დაწერილი დაგიწერე და მოგაკსენე თჳენ, ყოვლად ძლიერსა ჰვათაკევისა ღმერთისმშობელსა, მე, სუერამელის ბეგის შვილს მიჰელის ცოლმან ჰაჰანამან, სოფელი ნოსტე, მიწობლისძეთაგან შემოწირული...“.

საინტერესოა, რომ ქაქანა დაწერილის ციტირებულ ფრაგმენტში საკუთარ გვარს საერთოდ არ ასახელებს. არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ქაქანა გვარით არა თავის მეუღლეს — მიქელს, არამედ ამ უკანასკნელის მამას, XIII საუკუნის II ნახევრის ცნობილ ისტორიულ მოღვაწეს, მსახურთუხუცესსა და ქართლის ერისთავ ბეგა II სურამელს იხსენიებს.

ის გარემოება, რომ ქაქანა დაწერილში, ზემოთ განხილული დოკუმენტების გამცემების — მეფე თამარისა და თამარ ამანელისძისაგან განსხვავებით, საკუთარ გვარს არ ასახელებს, მაფიქრებინებს, რომ მისი მამის საგვარეულო, ქმრის საგვარეულოსთან შედარებით, სოციალურ იერარქიაში ბევრად უფრო დაბალ საფეხურზე იდგა და ამიტომ ქაქანამ დოკუმენტში თავისი გვარის დასახელება ზედმეტად მიიჩნია.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, რომ ქაქანა დაწერილში სურამელის გვარით არა მეუღლეს — მიქელს, არამედ მამამთილს — ბეგა II-ს მოიხსენიებს.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების შესწავლა აჩვენებს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში გვარს ფეოდალური სახლის მხოლოდ ერთი პირი — ოჯახის უფროსი ატარებდა. ფეოდალური სახლის ყველა სხვა წევრი თავის საგვარეულო კუთვნილებას ოჯახის მოქმედი ან გარდაცვლილი უფროსისადმი ნათესაურ კავშირზე მითითებით აღნიშნავდა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ ტრადიციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ ქაქანას დაწერილში სურამელის გვარით არა ქაქანას მეუღლე, არამედ მამამთილი იხსენიება. საფიქრებელია, რომ დოკუმენტის გაცემის დროს ბეგა II ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სურამელის გვარს, როგორც ოჯახის უფროსი, სწორედ ის ატარებდა. რაც შეეხება მიქელს, იგი ოჯახის უფროსი არ იყო და ამიტომაც დოკუმენტში არა სურამელად, არამედ სურამელის შვილად იხსენიებოდა.

ქაქანა დაწერილის შემდეგ ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ მიწობლისძეთა მიერ ქვათახევის მონასტრისათვის შეწირული სოფელი ნოსტე თავის დროზე გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან გათავისუფლებული იყო. მოგვიანებით ვითარება შეიცვალა, მდგომარეობა გართულდა და ქვათახევის კუთვნილ ნოსტეს სურამელთა ფეოდალური სახლი დაეპატრონა. ქაქანას თქმით, სურამელების ასეთი საქციელი შეუფერებელი და ზიანის მომტანი იყო როგორც მათი ცოცხლების, ისე გარდაცვლილებისათვის, როგორც მათი „სასულიერო“, ისე „საპორციელო“ საქმეებისათვის:

„...და ვითა მათან კერომოკსნით შმოწიხოლსა მსოფლა, იყო უსაჯმოი და საჯმეულბლი. სუსამლოთა და ჟამთა სიკვნისაკან ულბი ესლბოლა და უსაჯმოი სასაჯმოდ შჯმნილიყო მათთა კერონსნთაკან და ესვხლენ ესე, ითმე ესა სასულიერო და ესა საპოხოლიერო ესა საკონლა სუსამლოთა სსლოსა მათისა, ესა მოილთა და ესა მიკვალებულთათუის...“.

ქაქანა დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში გადმოგვცემს, რომ გადაწყვიტა, შექმნილი მდგომარეობა გამოესწორებინა. იგი თავდაპირველად მეუღლეს „შეახვეწა“ ე.ი. გადაწყვეტილების აღსრულებაში დახმარება სთხოვა, მისგან ნებართვის მიღების შემდეგ, სურამელთა ფეოდალური სახლისაგან ნოსტე გამოისყიდა და სოფელი ქვათახევის ღმრთისმშობლის ხატს შეწირა. დოკუმენტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ქაქანამ მეუღლის ოჯახს სოფლის სანაცვლოდ საკუთარი „ჯელით ნაქმარი თეთრი“, ე.ი. თავისი პირადი შრომით დაგროვილი თანხა გადაუხადა. ქაქანა გვაუწყებს, რომ სურამელების „ჯელოსანებს“, ე.ი. მოხელეებს გამოართვა ყველა ის „ბარათი“, ე.ი. წერილობითი ნებართვა, რომლის გამოყენებითაც ისინი ნოსტეში რაიმე ფულად ან ნატურალურ გადასახადებს კრეფდნენ ან მის მოსახლეობას სხვადასხვა შრომით ვალდებულებებსს აკისრებდნენ. დოკუმენტის თანახმად, ქაქანამ ქვათახევის მონასტრის საკუთრებაში გადასული ნოსტე სურამელების მიერ დაკისრებული ყოველგვარი ფულადი და ნატურალური გამოსაღებებისაგან, აგრეთვე, შრომითი ვალდებულებებისაგან, გაათავისუფლა და მის მოსახლეობას სურამელთა მიმართ მხოლოდ ერთი ვალდებულებაღა დაუტოვა. კერძოდ, როდესაც კავთურას ხეობის მთელი მოსახლეობა სურამელების კუთვნილი მიწების მოსახნავად და მოსამკელად გამოვიდოდა, მათთან ერთად, ეს შრომითი ვალდებულება ნოსტეს მოსახლეობასაც უნდა შეესრულებინა:

„...და ჭვსხუენ და მოვაკსენ ბემსა ჯმსსა მიჯლოს და გამოვიოე ბემითა კერითი ნაჯმსი სავესი თეთი და მოვაკსენ იგი და გამოვიოე ითსეე სსუოლ სსუოლდ, უსაჯმოდ და ჭუვალდ სუსამლოთა და მათთა ბამომვალოთაკან, ვითა ესი ვის ესი საჯმე სლბთა ჯვათაკვის ომითისმშობლისაკან კ�e და მისთა კერონსნთაკან გამოვიოე ბესეთის ფუალისაკან, ესი ბესეთი ჭვიდოეს სუსამლოთა სსლოსაკან და ესა მათთა კერონსნთაკან, ესა თეთესა ბესეთი, ესა მათესა სსლოს უოუვესა ბესეთი, ესა კენდეი, ესა უსმის ზიდვი, ესაესთნი ესა, თუესეეს ამისაკან კიდე, ესი კომი გამოვიდოეს და ჭიფესბოეს საკნავსა და სამკალსა, გამოჭეკბოეთ...“.

ქაქანას დაწერილის ზემოთ ციტირებული ორი ფრაგმენტის ანალიზი აჩვენებს, ქაქანა, მისივე სოციალური წრიდან, უფრო ზუსტად კი, ფეოდალური წოდებიდან გამოსული თამარ ამანელისძის მსგავსად, კერძო საკუთრებასა და ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებში შესანიშნავად იყო გარკვეული.

უფრო მეტიც, ქაქანას მიერ მეუღლის ოჯახთან, ქვათახევის მონასტერსა და სოფელ ნოსტესთან სანიმუშოდ წარმოებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე დაკვირვების შედეგად, დგინდება, ერთი მხრივ, ის, რომ შუა საუკუნეების საქართველოში სამართალწარმოების საქმე ძალიან მაღალ დონეზე იდგა, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ სამართალწარმოების პროცესში ფეოდალური წოდებიდან გამოსული ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულები.

ცალკე მსჯელობის საგანია ქაქანას დაწერილში დადასტურებული ის ფაქტი, რომ ქაქანა პირად საკუთრებაში ფლობდა ქონებას, რომელიც მამის ოჯახიდან მზითვად კი არ ჰქონდა მიღებული, არამედ თავისი პირადი შრომით ჰქონდა დაგროვილი.

სამწუხაროდ, ქაქანას დაწერილიდან არ ჩანს, თუ რა იყო ის საქმიანობა, რომლის დახმარებითაც ქაქანამ იმ რაოდენობით თანხის დაგროვება მოახერხა, რომ ამ თანხით მთელი სოფლის ყიდვა შეძლო. ჰიპოთეტურად, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ქაქანა რაიმე სახის სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა და პირადი ქონებაც ამ გზით დააგროვა. თუმცა, ეს უაღრესად საინტერესო საკითხი, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, ღიად რჩება.

ქაქანა დაწერილის მომდევნო ფრაგმენტში მოგვითხრობს, რომ მეუღლეს კიდევ ერთხელ მიმართა და ქვათახევისათვის სოფელ ნოსტეს შეწირვის სანაცვლოდ, ამ მონასტერში კერძო აღაპის განწესესების ნებართვა სთხოვა. მიქელი ცოლის თხოვნას დასთანხმდა და ქვათახევის სამონასტრო ძმობამ ქაქანას სამუდამო აღაპი განუწესა. დოკუმენტის თანახმად, ქაქანას აღაპი წელიწადში ერთხელ, ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე, ე.ი. 21 ნოემბერს უნდა გადაეხადათ. ქაქანას აღაპი, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა ღმრთისმსახურების ჩატარებას, რომელსაც მონატერში მყოფი ყველა მოწესე უნდა დასწრებოდა. გარდა ამისა, აღაპი გულისხმობდა პურობის გამართვასაც, რომელშიც, ღმრთისმსახურების მონაწილე ყველა პირს უნდა მიეღო მონაწილეობა. დოკუმენტის მიხედვით, სააღაპე ღმრთისმსახურებისა და პურობის დროს, ლოცვებში, ქაქანას გვერდით, სურამელთა ფეოდალური სახლის ცოცხალი და გარდაცვლილი წევრებიც უნდა მოეხსენიებინათ:





„...და ესე ჯერეთონმან მიჰკლესა იარეთონა და ისმინა ჯერი ზემი და ამას ზედა შემწყალეს ჭვათაკვეკლოთა და გამიკუეთეს ფაძრად მიფვონებასა დოესა ალაჯი საშწიეოთი სეზლოთ და ხაიზომესა მოხიკლი ლიან, ჟამსა სწიეკვიდენ და ალაჯი გაეიკეკებოდეს სხულო და უკლები, სუხამკლოთა ფოფხალოთა და მიფვალებულოთა საფოფავად და ზემ ფოდვიდოსა სულოსა საფოფავად. შემწყალეს და ესე საუკუნოი წიხვაი და ალაჯი გამიკუეთეს დოესა ფაძრად მიფვონებასა, ამისასა გასხუფებასა და ლიშფვალებასა შინა".

ქაქანას დაწერილის ციტირებულ ფრაგმენტში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქაქანამ ქვათახევის მონასტერში კერძო აღაპის განწესების ნებართვა მეუღლეს სთხოვა.

როგორც ჩანს, შუა საუკუნეების საქართველოში წესად იყო მიღებული, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ცოლი გადაწყვეტდა, რომ საკუთარი თავისათვის აღაპი განწესებინა, ამისათვის ნებართვა ჯერ მეუღლისაგან უნდა მიეღო. ამასთან, ეს წესი ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზეც კი, როდესაც აღაპის განწესებისათვის საჭირო შეწირულება თავად ცოლის მიერ, პირადი საკუთრებიდან იყო გაღებული.

ქაქანა დაწერილის ბოლო ფრაგმენტში წყევლით ემუქრება ყველა იმ პირს, ვინც დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ნაკლულად აღასრულებს და პირიქით, ლოცვით იხსენიებს იმ პირებს, რომლებიც დოკუმენტის პირობებს ზუსტად დაიცავენ:

„ვინმესა რამაკლოს, ჭ�ესე ფოვლად წმიდაი ომოიმშეობელი და ზემოამესა ბაალოთა მზოველი ლიან და შმესოდე ჭიმსეესა და ვინ რაამფეკიესს, ომეიოთმან ფოვლი ბაძანებული და გაგებული მისი რაამფეკიესს".



საინტერესოა, რომ ქაქანას დაწერილში შეტანილი წყევლის ტექსტი, მეფე თამარის სიგელსა და დედოფალ თამარ ამანელისძის დაწერილში შეტანილ კრულვის ტექსტებთან შედარებით, ბევრად უფრო მოკლე და ლაკონურია. ქაქანას დაწერილის წყევლის ტექსტის ლაკონურობა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამავე დოკუმენტის დასაწყის ფრაგმენტში შეტანილი საღმრთ-ისმეტყველო შესავალი ნაწილი, თამარის სიგელის დასაწყის ფრაგმენტში ღმერთის მოხსენიების ლაკონურ ფრაზასთან შედარებით, უჩვეულოდ ვრცელი და ინფორ-მატიულია.

ქაქანას დაწერილს ბოლოში დართული აქვს ორი დამტკიცების ტექსტი. ამათგან, პირველი დამტკიცება ეკუთვნის თავად ქაქანას, ხოლო მეორე, ბოლონაკლული დამტკიცება — სავარაუდოდ, ბეგა II სურამელს, რომელიც დოკუმენტის გაცემის დროს სურამელთა ფეოდალური სახლის უფროსი იყო და გვარის ტარების პრეროგატივას ფლობდა:

1. „ქ. ამა დაწერილისა დამამტკიცებელი ვარ, ამისა ძალმან“.
2. „ქ. მე, სურამელიცა, დამამტკიცებელი ვარ...“.

ქაქანას დაწერილისათვის დართული ორივე დამტკიცების ტექსტი მოკლე და ლაკონურია. ამ ნიშნით, ეს დამტკიცებები დიდ მსგავსებას ავლენს მეფე თამარის სიგელისათვის დართული მეფე დავით სოსლანისა და ერისთავ დავითის დამტკიცებების ტექსტებთან და პირიქით, სრულებით განსხვავდება იმავე სიგელისათვის დართული თამარისა და კათოლიკოს თეოდორე II-ის დამტკიცებების ვრცელი ტექსტებისაგან.

ამით მთავრდება ქაქანას, როგორც ქალი ფეოდალის, მიერ გაცემული დაწერილის განხილვა და იმავდროულად, მთვარდება ქალების, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებისა და ქონების მესაკუთრეების მიერ, გაცემული ისტორიული დოკუმენტების ანალიზიც.

ზემოთ მოტანილი ხუთი ისტორიული დოკუმენტის დეტალური განხილვა თვალნათლივ აჩვენებს, რომ ქალები არამხოლოდ ჩართული იყვნენ შუა საუკუნეების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, დიპლომატიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში, არამედ ამ პროცესებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდნენ.

ქალის სტატუსი სამართალწარმოების პროცესში

საპროცესო სამართლებრივი უფლებები

შუა საუკუნეების საქართველოში (IV-XVIII სს.) ჩამოყალიბებული იყო ფეოდალური საზოგადოება, სადაც კაცის და ქალის უფლებებს განსაზღრავდა მათი სოციალური სტატუსი, თუმცა იერარქიული კიბის ნებისმიერ საფეხურზე კაცის უფლებები აღემატებოდა ქალისას.

სამართლებრივი ნორმები ასახულია სამართლის კრებულებსა და იურიდიული ძალის მქონე საისტორიო დოკუმენტებში. ცხადია, საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა ეს ნორმები და მათი შესწავლა საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

შუა საუკუნეების ქართულმა საზოგადოებამ ჩამოაყალიბა მაღალგანვითარებული იურიდიული ინსტიტუტები და სამართლის დარგები.

ქართულ საკანონმდებლო წიგნებში, ისტორიულ დოკუმენტებსა თუ ჩვეულებით სამართალში ასახული სამართლის სისტემა იურიდიული აზროვნების განვითარების მხრივ არ ჩამორჩებოდა მაშინდელი მოწინავე ქვეყნების სჯულმდებლობას, ხოლო სამართლის მეცნიერების ზოგიერთ საკითხში, როგორიცაა: ბრალი, მცდელობა, სასჯელთა სისტემა და სხვა, ქართველ ხალხს გაცილებით უფრო პროგრესული და ჰუმანური იდეები შეუმუშავებია.

მაღალ დონეზე იდგა პროცესუალური სასამართლო სისტემაც. სასამართლოს მწარმოებელ პიროვნებას ძველ საქართველოში „მსაჯული“ ეწოდებოდა. ტერმინი „მსაჯული“ „სჯა“, „განსჯიდან“ მომდინარეობს და მართლმსაჯულებით მოქმედებას აღნიშნავს. „მსაჯული“, „მოსაჯული“ X საუკუნემდე გამოიყენებოდა.

X საუკუნეში გვხვდება „მერჩულეთა“ (მერჯულეთა) ინსტიტუტი. ისინი რჯულის მცოდნენი იყვნენ და სასამართლო ფუნქციებიც უნდა ჰქონოდათ.

მეფე ბაგრატ IV-ის საბუთში ოპიზელი და მიჯნაძოროელი მამებისადმი (XI ს.) მოსამართლეებს ეწოდებათ „აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, ხოლო ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში მოსამართლის აღსანიშნავად „ბჭე“ გამოიყენება. სასამართლოს აღსანიშნავად „საბჭო“, გასამართლების გამოსახატავად კი — „ბჭობა“.

გვიანი შუა საუკუნეებიდან ტერმინი „ბჭე“ ქრება და მის ადგილს „მოსამართლე“ და ისევ „მსაჯული“ იკავებს. მდივანბეგობის ინსტიტუტის დაარსების შემდეგ მოსამართლის აღსანიშნავად „მდივანბეგს“ იყენებდნენ.
მოსამართლეთა მიერ საქმის გარჩევას ეწოდებოდა — „განბჭობა“, „ბჭობა“, „სამართლის ქმნა“, „გასამართლება“, „განკითხვა“.
სასამართლოში მონაწილე მხარეებს „მოდავეები“ ეწოდებოდათ. მოსარჩლე ანუ დაზარალებული მხარე იყო „მოჩივარი“, ხოლო მოპასუხე - „მოადი“.

მართლმსაჯულების განხორციელება და აღსრულება სხვადასხვა ორგანოს საშუალებით ხდებოდა.

მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, უმაღლეს მოსამართლედ მიიჩნეოდა. მეფე საქმეს იხილავდა როგორც პირადად, ისე მოსამართლის ფუნქციის მატარებელ პირთა თანდასწრებით. რთულ და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საქმეებს მეფე დარბაზთან ერთად არჩევდა. ხშირად საჩივრის განხილვას მეფე მიანდობდა განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ მოსამართლეს, თუმცა ასეთ შემთხვევაში მსჯავრი მეფის სახელით ცხადდებოდა. თუ მეფის მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილება არ აღმოჩნდებოდა სამართლიანი, მისი გამომტანი და მეფესთან დასამტკიცებლად მიმტანი ისჯებოდა.

მხოლოდ მეფის პრეროგატივა იყო გარკვეული ტიპის საქმეების გარჩევა, მაგ.: საბუთების წართმევა. ზოგიერთი საქმე მხოლოდ მეფისა და კათოლიკოსის კომპეტენციაში შედიოდა — მეფის ღალატი, მეფის სალაროს ან საყდრის გატეხვა, ხატის დამტვრევა, ცოლისადმი ურიგოდ მოპყრობა და ა.შ.

მეფეს შეეძლო ჩარეულიყო ყველა საქმეში, განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. მეფესთან შეიძლებოდა უსამართლო განაჩენის გასაჩივრება. მის უფლებებში შედიოდა უკვე გარჩეული საქმის ხელახლა განხილვა.

მეფის, როგორც მსაჯულის, უდიდესი ღირსება სამართლიანობის დაცვა იყო. ის „მართსჯიდა სამწყსოთა თვისთა და არა სადეთ მიდრკებოდა წამი სასწორისა“.
კათოლიკოს-პატრიარქი, როგორც უზენაესი სასულიერო ხელისუფალი, მეფის მსგავსად, უმაღლეს მსაჯულად მიიჩნეოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად, იგი „სულის ხელმწიფეა“. მას უფლება აქვს განიხილოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები მთელი სამეფოს მასშტაბით. გარკვეული საქმეები, მხოლოდ კათოლიკოსის კომპეტენციაში შედიოდა. მაგ.: ცოლქმარს შორის სასამართლო საქმე, ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი და ა.შ. საერო და საეკლესიო ხელისუფლების საერთო დაქვემდებარებაში შედიოდა: ქმრის მიერ ცოლის წამების საქმე, მშობელთა და შვილთა შორის მკვლელობის საქმე, სხვისი ცოლის მოტაცება და გაყიდვა და ა.შ.

კათოლიკოსი შედიოდა მეფის მიერ დანიშნულ საგანგებო სასამართლოს შემადგენლობაში, რომლსაც უმნიშვნელოვანესი საქმეების გარჩევა ევალებოდა.

გარკვეულ შემთხვევებში (წვალებით სიკვდილი, დაპატიმრებული პირის მოკვლა, სხვისი ბავშვების გაყიდვა და ა.შ.) მეფის სასამართლოს მიერ გამოტანილ მსჯავრს კათოლიკოსი უმატებდა საეკლესიო სასჯელს.

კათოლიკოსი ამტკიცებდა სასამართლოთა მიერ გამოტანილ ისეთ განაჩენებსაც, რომელთაც კავშირი არ ჰქონდა სასულიერო უწყებასთან.

ეკლესიის იურისდიქციას დაქვემდებარებულ მნიშვნელოვან საქმეებს კათოლიკოსი ან თავად იხილავდა, ან მისი ხელმძღვანელობით ირჩეოდა. ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს ეპისკოპოსი ან მღვდელი არჩევდა.

კათოლიკოსს ექვემდებარებოდნენ საეკლესიო ყმები, რომლებიც უშუალოდ საკათოლიკოსო სასამართლო დაწესებულებას ემორჩილებოდნენ.

XVIII საუკუნეში კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ინიციატივით დაარსდა საკათოლიკოსო ორგანო — დიკასტერია, რომელიც სასამართლო ფუნქციასაც ითავსებდა.

მართლმსაჯულების ფუნქციას, ძირითადად, **მდივანბეგები, იგივე მსაჯულთუხუცესები** ასრულებდნენ. მათ უფროსი მოსამართლე ეწოდებოდათ. ეს სახელო XVII საუკუნიდან არსებობდა ქართულ სინამდვილეში და მემკვიდრეობით გადადიოდა.

მდივანბეგი მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე იყო. მისი უფლებამოსილება სასამართლოს წარმოების დარგში მეფის ხელისუფლებას ემყარებოდა. მათ მეფე ნიშნავდა და ისვე ამტკიცებდა მდივანბეგების განაჩენსა და გადაწყვეტილებებს.

მდივანბეგთა სასამართლო კოლეგიალური იყო. სასამართლოს ესწრებოდა მდივანი, რომლის მოვალეობა მხარეთა ჩვენების ჩაწერა და სამართლის წიგნში სათანადო მუხლის მოძებნა იყო. მდივნები მონაწილეობდნენ საქმის გარჩევაშიც. მდივანბეგის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ იასაულები. მათ ნაწილს საგამოძიებო, ნაწილს კი აღსრულებითი ხასიათის ფუნქცია ეკისრებოდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში მდივანბეგების რაოდენობა 3 ათეულამდე გაიზარდა. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მეფეს ემორჩილებოდნენ.

მდივანბეგები იყვნენ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებში.

მოსამართლის ფუნქციას ითავსებდნენ დიდი **ფეოდალებიც.** ტრადიციულად, ყმას თავისი ბატონი ასამართლებდა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომ ინსტანციებსაც მიმართავდნენ. ფეოდალის იურისდიქცია, მხოლოდ მის საფეოდალოზე ვრცელდებოდა.

გვიანი შუა საუკუნეებიდან სასამართლო ფუნქციები შეითავსეს მეფის სახასო მამულების **მოურავებმა.** განსაკუთრებით გაიზარდა თბილისის მოურავთა უფლებები. ისინი არჩევდნენ ვალდებულებითი და სანივთო სამართლის ხასიათის საქმეებს, ასევე ხელი მიუწვდებოდათ სისხლის სამართლის გარკვეულ საქმეებზე. მოურავები მეფის დავალებით იხილავდნენ საქმეებს. მათ არ ჰქონდათ უფლება, ერთპიროვნულად გამოეტანათ განაჩენი.

სასამართლო ფუნქციას ასრულებდნენ **მელიქ-მამასახლისებიც.** ყველა მელიქ-მამასახლისი ერთნაირი უფლებით არ სარგებლობდა. ისინი იხილავდნენ ვალდებულებითი და მემკვიდრეობითი სამართლის საქმეებს. ერთპიროვნულად საქმის გარჩევის უფლება არც მათ ჰქონდათ, ან რომელიმე სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ წევრებად, ან თვითონ თავმჯდომარეობდნენ სასამართლოს. მელიქ-

მამასახლისები მეფის ან მოურავის, იშვიათად კი დედოფლის ან ბატონიშვილის დავალებით მოქმედებდნენ.

სასამართლო უფლებების მატარებელი პირები ასევე იყვნენ: **ხევისთავი, მედიატორი, მოთემე, ბჭე, დედოფლის სახლთუხუცესი** სადედოფლო მამულებში, **ქუთხუდა**.

საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფოს გავლენა ნაკლები იყო (სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი და სხვ.) სამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებითი სამართალი არეგულირებდა.

სასამართლო ფუნქციებს ახორციელებდნენ სახალხო თვითმმართველობის ორგანოები (სოფლის, თემის, კუთხის ყრილობა) და სამედიატორო სასამართლოები.

სახალხო თვითმმართველობის ორგანოები იხილავდნენ საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს: ღალატი, ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გაძარცვა, აკრძალული ქორწინება, საერთო საკუთრების ხელყოფა და ა.შ.

სამედიატორო სასამართლო განიხილავდა კერძო სამართალდარღვევებს: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქონებრივი ზიანის მიყენება და სხვა. იგი არ იყო მუდმივმოქმედი დაწესებულება და მის შემადგენლობას მოდავე მხარეები განსაზღვრავდნენ.

მედიატორ-მოსამართლეებს ხევსურეთში „რჯულის კაცები“, ხოლო სვანეთში „მორვარი“ ეწოდებოდათ. მათი ფუნქცია იყო საქმის გარჩევა და ისეთი განაჩენის გამოტანა, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა მხარეთა შერიგება.

„რჯულის კაცებად“ თუ „მორვებად“ იწვევდნენ სამართლისმცოდნე, ღვთისმოშიშ, პატიოსან, გონიერ და სიტყვა-პასუხით გამორჩეულ ადამიანებს. სვანეთში მორვები ფიცს დებდნენ მიუკერძოებლობის დასადასტურებლად.

მედიატორ-მოსამართლეთა რაოდენობა საქმის სირთულის შესაბამისად, 2-დან 24-მდე მერყეობდა. განაჩენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამოჰქონდათ და არა ხმათა უმრავლესობით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ახალ მედიატორ-მოსამართლეებს ირჩევდნენ.

როგორი უფლებები ჰქონდა ქალს სასამართლოში?

ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში (1705-1708 წწ.) შეტანილია ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, რომლის მიხედვითაც ქალის პროცესუალური უფლებაუნარიანობა უკიდურესად შეზღუდულია. 84-86 მუხლების მიხედვით: **„დედაკაცნი მსაჯულად არ დაიყენებიან** და არც უფროსად დაიყენებიან, არცა ვეზირობაში დაისმის და არცა სხვა საქმე ეკითხვის სახლის მოვლის მეტი. **დედაკაცისაგან არა ჯერ არს, რათა რისაცა საქმისათვის სამართალში მივიდეს.** არამედ, თუ მოუკლას ვინმე მამა ანუ შვილი, ანუ ბატონი, ანუ ნათესავნი, იმ საქმის საჩივლელად მივა სამართალშია და უნდა გაუგონონ. და არა სხვა საქმისათვის მივა. თუ სხვისა რისათვისმე მივიდეს, ნუ გაუგონებენ“, ანუ ქალს უფლება არ ჰქონდა, რომ მოსამართლე ყოფილიყო. მას არც სახელმიწფო მოხელედ შეეძლო ყოფნა. ბერძნული სამართლის მიხედვით, ქალის ფუნქცია მხოლოდ სახლის მოვლით შემოიფარგლებოდა. მას სამართალში მისვლის უფლება ჰქონდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოუკლავდნენ მამას, შვილს, ბატონს ან ნათესავს.

ვახტანგ VI-ის სამართალი კი ქალის სასამართლო უფლებების შესახებ შემდეგს გვამცნობს: „**თუ დედაკაცს კაცისაგან საჩივარი აქუს, სამართალშიც მიესვლება და გაგონებაც უნდა**. მაგრამ მისის ენით მოადს არც ფიცი დაედება არცა რა წაერთმის; თუ კაცს დაიმოწმებს მცდარი არის. **თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში ჯელი არა აქუს, მოთემემ უნდა გაურიგოს“** (ვახტანგის სამართალი, მუხ. 216). მოთემე იყო ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე, რომელსაც დავების გარჩევა ევალებოდა. ბერძნული სამართლისგან საკმაოდ განსხვავებულია ვახტანგ VI-ის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმა, რომელიც ქალის სასამართლო უფლებებს ასახავს. მასში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქალს აქვს უფლება სასამართლოში მივიდეს და უჩივლოს კაცს, თუმცა მოპასუხე არაა ვალდებული დაიფიცოს და არც რაიმე გადაიხადოს ჯარიმის სახით. ხოლო თუ ქალი ქალს უჩივის ეს ადგილობრივმა მოსამართლემ უნდა გაარჩიოს.

შუა საუკუნეების საქართველოში ორი ტიპის სასამართლო პროცესი არსებობდა: საბრალდებო და სამძებრო. საბრალდებო პროცესის მტკიცებულება ორდალიები „ღვთის მსჯავრი“ იყო, ხოლო სამძებრო პროცესისა — საბუთები. ქართულ მტკიცებულებით სამართალში საბუთი ეწოდებოდა: ფიცს, წერილობით ცნობას და მოწმესაც.

ფიცი

ვახტანგ VI-ის სამართლის მე-14, 237-ე და 239-ე მუხლების მიხედვით არ შეიძლება ფიცი დაედოთ უასაკოებს, ჭკუასუსტებს და ფიცის ურწმუნოთ. სასამართლო განჩინების გვიჩვენებს, რომ ფიცი არ მოეთხოვებოდათ სასულიერო პირებსაც: „იმათგან კი ფიცი არ იქნება, რადგან საღმთო კაცია“.[1]

ვახტანგ VI-ის სამართლის 239-ე მუხლის მიხედვით ფიცი არ შეიძლება დაედოს ქალს — „დედაკაცს არ ეფიცების არც გარეშე კაცი შეეგდების, ამისთის რომე გარეშეს კაცს არ გაუტყდება, არც არას მისის ფიცისას ინაღვლის. უნდა მოსამართლემ მოუძებნოს, რაც რამ საყუარელი ყუანდეს, ძმა თუ შვილიანი სიძე, ის შეგდოს“ (ვახტანგის სამართალი, მუხ. 239). ქალის მაგივრად მამაკაცს უნდა დაეფიცა. თანაც ეს მამაკაცი უცხო არ უნდა ყოფილიყო, რადგან უცნობს არც ფიცის გატეხვა გამოუვიდოდა და არც ინაღვლებდა ფიცის გატეხვას. ამიტომ მოსამართლეს ქალისთვის ახლობელი, ოჯახის წევრი უნდა შეერჩია, რომელიც ქალის მაგივრად დაიფიცებდა. თუმცა პრაქტიკაში XVIII საუკუნის II ნახევარში გვხვდება დოკუმენტები, სადაც ქალს ფიცი მოეთხოვება. მაგ. ერთ-ერთ სასამართლო განჩინებაში აღნიშნულია, რომ „გაბრიელ მოძღვრის ცოლის დიდად დაფიცებით“ გავარკვიეთ ეს საკითხიო.[2] სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოსეფას ქალს „ონანას საიდამ სადამდენ ეფიცებოდეს შემოუაროს და ასე იფიცოს“.[3]

[1] Hd-1740; [2] Hd-143; [3] Hd-3913;

ქ: მოციქულთა: ანბანი: ეგრეთვე ძმანი თანანი:

ქ: ოდეს: ეგრეთვე: ნათელი: ბრძანებენ: ჩვენ: ესენი: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ესენ: ეს: ბრძანებენ: ეგრეთ: ესენ: ეს:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ:

ქ: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ: ეგრეთ: ბრძანებენ: ეს: ესენ:

ქალი, როგორც მოწმე

მოწმის ინსტიტუტი საქართველოში უძველესი დროიდანვე არსებობდა და მას ქართული სამართლის ყველა წიგნი იცნობს.

ქალის მოწმედ გამოყვანა სასამართლოში დასაშვები იყო, მაგრამ ერიდებოდნენ. XVII საუკუნეში, ჯავახიშვილებისა და სააკაძეების გახმაურებული სასამართლო პროცესისას, გიორგი სააკაძის დედა როდესაც მოწმედ მიუწვევიათ, მას უარი უთქვამს „რა საკადრისი საქმე არისო, რომე ამ დროით დედაკაცი ლაშქარში[4] საბრჭოთ ვიარებოდეო“,[5] თუმცა საგულისხმოა, რომ ქალის მიწვევა სასამართლოში ქართული საზოგადოებისთვის მისაღები იყო.

ქალი მოწმედ გვხვდება 1773 წ. საბუთში. სასამართლომ დაკითხა გარდაცვლილი მყიდველის ცოლი, მაგრამ მისი ჩვენება სანდოდ არ მიიჩნიეს და ფიცი დაადებინეს.[6]

მოწმედ დაკითხული ქალის ჩვენების საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებასაც იღებდა: „ნათელას დაც, ანამაც იმოწმა, რომ ჩემი ძმა ოსეფამ იყიდაო“.[7]

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტის (XIX საუკუნის დასაწყისი) 81-ე მუხლში საუბარია, რომ „მამანი და დედანიც“ ერთნაირი უფლებებით წარმოგვიდგებიანო.

ქალი, როგორც მოსარჩლე

„თუ დედაკაცს კაცისაგან საჩივარი აქვს, სამართალშიც მიესვლება და გაგონებაც უნდა, მაგრამ მისის ენით მოადს, არც ფიცი დაედება, არცა არა წაერთმის თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი არის. თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში ხელი არა აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს“ (ვახტანგის სამართალი, მუხ. 216).
ქალს, რომელიც მამაკაცს უჩივის შეუძლია სასამართლოში მისვლა. მოსამართლეები ვალდებულნი არიან, რომ მას მოუსმინონ. ქალის მოთხოვნით მოპასუხეს არ შეიძლება, რომ ფიცი დაეკისროს. აკრძალულია ქალის მიერ მოწმედ დასახელებული მამაკაცის დაფიცებაც. თუ ორივე მოდავე მხარეს ქალები წარმოადგენენ, მაშინ მათ მოთემემ უნდა გაურიგოს და მდივანბეგების სასამართლოში ვერ მივა.
სამართალმცოდნე გიორგი ნადარეიშვილი თვლიდა, რომ ტერმინ „დედაკაცში“ ასაკში შესული, დაბალი წოდების ქალი უნდა იგულისხმებოდეს, სხვა შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა მხარს არ უჭერს საკანონმდებლო ნორმას, რადგან პრაქტიკაში ქალი არ ჩანს შეზღუდული სასამართლო პროცესში. ისტორიულ საბუთებში, რომელიც ამასთანავე იურიდიული დოკუმენტებია, უამრავი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული, როდესაც ქალები მოსარჩლედ გამოდიან. ცხადია, სწორედ, დოკუმენტური წყაროები ასახავენ ყოველდღიურ რეალობაში არსებულ და დამკვიდრებულ ნორმებსა და ქალის უფლებებს.

ქალები ჩივიან მეფესთან და დედოფალთანაც. არის შემთხვევები, როცა ქალი ქალს უჩივის.
საინტერესო ამბავი მომხდარა XVII საუკუნის 90-იან წლებში. თავადი ოთარ გერმანოზიშვილი უშვილოდ გარდაცვლილა. მის ქვრივს - მარიამსა და ოთარის ძმისწულებს: პაპუასა და გუგუნას შორის ქონებრივი დავა გაჩაღებულა. მარიამს საჩივარი შეუტანია მეფის სასამართლოში. ოთარს ძმისშვილებისთვის ანდერძად დაუტოვებია სამკვიდრო მამულები, ხოლო ნაყიდი ვენახი, რომელიც მარიამის მზითევითა და კიდევ სხვა ფულით შეუძენია მარიამისთვის დაუტოვებია. სიცოცხლეში მას უნდა მოეხმარა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მათი აღაპის გადასახდელად შეეწირათ ეკლესიისთვის. ამ ვენახის ნაწილს ძმისშვილები ედავებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მათი მამის ნაყიდი იყო. ამის დასამტკიცებლად მათ უნდა დაეფიცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „ბატონს მარიამს დანებდეს. ესეები, სანამ ბატონი მარიამი ცოცხალი იყოს, როგორც ეპრიანებოდეს, ისე მოიხმაროს. და რახან სოფელმან მისი არ დაიშალოს (ანუ გარდაიცვალოს თ.ქ.), ოთარისა და მარიამის სააღაპოდ დაიდვას“.[8] როგორც ჩანს, პაპუა გერმანოზიშვილს ვერ დაუფიცია ამ ვენახის კუთვნილების შესახებ და სხვა დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ საქმის გამრიგე თამაზ ორბელიშვილს გადაუწყვეტია: „ასე უსამართლეთ, რომე, რადგან ოთარს თავისი სამკვიდრო მამული ძმისწულებისთვის დაეგდო და ნასყიდი ცოლისთვის საფიცრით სამკვიდროთ მიეცა, ისევ ბატონ

[4] იგულისხმება ხალხში; [5] Hd-6259 1620 წლის 15 აპრილი; [6] Ad-694; [7] 1448-357; [8] Hd-15059;

მარიამს დავანებეთ“.[9] სასამართლო განჩინება ასახავს დაწესებულ მემკვიდრეობით სამართლებრივ ნორმებს. ოთარის სამკვიდრო მამულები,[10] მის ძმისშვილებს დარჩა, მაგრამ ოთარის ნაყიდი მამული უკვე მის ცოლს გადაეცა.

მარიამი და მისი მაზლიშვილები ერთმანეთს ედავებოდნენ ყმა გერგიძეზეც, რომელიც სასამართლომ ასევე მარიამს მიაკუთვნა.[11] ამასთან, ოთარს, სიცოცხლეში თავისი სიდედრისგან ანუ მარიამის დედისგან ვალად აეღო 12 თუმანი და 12 საპალნე ღვინო, რისი დამადასტურებელი თამასუქიც არსებობდა და სასამართლოშიც წარუდგენიათ. ცხადია, უშვილო ოთარის მემკვიდრეები მისი ძმისწულები იყვნენ და ვალის გასტუმრებაც მათ ეკისრებოდათ. პაპუას „აშორო“ უთქვამს ანუ „ღმერთმა აშოროს“, რაც სასარჩლო მოთხოვნის ხელაღებით უარყოფას ნიშნავდა. „ამისი პაპუამ აშორო თქვა. ტყუილი არისო. თუ წააყენოს პაპუამ ერთი აზნაურიშვილი და სამი მსახური და ასრე შეაფიცოს, რომე: „მაგ თამასუქისა ოთარს არ აუღია და არც დაუხარჯავს“, არას ემართლების. და თუ ვერ შეაფიცოს, რაც თამასუქში ეწეროს, თავნი თეთრიცა და ღვინოც მისცეს“.[12] მაშასადამე, პაპუა თუ დაიფიცებდა, რომ თამასუქში ასახული ვალი ოთარს არ ჰქონდა აღებული, მაშინ არაფერს ემართლებოდნენ, მაგრამ თუ ვერ დაიფიცებდა ძირი თანხა და ღვინოც უნდა დაებრუნებინა. როგორც ჩანს, ვერც ამაზე დაუფიცია პაპუას, თანაც ვალის აღება დოკუმენტებით დაუდასტურებიათ სასამართლოზე. ისიც გამოუძიებიათ, რომ დედის ქონების მემკვიდრე მარიამი იყო და ამიტომ ვალი მას უნდა დაბრუნებოდა. მოკლედ, მძიმე დღეში ჩავარდნილა პაპუა, თუმცა სასამართლოს მისთვის ანგარიში გაუწევია: „მაგრამ თუ სულ მიგვეცემინა, პაპუას ძალი დაემართებოდა. სარგებელი აღარ ვათხოვნინეთ, თვისაგანც ნახევარი დაუკლევით და ექსი თუმანი თეთრი და ექსი საპალნე ღვინო კიდევ ბატონს მარიამს უნდა მისცეს პაპუამა გერმანოზისშვილმა“.[13] ფაქტიურად, პაპუნას გაუნახევრეს გადასახადი და 12 თუმნისა და 12 საპალნე ღვინის მაგივრად, მხოლოდ 6 თუმანი და 6 საპალნე ღვინო დააკისრეს მარიამის სასარგებლოდ. როგორც ვხედავთ, ყველა სადავო საკითხში გამართლებული და გამარჯვებული მარიამი გამოვიდა. ცხადია, ეს ქალის დიდ უფლებრივ მდგომარეობაზე მეტყველებს. ქალს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს საჩივარი, მოპასუხე მხარე კი კაცი იყოს, თანაც მოსარჩლე იყოს უმაღლესი ინსტანციის — მეფის სასამართლოში. ერთი სარჩელით ედავოს სხვადასხვა საკითხზე: მამულზე, ყმაზე, ვალზე. ქალს უფლება აქვს პირად ქონებას ფლობდეს, რომელიც ხელშეუხებელია და ქმრისგან საჩუქრად აქვს მიღებული „ნაყიდი ვენახი“. მართალია, მის შესაძენად მარიამის მზითვი დაიხარჯა, თუმცა მხოლოდ მისი მზითვით არ უყიდია ოთარს და სხვა თანხაც გაიღო. ამასთან, მკაფიოა, რომ ცოლის მზითვი ქმრის ქონებას არ უერთდება და სიცოცხლის ბოლომდე დამოუკიდებლად რჩება. ცხადია, მზითვის გამოყენებაც მარიამის ნებართვით მოხდა. გარდა ამისა, ქალს (მარიამის დედას) უფლება აქვს ფული თუ სხვა რამ, მოცემულ შემთხვევაში ნატურალური პროდუქტი — ღვინო გაასესხოს და ეს იურიდიულაც გააფორმოს თამასუქის სახით. ცხადია, ესეც მისი პირადი ქონება იყო. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში სარგებელზე არის საუბარი ანუ ვალი პროცენტული სარგებლის მიღების პირობით იყო გასესხებული. მნიშვნელოვანია, რომ დედის ქონების მეკვიდრეც ქალია ანუ მარიამი. დაბოლოს, მეფის სასამართლოს განაჩენს ამტკიცებს და ხელს აწერს კათალიკოსი სხვა დიდმოხელეებთან ერთად.

ქალების მევახშეობა, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში. ვალის დაბრუნებას ეხება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ს განჩინება, რომელიც ელენე ბატონისშვილსა და ჯავახიშვილებს შორის დავას აწესრიგებდა. ფარემუზ ჯავახიშვილს ელენესგან თერთმეტი თუმანი აუღია ვალად. სანაცვლოდ, თავისი ყმა — ფარეშ ბაინდურასშვილი ჩაუდია გირაოდ თავისი მამულით. ყველაფერი თამასუქითაც გაუფორმებიათ. გირაოში ჩადებული ყმა გარდაცვლილა და „ელენეს იმ მამულებიდან აღარა რგებოდა რა, მთავნიც და სარგებელიც არა მისცემოდა რა“.[14] მეფეთა გადაწყვეტილებით ეს მამული ელენეს გადასცემია. თუ ჯავახიშვილი ვალს გაისტუმრებდა მამული მას დაუბრუნდებოდა, თუ არა და ისევ ელენეს დარჩებოდა. ელენეს ვალი დავით ჭაჭიასშვილსაც ჰქონია. მას 5 თუმანი უსესხია და გირაოდ ორი ვენახი ჩაუდია. ვალის გადახდამდე ეს ვენახებიც ელენეს განკარგულებაში რჩებოდა. საბუთის დასასრულს მოგვიანო მინაწერი აქვს: „ეს განაჩენი რომ მოგეცით, რადგან დიდი ხანი გავიდა რომ ჯავახიშვილმა ვერ დაიხსნა, ახლა როგორც გენებებოდეს, ისე მოიხმარეთ. სიტყვა ნუღარავის აქვს ამ მამულში. გინდოდესთ გაყიდეთ, გინდოდესთ თქვენთვის გეჭიროსთ, საქმე აღარავის აქვს“.[15] (ამ მინაწერსაც თავისი ბეჭდებით ამტკიცებენ

[9] Hd-6052, 1692 წლის 15 ივნისი; [10] კონკრეტული საგავრეულოს კუთვნილი მამულები, რომელიც მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე ან ასეთის არ ყოლის შემთხვევაში უახლოეს ნათესავზე; [11] Hd-6052; [12] Hd-15059; [13] Hd-6052; [14] Hd-14616; 1756 წლის 7 ივნისი; [15] Hd-14616, 1756 წლის 7 ივნისი,



ქ: ადიდების: ლოთ: ბაკურის: ეკლესიანი:

ქ: ბეთლის: ლაშქრ: ბეთელ: ბეთელს: ეკლესიის: ბიბლია:

ესენი: ბეთელ: ბეთელ: ბეთელ: ეკლესიის: ერისწინა: ბ: ბრძ: ნაბრძანებელთა: ბ

ბეთელ: ბიბლ: დიმიტრიანსმაც: ბ:ბენიამინ: ბეთლი: ეფესიანი: ფსე: ბ: ბრძ: ჯერმნ: ი:დიაბ:

ბეთელთ: ბთაიფლ: ბეთენ: ბ:ბენიმინ: ლიან: ბ: ნოეს: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ:

ქალაქსა: ბინა: ესმენდ: ჩაფლნ: ბ: ოეფ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ:

ნარეფლი: ცეხოდეთ: ჩაფლნ: ქუნაქი: ბ: ბეფლნ: ნსნსნ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ:

ბეთ: ბ: ბენ: ბ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ: ბ:ბენ:

ბ: ბ:ბ: ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ:

ბ: ბ:ბ: ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ:

ბ: ბ:ბ: ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ:

ბ: ბ:ბ: ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ: ბ:ბ:

მეფეები: თეიმურაზ II და ერეკლე II. მაშასადამე, ვალის გასტუმრების დავაში ელენეს გაუმარჯვია და გირაოდ ჩადებული მამულებიც მას დარჩენია.

ქალების მიერ აღძრული თუ ქალების საწინააღმდეგოდ წარმოებული სასამართლო დავები, ძირითადად, ქონებრივ საკითხებს ეხებოდა.
მეფე ვახტანგ VI-ს გაურჩევია ქონებრივი დავა ფარსადან ციციშვილსა და მის რძალს (პაპუნას ცოლყოფილი) შორის, რომელიც მემკვიდრეობის საქმეს ეხებოდა. პაპუნას მემკვიდრე ქალიშვილი დარჩენია და როგორც კანონმდებელი მეფე ამბობს: „რადგან ქალიც დარჩომოდა ან ქალსა და ან იმის სამკვიდროზე რომე არ მოხმაროდა და არდახარჯულიყო, მართებული არ იყო. ამ საქონლისაგან ქალს — მზითევი, იმის ცოლს — სამკვიდრო და სარჩო“ დარჩათ.[16] მოცემულ შემთხვევაში, პაპუნას მემკვიდრეობა მის ქალიშვილსა და მის ცოლს დარჩა.

მეფის სასამართლოში მონაზონ ქალსაც შეეძლო სარჩელი შეეტანა.
1775 წელს, მონაზონს, მუხრანბატონის ქალს, წისქვილის თაობაზე წარუდგენია არზა. „მანდ გახლდით თქვენს ბედნიერს ტახტზედ, შემოგეხვეწეთ წისქვილის საქმეზედ და წყალობა დამმართეთ, მოწმეები მიბძანეთ. ორი მოწამე თქვენი სახასო კაცნი მანდ ვიშოვნე, თქვენს ოქმზედ ხელი მოაწერეს. ყანდუაშვილმა ხელი ამიმართა წისქვილზედ; ჩაველ ქცხინვალს, ვინცავინ უფროსნი კაცნი იყვნეს მახსოვარნი, თქვენი მზე ვაფიცე, იმათაც ხელი მოაწერეს“.[17] მაშასადამე, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად მოწმეები იყვნენ საჭირო, რომელნიც თავის ჩვენებას წერილობით დაამოწმებდნენ, ამ შემთხვევაში, ხელის მოწერით. მოწმედ შეიძლება საკითხის „მახსოვარნი“ ყოფილიყვნენ. მეფე ერეკლე II-ს საქმის გარჩევა მდივანბეგების სასამართლოსთვის მიუნდვია. მონაზონ ქალის მცდელობის მიუხედავად, მდივანბეგებმა წისქვილი ყანდუაშვილს მიაკუთვნეს.

ისტორიულ დოკუმენტებს შორის უხვად არის ქალების წარდგენილი არზები. არზები იგივე საჩივრის საბუთებია.
უმეკაანთ ოსეფას ცოლი არზას მიართმევს მეფე ერეკლეს და თავისი გაჭირვების შესახებ მოუთხრობს. მის მამამთილს — სტეფანას გარდაცვალების შემდეგ ბევრი ვალი დარჩენია, რისი გასტუმრებაც სტეფანას ვაჟს — ოსეფას ვერ მოუხერხებია. ოსეფას ცოლი ჩივის, რომ მისი ქმარი „მოვალეების შიშით აქ ვეღარ დადგა, ათი წელიწადი არის კარდაკარ იარება, სითაც წავიდა, ხელი არ მოემართა, ცოლ-შვილი აქ მშიარი ეხოცება, მოვალეები ცალკე გვაღონებენ“. ოსეფას ცოლის თხოვნა მეფისადმი იყო, რომ მევალეებმა აცალონ, მის ქმარს საშუალება მიეცეს დაბრუნდეს, სახლ-კარი გაყიდოს და მევალეები გაისტუმროს“. ერეკლემ მისი თხოვნა დაადასტურა.[18]

არზების წარმდგენი ქალები, ძირითადად, ქვრივები არიან და მეფისგან ან დედოფლისგან ითხოვენ სამართალს.
ვინმე ქვრივი ანახანუმი არზით მიმართავს ერეკლე II-ს და ითხოვს, რომ მისი ორი ყმა გაათავისუფლოს გადასახადებისაგან და სიცოცხლის ბოლომდე ამსახუროს: „სანამდის ცოცხალი ვიყო ცეცხლი ამინთონ. და როცა თქვენის ჭირის სანაცვლო შევიქნა და მოვკვდე, მიწაში ჩამაგდონ“.[19] ერეკლემ დაუკმაყოფილა თხოვნა და ერთი ყმა გაუთავისუფლა არა მხოლოდ გადასახადებისაგან, არამედ ლაშქრობისგანაც კი, გარდა დიდი ლაშქრობებისა. შუა საუკუნეების საქართველოში, ლაშქრობისგან გათავისუფლება, ფაქტიურად არ ხდებოდა და იშვიათი გამონაკლისი იყო.

პატარა ყობიას ქალს არზა მიურთმევია მეფე ერეკლესთვის. იგი სურამში მცხოვრები ებრაელი ჩანს. დაქვრივებული მამამისის კერაზე დაბრუნებულა და თავისი წილი ოჯახში შეუტანია: 3 თუმანი, 2 თავი ფუტკარი და 1 ძროხა. მართალია, ხელახლა აპირებდა გათხოვებას, მაგრამ მამასა და ძმას ნება არ დაურთავთ. მათი გარდაცვალების შემდეგ კი მამისა და ძმის ქონებისგან წილი აღარ მიუციათ. საბუთის შინაარსიდან არ ჩანს, სად არის მისი შვილი, რომლის დაბრუნებასაც ითხოვს, მაგრამ ერეკლეს განაჩენში კი მითითებულია, რომ ყმაწვილი დედასთან უნდა ყოფილიყო, ხოლო რაც შეეხება ქვრივის წილს ძმის ქონებიდან „ურიების რიგითა და სამართლით“ უნდა

[16] Sd-1236, 1716-1724, [17] Qd-787, 1775 წლის 5 ივნისი, [18] Hd-181, 1765 წ. 22 იანვარი,
[19] Hd-9515, 1767 წლის 10 სექტემბერი,

განესაჯათ.[20] **ნიშანდობლივია, რომ მეფესთან ჩივილის უფლება საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხს შეეძლო და მეფეც მათი რჯულისა და წესის მიხედვით ასამართლებდა.**

ქვრივ-ობლების სარჩელს, როგორც წესი, სამეფო კარი აკმაყოფილებდა. კახეთის სოფელ კალაურის მოურავი, როდესაც გარდაცვლილა, მის დედას ერეკლე მეფისთვის არზით მიუმართავს, რომ მსახურები დაებრუნებინათ და მოურავობის სარგო გაეჩინათ ობლების გასაზრდელად.[21] ერეკლეს მისი თხოვნა დაუკმაყოფილებია.

ქალების შესახებ არსებულ სასამართლო დავებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალის გაწბილების ანუ გაუპატიურების საკითხს. როგორც წესი, მსგავსი დავები მხოლოდ მოახლე ქალების შესახებ წარმოებდა. ქალი უშუალოდ არ იღებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობას. მოსარჩლედ მისი ბატონი გამოდიოდა. მოახლის გაწბილების საქმე გაურჩევია იესე მდივანბეგს. სოლომონ გედევანიშვილის მოახლე გაუწბილებია დავით ფავლენიშვილს. რის გამოც სოლომონი ჩიოდა. იესე მდივანბეგი აღნიშნავს, რომ „ავთანდილ მდივანი ჩვენთან დავისწარით და ამათი საჩივარი ორისავე გავიგონეთ“.[22] დავითს სასამართლოს წინაშე თავისი დანაშაული უღიარებია, თუმცა ამტკიცებდა, „შვილი რომ ყავს, ის ჩემგან არ არისო“. ფავლენიშვილები თავადთა და აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდნენ. საბუთში არ ჩანს დავით ფავლენიშვილი თავადია თუ აზნაური, მაგრამ მოახლესთან შედარებით უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე იყო. კანონმდებლობა შესაბამის სასჯელს ითვალისწინებდა. „ჩვენ ამისი სამართალი ასე განვაწესეთ: რადგან ამ დავითმა თავისი პირით აღიარა ამ სოლომონის მოახლესთან სიძვა, დავითმა სოლომანს თავისის მოახლის გაწბილების სისხლი უნდა მისცეს“. სოლომონი დაბალი აზნაური იყო და ამ რიგის აზნაურის მოახლის სისხლი ფასად 6 თუმანი იყო განწესებული. დავითი კი ხელმოკლე კაცი იყო და ამდენის გადახდას ვერ შეძლებდა, ამიტომ სასამართლომ 2 თუმანი აპატია და 4 თუმანი დააკისრა გადასახდელად. „ამ ოთხს თუმანში ნახევარი ვეჯი უნდა მისცეს[23] და ნახევარი ნაღდი“ ანუ შეეძლო ნახევარი გადასახადი მატერიალური სახით მიეცა და ნახევარი ფულით. ამ ჯარიმიდან გაწბილებული მოახლე სარგებელს ვერ იღებდა, სასამართლოში მთავარი მოსარჩლე მოახლის პატრონი — გედევანიშვილი იყო, თუმცა თავისთავად ის ფაქტი, რომ ქალთან უკანონო სქესობრივი თანაცხოვრება ისჯებოდა, თუნდაც ქალი დაბალი სოცალური საფეხურის, ხოლო მამაკაცი მაღალი ფენის წარმომადგენელი ყოფილიყო, ქალის უფლებების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

[20] Ad-1135, 1772 წლის 9 ოქტომბერი; [21] Ad-2136, 1772 წლის 20 ოქტომბერი; [22] Hd-2983, 1775 წლის 21 ივნისი,
[23] Hd-2983;

დედოფლის სასამართლო ფუნქციები

დედოფლის როლი პროცესუალური სამართლის საქმეში დინამიურად ვითარდებოდა. საკითხის შესახებ ცნობები, ძირითადად, გვიანი შუა საუკუნეებიდან მოგვეპოვება. როგორც საისტორიო დოკუმენტებიდან ირკვევა, დედოფალი უფლებამოსილი იყო, რომ სადავო საკითხები განსახილველად გადაეცა კომპეტენტური პირებისთვის. ბარათაშვილებს შორის მიმდინარე სამამულე დავის გასარჩევად ქართლის მეფის სვიმონ I-ის მეუღლეს — დედოფალ ნესტან-დარეჯანს სახლთუხუცესი შიოში და ბოქაულთხუცესი აღათანგი გაუგზავნია „იმათ ენახა და გაესინჯა და გაესამართლა“.[24] ზოგადად, დედოფლის სახლთუხუცესს ჰქონდა მოსამართლის ფუნქციებიც, რის შესახებ საუბარია „დასტურლამალში“, თუმცა იგი ამ უფლებას დედოფლის სახასო მამულებში იყენებდა და გამონაკლის შემთხვევებში შეეძლო სხვა დავებიც გაერჩია. მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, დავა არ იყო დედოფლის სახასო მამულებზე, არამედ ბარათაშვილების ორი შტო: ყაფლან ბარათაშვილი და მისი განაყოფი იოთამი და შემდგომ მისი შვილები ერთმანეთს ედავებოდნენ საგვარეულო მამულებს. როგორც ჩანს, ეს დავა დედოფალ ნესტან-დარეჯანის ჩარევამდე დაწყებულა და „ერთხელ ის მიწები იოთამისაგან გამოფიცული ყოფილიყო, მაგრა ვერ შეჯერებულიყვნეს და ხელახლა ისევ იოთამ დაეფიცებინა“. საკითხი ამით არ გადაწყვეტილა. მოდავე მხარეები ისევ დაუპირსპირდნენ ერთმანეთს და მეფე როსტომისა და დედოფალ მარიამის კარზე იჩივლეს — „ახლა კიდევ ჩვენს კარზედ შეისარჩლნეს“.[25] მეფე-დედოფალს საკითხის განხილვა სახლთუხუცეს და მდივანბეგ რიონის, ვეზირ აღამოინისა და კარისკაცებისთვის მიუნდვია. ამჯერადაც, მთავარი მტკიცებულება ფიცი ჩანს: „რადგან ორჯერ გამოფიცული იყო, ყაფლან აღარას ემართლებოდა და აღარც მესამე ფიცი დაედებოდა“. საუკეთესო გადაწყვეტილებად ისევ დედოფალ ნესტან-დარეჯანის დროს დადგენილი საზღვრები მიუჩნევიათ — „რაც მაშინ იმათ გაუსამნავთ და გაუსამძღვრავთ, ის მიწები ჩვენცა სამკვიდროდ და საბოლოოდ იოთამას შვილებისთვის გვიბოძებია. ყაფლანს და მის შვილებს იოთამას შვილებთან ჯელი აღარა აქუს“[26] (ამ დადგენილებას ხელს აწერენ მეფე როსტომი და დედოფალი მარიამი).

[24] 1450-38/30; [25] 1450-38/30; [26] 1450-38/30

XVII საუკუნეში, უშუალოდ დედოფალი არ არჩევს დავებს, მაგრამ მას შეუძლია სამართალწარმოება დაავალოს შესაბამის უწყებას. განჩინებათა საბუთების მიხედვით, ქართლის მეფის, როსტომის მეუღლე მარიამი უფლებამოსილია სხვადასხვა ტიპის დავების განხილვის შესახებ გასცეს ბრძანება. საფიქრებელია, რომ საჩივარი მის სახელზე იწერებოდა, ხოლო დედოფალი სათანადო პირებს გადასცემდა განსასჯელად: სახლთუხუცესი, მამასახლისი, სუფრაჯი, მდივანი, ქალაქის მელიქი, მღვდელი და ა.შ.

განჩინებათა წიგნის დასაწყისში აღნიშნულია: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ბძანებითა დედოფალთა დედოფლისა პატრონისა მარიამისათა. დავსხედით ჩვენ: სახლისუხუცესი ბატონი ყაფლან...“. საბუთის დასასრულს დედოფალი მიღებულ განჩინებას ამტკიცებს ხელმოწერით.[27] სასამართლო გარდაწყვეტილების დოკუმენტებშიც დედოფალი მეფის გვერდითაა დასახელებული.[28]

სასამართლო დავებს არჩევდნენ თამარ დედოფლის ბრძანებითაც, რომელიც ვახტანგ VI-ის ასული და თეიმურაზ II-ის მეუღლე იყო. ორი დიდი ფეოდალური საგვარეულო: ენდრონიკაშვილები და სოლაღაშვილები მამულების შესახებ დაობდნენ. თამარ დედოფლის განცხადებით: **„ჩვენის ბძანებით დარბაისელთ სამართალი უყვეს.** სოლაღაშვილი და დავით ენდრონიკაშვილი მამულებზედ ჩიოდნენ. ნახევარი დავით ენდრონიკაშვილს დავანებეთ, ნახევარი სოლაღაშვილს. **ასე სამართალი ჩვენის ბძანებით უყვეს“.**[29] როგორც ჩანს, არა მხოლოდ დედოფალ თამარის ბრძანებით შეკრებილან დარბაისელები სამართლის განსასჯელად, არამედ მიღებული განაჩენიც მისი ბრძანებით გამოუტანიათ.

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში მნიშვნელოვნად იზრდება დედოფლის სასამართლო ფუქნციები. ერეკლე II-ის მეუღლე, დარეჯან დედოფალი თავად გამოდის მოსამართლედ. მსაჯულის ფუნქციას აღასრულებს, როგორც დამოუკიდებლად ასევე სხვებთან ერთადაც. მისი თავმჯდომარეობით სასამართლო საქმეები ირჩეოდა მდივანბეგთა სასამართლოში.

დედოფლის კომპეტენციაში შედიოდა სასამართლო საქმეების განიხლვა მთელი სამეფოს მასშტაბით და არა მხოლოდ მის სახასო მამულებში. მას უფლება ჰქონდა დაენიშნა აღმასრულებელი, სხვებსთვის დაევალებინა საქმის განხილვა და თავად დაემტკიცებინა გამოტანილი განაჩენი. ცხადია, დედოფალს შეეძლო განეხილა თავის ხელქვეითთა საჩივრებიც. დავების გარჩევა ხდებოდა მეფის დავალებით და უშუალოდ მომჩივარისგან მიღებული საჩივრის საფუძველზე.

[27] Qd-503, 1648 წლის 22 მაისი; [28] Hd-14419,
[29] 1461-12/1, 1738 წ.



დარეჯან დედოფალი, თავის სახასო მამულებში მთავარი მსაჯული იყო. ცხადია, როგორც სადედოფლო დომენის უმაღლესი სიუზერენი უფლებამოსილი იყო გაერჩია სამამულო დავები. იგი ქ, ცხინვალში ფლობდა სახასო მიწებს, ამიტომ სწორედ მისდამია მიმართული შიოშ საყვარელიძის საჩივარი, სადაც დედოფლისგან ითხოვდა ბეითალმანი მამულების მიღებას. საბუთს აქვს დარეჯან დედოფლის ოქმი, რომლის ძალითაც ცხინვალის მამასახლისს უბრძანებს დაუკმაყოფილოს შიოშს თხოვნა. ოქმს ამტკიცებს დარეჯან დედოფლის ბეჭედი.[30] საგულისხმოა, რომ დედოფლისადმი გაგზავნილი საჩივრის წიგნი შესაბამისი ფორმულით იწყებოდა: „ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბატონის დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მიწას საყვარელიძეს შიოშ“.

დედოფალი ამტკიცებდა განაჩენს მეფესთან და სხვა პირებთან ერთად ანუ მას განაჩენის კანონიერების შემოწმების უფლებაც ჰქონდა. 1461-13-133 საბუთზე არის მინაწერი: „ამისმა მოდავემ განაჩენი დაგვამტკიცებინა, ჩვენ ის განჩხრეკვით და კარგათ გასინჯვით ვერ გავსინჯეთ, თორემ არ დავამტკიცებდით, ჩვენი დამტკიცებული ისევ დაგვიყენებია“, ანუ დედოფალი აღნიშნავს, რომ მოდავე მხარის განაჩენი ისე დაამტკიცა, რომ საქმე შესწავლილი არ ჰქონდა, ამიტომ მიღებული გადაწყვეტილება შეაჩერა, ვიდრე საბოლოდ არ გამოიძებდა საქმის ვითარებას. გარდა ამისა **დედოფალს მეფესთან ერთად გამოჰქონდა განაჩენი. გარკვეულ შემთხვევაში მეფე განსახილველ საქმეს გადასცემდა დედოფალს,** მაგ. რევაზ ფავლენიშვილი დედოფლისადმი წარდგენილ არზაში აღნიშნავს: „მისმა უმაღლესობამ ბძანა რომ სამართალი თქვენ გვიბოძეთ.“ რევაზ ფავლენიშვილს დაუგირავებია ყმა, რათა აღებული ფულით გარდაცვლილი დისთვის სამარხი ეყიდა. დაგირავებულ ყმაზე დავა ჰქონდათ რევაზის დის ოჯახსა და დამგირავებელ მაიორს. მიუხედავად იმისა, რომ მეფის გადაწყვეტილებით ეს საქმე დედოფალს უნდა განეხილა, დარეჯან დედოფალი ოქმში აღნიშნავს: „რადგან ეს საქმე მისის უმაღლესობისაგან გამოსაძიებელი არის, მისს უმაღლესობასაც მოახსენე და რომელიც სამართლით პასუხის ბოძება იქნება მისის უმაღლესობისაგან გარდაწყვეტით გებძანება“. ამ შემთხვევაში საბოლოო ვერდიქტი მეფე ერეკლეს გამოაქვს.[31]

დედოფალი განიხილავდა ისეთ დავებსაც, რომელიც მანამდე მეფესთან იყო წარდგენილი და უკმაყოფილო მოსარჩლე კვლავ ითხოვდა საქმის გარჩევას. ზაალ გურამიშვილი არზაში პირდაპირ აღნიშნავს, რომ „მრავალჯერ მათს სიმაღლეს მეფეს თავი ვაწყინე და არა მეშველა რა“.[32] მოცემული არზის განხილვას დედოფალი გიორგი ბატონიშვილს ავალებს. ცხადია, ესეც **დედოფლის პრივილეგია იყო და მას უფლება ჰქონდა მეფის გარდა, სხვა ნებისმიერი კომპეტენტური პირისთვის დაევალებინა სასამართლო საქმის გარჩევა.**

[30] Hd-11058; [31] 1448-409; [32] Hd-176, 1781 წლის 7 მაისი,



ბრძანებანი ანა

ბერი ბარდული დასწერა წიგნისა საშჯელისა რომელი შესცა
ლთა: შესწა: რომელი ეწოდა: მაგ: მოე წიგნსა მეფეთ: ბეგეოლისას
ა: ე: ეგეშ სოლოთასა:

შეკრება ლოთასაგან საშჯელი შესწა: ა

შეკრება ლოთასაგან: თავ: ოთხე: შამასა: შიგნსა: ე: ლეკსა: შიგნსა: ადთარცა: ეგ
ფეკნ: შიგ: ოთხლამან: ლთნ: შიგნამან: რათა: ფოილი: ეგოეს: შიგ: ქეფოდასა: ზ
ეგ: რომ: ფიეი: ოთხლამან: ლთნ: შიგნამან: ჩეკეკეს: შიგ: ნოე: ფოკა: ეკლოე:
ნოე: ფერეფეს: ნოე: ოპარეე: ნოე: ცოლამსწავეს: ჩოფასა: შიგნასა: ფიპარი:
ნოეცა: ეგოლი: ეგოეს: ეკლოს: ჩოფასა: შიგნასა: ნოეცა: ეგოლი: ეგოეს
ს: სიტოსა: ჩოფასა: შიგნასა: ნოეცა: ქეფოდასა: ფიმსა: ნოეცა: ჩიასა: ფიმ
სა: ნოეცა: ფეფოლასა: ფიმსა: ნოეცა: ეკლოსა: ფიმსა: ნოეცა: ფოლოფასა: ფიმ
სა: ნოეცა: სიკლოფასა: ფიმსა: ნოეცა: ფოლოფე: რაცა: ოფს: ჩოფასა: შიგნას
ა:

ცოტა წინასწარმეტყველთა თეს ბ

ოფეთე: ალეკნიფეკეს: შიგნ: რომ: წინასწარმეტყველი: ანო: რეფეკნს: ფიალ
ფილი: ე: ირეფს: რაფე: ხასწავლი: საკითოფრეფასა: თქეფნ: რომ: ე: ოქს: ჩ: ეფ
ი: ფიფეკეი: რეფნ: ლოთა: ოეკსთა: რომ: ფილი: ეკა: ირეფეი: ნოე: ი
ჰფეი: ხიკეფთა: ფოთა: ნოეცა: რეფნ: ფასა: ფიალილილასთა: ე: წინასწარმ

დედოფლისადმი წარდგენილ საჩივრებში შედიოდა ისეთი დავებიც, რომელიც ბატონიშვილებსა და ადგილობრივ ფეოდალებს ჰქონდათ მოგვარებული, მაგრამ კონფლიქტი მაინც არ იღებდა დასრულებულ სახეს. შიოშ საყვარელიძესა და ზაზა და ბიძინა ფავლენიშვილებს შორის მამულებთან დაკავშირებული დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაზრდილა. შიოში თავის საჩივარში დეტალურად აღწერს, რომ ფავლენიშვილმა „თუმანნახევარი თეთრი წამართვა. ამასაც არ დამაჯერეს: ძმა გამილახა, მამიხდა კიდევ ზაზა ცხინვალს, დუქანში ვიჯექი, დამიშინა, თავი და პირი სისხლით შემისვარა, თვალიც კინაღამ გამამთხარა, ხლმით იწია, სომხებმა არ მოუშვეს: რომ ჩემმა ძმამ დაიფიცა, ძმაც მიკვდება, ძმისწულიცო. ამაზედ მკლემდა. დღესაც კიდევ სიკვდილს მიპირობს. თქვენდა სადღეგრძელოდ სამართალი მაღირსეთ“.[33] დარეჯან დედოფალს საქმის გარჩევა ალმასხან ბატონიშვილისთვის დაუვალებია. საინტერესოა მითითება, რომელსაც ალმასხანს აძლევს დედოფალი, საიდანაც ჩანს რა სტადიები უნდა გაევლო ძიებას განაჩენის გამოტანამდე: „ამის მოდავე, ორნივე თქვენთან ალაპარაკე, ორისავ მხარეს რაც წიგნები იყოს, მიატანინეთ, კარგათ გასინჯეთ, რასაც მიხვდეთ, ჭეშმარიტი სამართალი მიეცით და ერთმანერთს მოარჩინეთ“,[34] ანუ მოდავე მხარეებს ჰქონდათ საკუთარი არგუმენტების ჩამოყალიბების უფლება, ამასთან უნდა წარედგინათ დამამტკიცებელი დოკუმენტები, რომელიც დაწვრილებით უნდა განეხილათ და ამის შემდეგ გამოეტანათ მსჯავრი. მთავარ მტკიცებულებად წერილობითი დოკუმენტია აღიარებული. ასევე სასამართლოს ვალდებულებაში შედიოდა დაპირისპირებულ მხარეთა მორიგება.

დედოფალი განიხილავდა ყველა ტიპის დავას, მათ შორის ყოფით საკითხებზეც. 1777 წელს იოსებ ციხისთავის შვილმა მას მიმართა საჩივრით, რათა სახლთუხუცესს ნება მიეცა მეფისგან ნაწყალობევ მამულში შესულიყო და ესარგებლა: „ამთენს მოწყალებას ვითხოვთ, რომე სალთხუცესზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომე ერთი ძირი ნიგოზი მაინც დავბერტყო“. საჩივრის ტექსტს ახლავს დარეჯან დედოფლის განაჩენიც: „ქ. ბატონო სახლთუხუცესო! ამ არზის პატრონს ბატონის ბძანება, ოქმი და სიგელი აქვს და როგორც სიგელში ეწეროს ამას, ეს თქვენ გაურიგეთ“. [35]

დედოფლისთვის წარმოდგენილი დავები შეეხებოდა უძრავ და მოძრავ ქონებასაც. მასთან საჩივრებით მიდიოდნენ უკვე რამდენჯერმე განხილული დავის მოსარჩლენი, რომელნიც ვერ რიგდებოდნენ და საბოლოო განაჩენის გამოტანას დედოფლისგან ითხოვდნენ. პაატა ციციშვილს ქარელში არსებულ სამღებროზე დავა ჰქონია თავის ბიძაშვილ ივანესთან. ივანეს ბევრჯერ უჩივლია მეფესთან და გამტყუნებულა. ბოლოს დედოფლისთვის მიუმართავს. მისი გადაწყვეტილებით დავა სასამართლოში უნდა განეხილათ და სათანადო საბუთები წარედგინათ. პაატა ციციშვილი, დედოფლისთვის წარდგენილ არზაში აღნიშნავს, რომ „უფრო საბუთიანი სიტყვა რაღა იქნება, ბატონის წყალობა ოქმი მომირთმევია, ეს ოქმი ნახეთ და ამას გარდა ხუთი-ექვსი ოქმი სხვა მაქვს ასეთი ბატონისა და თქვენის წყალობის წიგნები“-ო. იურიდიული საბუთების სიმტკიცემ გადაწყვიტა პაატას ბედი. სამღებრო მას გადასცეს, ამასთან, დარეჯან დედოფალი ოქმში საგანგებოდ მიუთითებს, რომ ეს საქმე მეფეს უკვე ჰქონდა განხილული და გადაწყვეტილი, პაატასაც წესრიგში ჰქონდა სამღებროს მფლობელობის საბუთები და კიდევ ერთხელ, „ჩვენც ამ პაატასათვის დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია“-ო.[36]

დედოფალი განიხილავდა ვალის გასტუმრების შესახებ წარმოებულ დავებსაც. მანუჩარ მდივანს ვალის დაუბრუნებლობის გამო მიუმართავს დედოფლისთვის და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ მისი მოთხოვნა დაუკმაყოფილებიათ.[37]

[33] Hd-5320, 1782 წლის 11 სექტემბერი
[34] Hd-5320; [35] Hd-6640; [36] Hd-8052, 1782 წლის 10 აპრილი; [37] Hd-14879, 1784 წლის 25 ივნისი,

დედოფლის კომპეტენციაში შედიოდა სასაზღვრო დავების გარჩევაც. დარეჯანის განჩინებით ზაალ დავითიშვილს განუსაზღვრეს კუთვნილი სოფლის საზღვრები.[38]

საყურადღებოა, რომ **დედოფალს შეეძლო მორიგე ჯარში მსახურებისგანაც გაეთავისუფლებინა ყმა.** მორიგე ლაშქარი ერეკლე მეფის ინიციატივით შეიქმნა და რეგულარული ჯარის შექმნას ისახავდა მიზნად. ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ თითო თვით ემორიგევა საკუთარი საომარი აღჭურვილობითა და საკვებით. მორიგე ლაშქრისგან გათავისუფლება მეტად საპასუხიმგებლო საქმე იყო. ვინმე ოფრეთელი არუთინას გათავისუფლება მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ იგი დედოფლის ბრძანებით 3 თვის მანძილზე ყარაულად იყო გამწესებული და ამით დაიმსახურა შეღავათი.[39]
დარეჯან დედოფალი განიხილავდა ეკლესიის შესახებ წარმოებულ დავებსაც, მათ შორის სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ირგვლივ არსებულს. თავადი თუმანიშვილების არზიდან ირკვევა, რომ გორის მამულებში ჰქონდათ საგვარეულო ტაძარი, რომელშიც ვინმე ტერ-საჰაკა აღარ წირავდა და თუმანიშვილების შურის გამო იქვე ახალ ტაძარს აშენებდა, რითიც ძველ ეკლესიას ფუნქცია ეკარგებოდა. თუმანიშვილების განცხადებით, თუ დედოფალი დაუშვებდა შეიძლებოდა საქმეში ჩართულიყვნენ ეჩმიაძინისა დ ახპატის წინამძღვრებიც. დედოფალმა საქმის განხილვა წინამძღვარ მარტიროზ ვართაპეტს დაავალა, რომელსაც გორის დეკა-ნოზებთან ერთად უნდა გაერჩია საქმე და სამართლიანი დასკვნა გამოეტანათ.[40]

ნიშანდობლივია, რომ **თვით მსაჯულისთვისაც დედოფალს გამოჰქონდა განაჩენი, თანაც ისეთ საქმეებზე, რომელიც მეფეს უკვე განხილული ჰქონდა.** იესე მსაჯული ყმის თაობაზე ჩიოდა, რომლის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტებიც ხელთ ჰქონდა „ეს წიგნები თქვენც იხილეთ (ანუ დედოფალმა თ.ქ.) და თვით ჩემმა ხელმწიფემაც; და ბძანა — ეს კაცი იესესიაო, უნდა მასცეთო. წყალობას ვითხოვ, ერთი იასაული მებოძოს, ჩემი ყმა მომცენ და წამოვიყვანო ... სამართლით მე ის აღარ გამომერთმევა; და ნება თქვენია“. საგულისხმოა, იესე მსაჯულის, როგორც მოქმედი სამართლებრივი ნორმების მცოდნეს განცხადება - „სამართლით მე ის აღარ გამომერთმევა“. სათანადო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, დედოფალ დარეჯანის განჩინებით ყმა იესეს დაუბრუნდა.[41]

[38] Hd-434; [39] 1448-1392, 1787 წლის 10 აგვისტო; [40] Hd-13080, 1788 წლის 20 ივნისი; [41] 1450-26/39, 1780 წ. 9 იანვარი,

მეფის გარდა არავის შეეძლო დედოფლისთვის დაევალებინა საქმის გარჩევა, თვით დედოფალი კი უფლებამოსილი იყო საქმის გარჩევა დაევალებინა ბატონიშვილებისთვის, მდივანბეგებისთვის, ცალკეული მებატონეებისთვის და სასულიერო სასამართლოსთვის (დიკასტერია).

ერასტი გოსტაშაბიშვილი დედოფლისადმი წარდგენილ არზაში ითხოვს ან თავად გაარჩიოს სადავო საქმე ან მდივანბეგების სასამართლოს გადასცეს. დარეჯან დედოფლის ოქმით საქმის განხილვა მდივანბეგებს დაევალათ: „ბატონო მდივანბეგებო! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, და ამის მოდავეც თქვენს სამართალში ალაპარაკეთ. ორისავ მხრიდამ რაც წიგნები ჰქონდესთ, მოატანინეთ, გასინჯეთ. ღმრთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი უსაჯეთ. ბოქოულთხუცესო, ესენი შენ მიიყვანე და ალაპარაკე“.[42] ამ შემთხვევაშიც სახეზეა პროცესუალური სამართლის წარმართვის ეტაპები: ბოქაულთუხუცესს მიჰყავს მოდავე მხარეები სასამართლოში — მომჩივანიც და მოპასუხეც. ისინი მსჯელობენ სადავო თემაზე და მოაქვთ დამამტკიცებელი საბუთები, რომელსაც მდივანბეგები განიხილავენ და მის საფუძველზე გამოაქვთ განაჩენი. დედოფლის ბრძანებით საქმის განხილვა ევალებოდათ ადგილობრივ ფეოდალებსა და მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს. მაგ. თამაზა ამირაღაშვილის საქმის განხილვა ამილახვარის თაოსნობით შეკრებილ სამღვდელო და საერო პირებს უნდა გაერჩიათ.[43]

[42] Ad-1211, 1784 წლის 16 აპრილი; [43] Hd-161, 1788 წლის 11 მარტი

გარკვეულ შემთხვევებში დედოფალს სადავო საკითხებზე დროულად ვერ გამოჰქონდა განაჩენი, მაგრამ არც სხვა კომპეტენტურ პირსა თუ უწყებას ავალებდა საქმის განხილვას. მაგ. საეკლესიო ყმებს შიდა ქართლის სოფლებიდან (ქემერტი, მონასტერი, დგრვისი, ხვითი, ნიქოზი) არზა წარუდგენიათ დარეჯანის წინაშე და უთხოვიათ, რომ მხოლოდ მისდამი და მონასტრისადმი ჰქონოდათ საბატონყმო დამოკიდებულება. ოქმით დედოფალი ბარძიმ მაჩაბელს, საქმის განხილვამდე, ავალდებულებს ყმების მოვლას: „ქ. მაჩაბელო ბარძიმ, მერმე ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, ჩვენ ღმრთის მოწყალებით სამართლით ამათის სალაპარაკოს და დავის გარიგებას ვაპირებთ, მაგრამ ჯერ მოუცლელათ ვიყავით. მანამდინ მოვიცლიდეთ, ამათ საქმეს სამართლით გავასწორებდეთ, ეს კაცნი სრულებით შენთვის მოგვიბარებია. ესენი ან არავის გააგლეჯინო ან უსამართლო არავის დაამართვინო, თვალყური მიუგდე. თუ ამათ შესცოდა ვინმე რამ, შენგან დიდათ გვეწყინება“.[44]

იყო შემთხვევები, როცა დედოფალი მისდამი წარდგენილ არზას ოქმს ადებდა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას მეფეს აკისრებდა. პაატა მეითრიშვილის ქვრივმა სახლისა და დუქნების შესახებ წარუდგინა საჩივარი დედოფალს. მის ნაყიდ სახლში მოურავის ოჯახის წევრი — ხორეშანი დაუყენებიათ დროებით. ხორეშანს, როგორც ჩანს კარგა ხანს უსარგებლია მეითრიშვილების სახლით და როცა შვილებთან წასულა საცხოვრებლის დაგირავება გადაუწყვეტია, რისი კანონიერი უფლებაც, ცხადია, არ ჰქონდა — „იმას ნათხოვრად უჭირავს, დასაგირავებლად საქმე არა აქვს, თუ შენობაზედ ხარჯი აქვსთ რამე, ის ხომ მიერთმევა ჩვენგან და ჩვენი ნასყიდობა ჩვენ უნდა დაგვანებოს“-ო ჩიოდა პაატას ქვრივი. ჩანს, საჩივრის წარდგენისას მეფე ადგილზე არ იმყოფებოდა, ამიტომ დედოფლისგან ითხოვდა, რომ მეფის მოსვლამდე შეეჩერებინა სახლის დაგირავების საქმე. დარეჯან დედოფლის ოქმიდან ვიგებთ, რომ მოთხოვნა დაუკმაყოფილებია: „ამ სახლებს ბატონის (ანუ მეფის - თ.ქ.) მობძანებამდინ ვერა კაცი ვერ დაიგირავებს. ღმრთით ბატონი რომ მობძანდება, იმის ნება არის“.[45] ნიშანდობლივია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლე და მოპასუხე მხარესაც ქალები არიან და მათ სამართალში საქმის გარჩევის უფლება ჩვეულებრივ აქვთ.

დედოფალს აქვს უფლება საბოლოო განაჩენის გამოტანამდე შეაჩეროს სადავო საკითხის მსვლელობა. ბებურიშვილის ქვრივი ელენე და მდივანბეგი თეიმურაზი ყმის შესახებ დავობდნენ. ელენეს მტკიცებით 38 წლის წინ მიიღო ყმა მისმა ქმარმა. მას შემდეგ ელენეს მეუღლეც გარდაეცვალა და ორი შვილიც, დარჩა ერთი ობოლი, რომლის სარჩოდაც ითხოვს სადავო ყმის დატოვებას. დარეჯან დედოფლის ოქმით, სასამართლოში საქმის გარჩევამდე ყმა ხელუხლებელი რჩებოდა და მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩაბარდებოდა პატრონს ყმა.[46]

საჩივრების თემა მრავალფეროვანია და ხანდახან

[44] Qd-8744, 1785 წლის 11 აპრილი; [45] Hd-14597, 1785 წლის 24 აგვისტო; [46] 1448-1395, 1786 წლის 24 მარტი

მეტად დრამატულიც. ისტორიული დოკუმენტების ოფიციალური ტექსტების ფონზე, ზოგჯერ საოცარი ემოციურობით იხატება ადამიანთა სატკივარი და პირადი ისტორიები. ამ მხრივ გამორჩეულია ვინმე მეჯინიბის — იორდანეს დედის არზა, რომელსაც შვილი გარდაცვლია და სათხოვარით მიუმართავს დედოფლისთვის: „მშობელთ გულის ამბავი მოგეხსენებათ, როდესაც გავიგონე, გულთ ცეცხლმოკიდებული გიახელ ფეხშიშველა აქა. თვალცრემლიანათ გევედრები და მუხლთ გეხვევი, ბედნიერის ჯელმწიფის მწარე, ღარიბი და ნაილაჯი გახლავარ, მოწყალებით ჯელი აგვიპყარით და მარადის ჟამ თქვენად მლოცველად გვამყოფეთ“. დარეჯან დედოფლის ოქმით შვილმკვდარი დედა გაუთავისუფლებიათ გადასახადებისაგან: „ამ არზის პატრონს რადგანც ამგვარი განსაცდელი მისდგომია, ამათ ორი წელიწადი არაფერი არ უნდა ეთხოებოდეს რა, და ნურცარას გამოართმევთ.[47]“ ასევე გადასახადებისაგან გათავისუფლებას ითხოვს ველისციხელი გლეხი დემეტრე ველაძე — „ტყეში გახლდი და ხესა ვჭრიდი. ერთი ხე ფეხზედ დამეცა. მას აქათა სამი წელიწადია დედამიწის ტყვეთ გახლავარ. სოფლის საცოდავი შევიქენ. მეზობლები სამადლოთ მინახავენ. ასე ვარ, თქვენი მტერი დაღონდეს, როგორათაც მე დაღონებული გახლავარ, მარტოხელი, უსაქონლო და უქმაგო. ერთი უძლური და დაშავებული კაცი გახლავარ. ახლა და ნაცვალი მამდგომია, კულუხსა[48] და კოდისპურსა[49] მთხოვს შარშანწინანდელს კულუხსაც მედავება და ორ აბაზსაც საკომლოსაც[50] მთხოვს. მე ამეების შეძლება არა მაქვს. ვედრებით მოგახსენებთ, რომ ამ სათხოვარს მამარჩინოთ. ღმერთი გადღეგრძელებს. და თუ ბძანებთ, თქვენცა მნახეთ თუ დაშავებული არ გახლდე.“ აღსანიშნავია, რომ მართლაც მოუნახულებიათ დემეტრე ველაძე და რადგანაც დარწმუნებულან, რომ ფეხი მოტეხილი ჰქონდა, მიმდინარე და წინა წლის გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ.[51]

დედოფალი თავის ხელქვეითთა მიმართ არ სარგებლობდა სასამართლო შეუვალობით. დარეჯან დედოფალი გიორგი მეფეს წერდა, რომ მეფე ერეკლემ პირობა მისცა „ვინცა ვინ მე მახლავან, თავადნი, აზნაურნი, ან გლეხნი, იმათ თუ დააშაონ რამე უჩემოდ არ მოკითხოსთ, მე შევიტყო იმათი დანაშაული და როგორც წესია, დამნაშავეს ისე გადავახდევინოთ“. მაშასადამე, დედოფლის მოხელეებისა თუ ქვეშევრდომების მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხის მოთხოვნა სხვასაც შეეძლო, თუმცა დედოფლის თხოვნით მისთვის უნდა შეეტყობინებინათ და ისე განესაჯათ საქმე.

დედოფლის ხელქვეითთა შორის სასამართლო ფუნქციით მისი სახლთუხუცესები სარგებლობდნენ. დარეჯანს ორი სახლთუხუცესი ჰყავდა: კახეთში და ქართლში, რომელთაც სამოქალაქო ხასიათის დავების გარჩევა შეეძლოთ.

[47] Hd-2254, 1787 წლის, 27 ივნისი, [48] გადასახადის სახეობა. იხდიდნენ ღვინით. [49] გადასახადის სახეობა. იხდიდნენ მარცვლეულით.
[50] კომლზე დადებული გადასახადი, [51] 1448-1391, 1789 წლის 24 იანვარი

ქალი ოჯახში

ქორწინება

ოჯახი უძველესი ინსტიტუტია, რომელიც ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში აღმოცენდა და მისი სხვადასხვა სახეობა არსებობს. დღევანდელი სახით — მონოგამიური ოჯახის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანობის გავრცელებამ. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ განაპირობა საქორწინო წეს-ჩვეულებების საეკლესიო კანონიკურ ნორმებისთვის დაქვემდებარება, რომელიც დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და იცვლებოდა.

შუა საუკუნეების საქართველოში ოჯახის შექმნა, აუცილებლად ეკლესიის კურთხევით უნდა მომხდარიყო. ქორწინება ეკლესიის წიაღში ჯვრისწერის ლოცვით ფორმდებოდა, რომელიც შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთი იყო. ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმრის ქორწინებას შუა საუკუნეების საზოგადოება არ აღიარებდა. თუ მაინც მოხდებოდა გამონაკლისი, ჯვარდაუწერელ წყვილს საკანონო უნდა გადაეხადა. საკანონო იყო ეკლესიის მიერ დაწესებული სასჯელი, რომელიც ცოდვის გამოსასყიდად ედებოდა ადამიანს. სასჯელი სხვადასხვა ტიპის შესაძლოა ყოფილიყო, ძირათადად: 1. მატერიალური ჯარიმა ან 2. მორალურ-გამასწორებელი სასჯელი. უმეტეს შემთხვევაში, მატერიალურ ჯარიმას იხდიდა ადამიანი. მისი ოდენობა დამოკიდებული იყო დანაშაულის — შეცოდების სიმძიმეზე. მაგ. წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელის მიხედვით (1669 წ.) ჯვარდაუწერლად შეუღლებულებს საკანონოდ 2 ხარისა და 2 ცხვრის გადახდა ევალებოდათ.
რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით ჯვრისწერა, აუცილებლად ტაძარში უნდა მომხდარიყო. ძეგლისწერის მიხედვით, დაუშვებელი იყო მისი აღსრულება მონასტერში. ჯვრისწერას ასრულებდა თეთრი სამღვდელო და გამონაკლის შემთხვევაში — მღვდელ-მონაზონი.

ჯვრისწერას წინ უსწრებდა ნიშნობა/წინდობა.
ნიშნობა უძველესი ტრადიციაა და ოჯახებს შორის დამოყვრების წინასწარ შეთანხმებას გულისხმობდა. მშობლებს შორის სიტყვიერი შეთანხმება ანუ პირობის დადება წერილობითაც ფორმდებოდა. მეფე ერეკლე I (ნაზარალი-ხანი) და დავით ქსნის ერისთავი შეთანხმებულან დამოყვრებაზე. ერეკლე I-ს თავისი ქალიშვილი ცოლად უნდა მიეცა ქსნის ერისთავის უფროსი ძისთვის. მეფეს თავისი პირობას წერილობითი სახით ერისთავისთვის უბოძებია. თუმცა ვაჟი გარდაცვლილა. რადგანაც მათი დამოყვრება ჩაიშალა, საცოლის ძმებს: კახეთის მეფე დავით II-სა (იმამყული-ხანი) და მის ძმას, კახეთის ჯანიშინს თეიმურაზს (შემდგომში მეფე თეიმურაზ II) ქსნის ერისთავისთვის მოუთხოვიათ მათი მამის (ერეკლე I) ნაბოძები წყალობის სიგელი. ქსნის ერისთავსაც უკან დაუბრუნებია საბუთი. დავით II-მ ქსნის ერისთავს პირობას დაუდო, რომ მოყვრობის ჩაშლა მათ ურთიერთობებზე არ აისახებოდა და „ამიერიდან ჩვენსა და თქვენს შორის საწყრომელად ხელი არავის ჰქონდეს“-ო.[52]

დამოყვრების შესახებ პირობის წერილობითი გაფორმება, როგორც ჩანს გავრცელებული ყოფილა. დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე) მოგვითხრობს, რომ საცოლის დანიშვნისას, ქალის მშობლებმა მოსთხოვეს მამამისის, მეფე გიორგის ბრძანება მიეტანა თუ არადა ნიშანი უკან წაეღო.

ქრისტიანული კანონმდებლობით ნიშნობა ქორწინებას უტოლდებოდა, რაც გაიზიარა საერო კანონმდებლობამაც. ერთ საცოლესთან დანიშნული პირი თუ სხვას შეირთავდა ორცოლიანად განიხილებოდა.

[52] Qd 10154-ა, 1703-1722 წწ.

ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის ქართული ვერსია კანონმდებელმა მეფე ვახტანგ VI-მ სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა, რომელშიც მთელი რიგი მუხლები ეხება ნიშნობის წესებს. ვინაიდან ქართული სამართლის ნორმებზე დიდი გავლენა მოახდინა ბიზანტიურმა სამართალმა, მით უმეტეს, მაშინ როდესაც ბიზანტია ითვლებოდა მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად, სადაც ჩამოყალიბდა მთელი საეკლესიო-სამართლებრივი კანონები, საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ შესაბამისი მუხლები. სამართლის კრებულში, პირველ რიგში განმარტებულია თავად ნიშნობის არსი: „დანიშუნა ესე არს, რომე ორი კაცი შეიყრებიან და ერთმანეთს პირობას მისცემენ და ქალს ითხოვენ, და ნიშანს მისცემენ. მერმე ამ ორს კაცში, რომელმაც აღარ მოინდომოს მიცემა ან გამორთმევა, რაც რომ ნიშანი მიეცეს, ორი ზომი გამოერთვას და მისცენ, — ასი ფლური რომ მიეცეს, ასი სხვა გამოართვან და ორასი ფლური მისცენ“.[53] მოცემული კანონიდან გამომდინარე, ნიშნობის საკითხს დამოყვრების მოსურნე ორი ოჯახის წარმომადგენელი წყვეტდა. შეთანხმებას გარკვეული „ნიშნით“ ანუ ფასეული ნივთით, ამ შემთხვევაში, ფულით აფორმებდნენ. პირობის დამრღვევი „ნიშანს“ ორმაგად უნაზღაურებდა მეორე მხარეს. ერთ-ერთი დანიშნული თუ გარდაიცვლებოდა, ან მონასტერში წავიდოდა (რაც საერო ცხოვრებისთვის სიკვდილს ნიშნავდა), მაშინ ნიშანი უკან უბრუნდებოდათ: „ერთმა კაცმა ცოლი დანიშნა, და დედაკაცი თუ მოკუდეს, რაც მისთვის ნიშანი მიეტანოს, ისევ უნდა გამოართოს, და თუ ის კაცი ბერად შედგეს, თავისი ნიშანი ისევ მისცენ, ამისთვის რომე კარგს გზაზე წასულა“.[54]



გარდაცვალების შემთხვევაში ყოველთვის არ უბრუნდებოდა ნიშანი მეორეს: „უკეთუ კაცმა თავის დანიშნულს ცოლს აკოცოს და ორისაგან ერთი მოკუდა, რაც რომ ნიშანი მიუტანია ქალისათვის, მისი ნახევარი კოცნისათვის ქალს მიეცემა, და ნახევარი იმავ კაცს მიეცეს. უკეთუ კოცნა არ მოხდა და ისე მოკუდა, თავისი ნიშანი, ისევ უნდა წაიღოს“.[55]

[53] ბერძნული სამართალი; მუხ. 390; [54] ბერძნული სამართალი, მუხ. 391; [55] ბერძნული სამართალი, მუხ. 392

ნიშნობა შეიძლება გაუქმებულიყო რამდენიმე მიზეზით:

1. ასაკობრივი შეუსაბამობა: „რომელიც რომ საცოლ-ქმროდ დაინიშნებიან, თუ ერთი მეორეზე ყმაწვილი იყოს, ის ნიშნობა მოიშლება, თავისი ნიშანი ისევ წაიღოს, ამისთვის რომე სადამი მოუცადოს ყმაწვილსა?“[56]

2. ქალის დეფლორაცია: „ქალი სხვისაგან თუ ორსული გამოდგეს, ის ნიშნობა მოიშლება“.[57]

3. სარწმუნოებრივი სხვაობა: „დანიშნული იგი ორისაგან ერთ-ერთი სხვის სარწმუნოებისა იყოს, დანიშუნა მოიშალოს.[58]“

4.მამაკაცის პიროვნული ნება: „უკეთუ იმ ალაგის ბატონმა უფროსმა კაცმა ძალად ქალი მისცეს ვისმე, იმ კაცს არ უნდოდეს დანიშუნა, როდისაც დროს იპოვნის, მათი ძალად დანიშუნა მოიშლების“.[59]

5.ავადმყოფობა: ფსიქიკური მდგომარეობა და ეპილეფსია: „დანიშუნა მაშინ მოიშლება, რომე ორისაგან ერთი ეშმაკეულ იქმნას. თუ დანიშუნას უწინ შეემთხვევა ეს განსაცდელი, ნიშნობა მოიშლება. ხოლო უკეთუ დანიშნულას უკან ეშმაკეულ იქმნას სამს წელიწადს კაცმან ქალს მოუცადოს და ხუთს წელიწადს ქალმან კაცს მოუცადოს.თუ მორჩნენ დანიშუნა მოხდეს, თუ არადა ვერ მორჩენ, იგინი გაიყარნენ და სხვა დაინიშნონ“.[60]

ნიშნობისა და ქორწინების შესახებ მიიღო დადგენილებები 1104 წელს მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ. მისი გადაწყვეტილებები აისახა „ძეგლისწერაში“, რომლის მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად აიკრძალა ჩვილ ქალ-ყმათა გვირგვინის კურთხევა ანუ დაქორწინება. მშობლებს უფლება ეძლეოდათ დაეწინდათ ანუ დაენიშნათ შვილები ყრმობაშივე, ხოლო „რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინნეს“.

ამავე კრებამ **საქორწინო ასაკად ქალისთვის დაადგინა 12 წელი** – „ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა“. ამ წესს ხანგრძლივად უმოქმედია საქართველოში. მაგ. XVI ს. ბოლოს, ქეთევან დედოფალი იგივე ქეთევან წამებული 12 წლის ასაკში დააქორწინეს კახეთის უფლისწულ დავითზე.

„ძეგლისწერის“ მიხედვით, **ადამიანს ორჯერ ჰქონდა ქორწინების უფლება.** როგორც წესი, მეორედ ქორწინება ხდებოდა დაქვრივების შემთხვევაში. ქართული ტრადიციების მიხედვით, დაუშვებელი იყო ერთდროულად ორ და მეტ ქორწინებაში ყოფნა. ცნობილია, რომ საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებულმა (1270-1289), როდესაც ერთდროულად დაისვა სამი ცოლი, ამის გამო დიდი პრობლემები შეექმნა საეკლესიო იერარქებთან და თვით კათალიკოს-პატრიარქიც კი გადადგა პროტესტის ნიშნად.

„ძეგლისწერის“ თანახმად, **აიკრძალა მართლმადიდებელისა და წარმართის ჯვრისწერა, ასევე ქორწინება კიდის-კიდე ანუ წარმომადგენლობითი ქორწინება.** წყვილი, როდესაც ვერ ახერხებდა გარკვეულ ადგილზე ერთად შეყრას მიმართავდა წარმომადგენლობითი ქორწინების ფორმას. მეუღლეები ერთსადაიმავე დროს იწერდნენ ჯვარს, მაგრამ სხვადასხვა ეკლესიაში. გვირგვინის ქვეშ საცოლესთან საქმროს მაგიერ სხვა მამაკაცი იდგა, საქმროსთან საცოლის ნაცვლად ასევე — მამაკაცი და არა ქალი. მაგრამ ჯვრისწერის დროს იხსენიებდნენ ნამდვილი საქმროსა და საცოლის (და არა მათი წარმომადგენლების) სახელებს. როგორც ჩანს, წარმომადგენლობითი ქორწინება ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში XII საუკუნემდე.

[56] ბერძნული სამართალი, მუხ. 393; [57] რძნული სამართალი; მუხ. 394; [58] ბერძნული სამართალი, მუხ. 395; [59] ბერძნული სამართალი, მუხ. 395;
[60] ბერძნული სამართალი, მუხ. 397

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

საეკლესიო კანონმდებლობით დაწესდა ჯვრისწერის დამაბრკოლებელი გარემოებები. ქორწინება იკრძალებოდა:

1. სისხლით ნათესავებს შორის;
2. „სულიერ ნათესავებს“ შორის;
3. თეთრ ან შავ სამღვდელო პირზე (თეთრ სამღვდელოებას, ზოგადად, ქორწინება არ ეკრძალებოდა, თუმცა დაქორწინება უნდა მომხდარიყო სასულიერო პირად ხელდასხმამდე);
4. არაქრისტიანზე;
5. ასაკის და სულიერი მდგომარეობის მიხედვით დაწესებული იყო შეზღუდვები.

სისხლით ნათესავებში შედიოდნენ: ხორციელი ნათესავები: მამის ძმისწული, დედის ძმისწული, მამა-შვილს არ შეეძლო დედა-შვილი მოეყვანა ან ძმებს — დები. თუ ვინმე მეშვიდე ხარისხში სისხლით ნათესავზე დაქორწინდებოდა მას ეკლესია საკანონოს ახდევინებდა.

ნათესავებს შორის შეუფერებელ ქორწინებას „უხვედრი ქორწინება“ ეწოდებოდა. ასეთ დანაშაულს, ძირითადად, სასულიერო იერარქები განიხილავდნენ და საკანონოს დადებაც მათი კომპეტენცია იყო, მაგრამ მათთან ერთად მსგავსი საქმის გარჩევაში საერო ხელისუფალთაც ვხედავთ. შემორჩენილი გვაქვს მეფე თემიურაზ II-ისა და კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის განჩინება, რომელიც ეხება ვინმე თავად გიორგის და თამარის უხვედრ ქორწინებას. ამ საკითხის განსახილველად მეფესა და პატრიარქთან ერთად, თბილისში შეკრებილა 22 სასულიერო პირი. საბუთში გვარები არაა მოცემული — „გიორგი ვინმე თავადთაგანმა იმძლავრა საიდუმლო ქორწინებისა, ურჩებათა წესსა ეკლესიისათა ...უხვედრისა თანა ნათესავისა იქორწინა ... ქალწული იგი რომელიცა დაიწინდა და იქორწინაცა უსჯულოებით, განვაშორეთ ყოვლითურთ უწესოსა მის შეუღვლილებისაგან და შეჩვენებისაცა ღირსად განვაჩინენით იგინი.“ დოკუმენტი არ გვამცნობს როგორი ნათესავები იყვნენ ერთმანეთისთვის გიორგი და თამარი. რადგანაც ქორწინება სჯულის კანონებს გადამცდარი ყოფილა, ამიტომ დაუშორებიათ შეუღლებულნი და მათი შეჩვენებაც კი უფიქრიათ. შეჩვენება ძალიან მძიმე სასჯელი იყო და ეკლესიისაგან განკვეთას გულისხმობდა, თუმცა კრება ამ გადაწყვეტილებამდე არ მისულა და „არა სადა განწირულებასა მიეცეს იგი, ვინებეთ ცთომილისა მის და დაცემულისა აღმართებაჲ“. მაშასადამე, უხვედრ ქორწინებაში მყოფი გიორგი, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყო და მძიმე მორალური დარტყმა არ მიეღო კრებას განუზრახავს რაიმე ფორმით მისი მდგომარეობის გამოსწორება. მსჯელობის შემდეგ მათ დაუდგენიათ: ვინაიდან ჯვრისწერის საიდუმლო უკვე აღსრულებული იყო, ხოლო თუ სხვა ქალს შეირთავდა, რადგან უკვე დაქორწინებული იყო, კვლავ მძიმე ცოდვაში ჩავარდებოდა, ამიტომ გიორგისაც და თამარსაც ექვსი თვით მონასტერში ყოფნა განუწესეს. მათ შავი სამოსი უნდა ჩაეცვათ, ხოლო შიგნიდან — თეთრი. მონაზვნებივით უნდა ემარხულათ: არ მიეღოთ ხორცეული, კვირაში ერთხელ, მხოლოდ კვირა დღეს დაელიათ ღვინო და მონასტრის მსახურებივით, დიდი სიმდაბლით მოქცეულიყვნენ. გიორგი მამათა მონასტერში გაგზავნეს, თამარი კი დედათა მონასტერში. ექვსი თვის შემდეგ ორივე პატრიარქთან მივიდოდა და შენდობას ითხოვდა, მხოლოდ ამის შემდეგ „შეერთდნენ მეუღლედ იგინი“, ანუ დაწესებული ეპიტიმიის შესრულების შემდეგ თამარი და გიორგი კვლავ ცოლ-ქმრად დარჩებოდნენ.[61]

[61] Qd-9858;



უხვედრად ითვლებოდა ოჯახში შესულ წევრზე ქორწინებაც. რძალი, რომელიც შვილის ან ძმის ცოლს ერქვა (დღეს, რძალში მოიაზრება მაზლის ან ნათესავის ცოლიც), ცხადია, ნათესავად ითვლებოდა და მასზე ქორწინებაც დაუშვებელი იყო. საკმაოდ, მძიმე სასჯელია გათვალისწინებული რძალზე დაქორწინების შემთხვევაში. XVI საუკუნის საკანონმდებლო ძეგლის „სამართალი კათალიკოზთა“-ს 22-ე მუხლი ეხება აღნიშნულ საკითხს, სადაც ნათქვამია: „ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან, რძალი შეირთოს, შეჩვენებულიმც არის ღმრთისაგან და მისთა წმიდათაგან და შვიდთა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან. კაციცა და დედაკაციცა გაღმა-გამოღმა დაკირონ, და მკირავნი ჩვენგან დალოცვილ და კურთხეულ იყვნენ“. დაკირვა, გულისხმობდა ჩაქოლვას ქვა-ღორღისა და კირის (კირქვის) მეშვეობით. სასჯელი მკაცრია, მაგრამ საგულისხმოა, რომ არ ცნობს სოციალურ და სქესობრივ განსხვავებას, საერთოა ნებისმიერი წოდების წარმომადგენლისთვის: თავადი, აზნაური, გლეხი, ასევე თანაბრად ისჯება მამაკაციც და ქალიც.

უხვედრი ქორწინებისას მხოლოდ წყვილი არ ისჯებოდა, სასჯელი ვრცელდებოდა ქორწინების ნებადამრთველ ეპისკოპოსზეც. „სამართალი კათალიკოზთა“-ს მე-7 მუხლის მიხედვით, თუ ეპისკოპოსი თავის მოვალეობას რიგიანად არ ასრულებდა და მათ შორის „უხვედრობისა და სჯნაობისა საქმესა ზედა ნება დართოს“, ასეთი ეპისკოპოსი უნდა შეაჩვენონ და ექსორია უყონ, ანუ გააძევონ თავისი ეპარქიიდან.

როგორც ჩანს, ასეთი ქორწინებისას, ყოველთვის არ იმაღლებდნენ ხმას სამღვდელო იერარქები. 1810 წლის 15 მაისით დათარიღებულ წერილში ჯუმათის ეპისკოპოსი მაქსიმე მიმართავს აფხაზეთის საკათალიკოსოს მღვდელმთავრებს: „მათს ყოვლად სამღვდელოებას: ქუთათელ მიტროპოლიტს უფალს დოსითეოსს, გაენათელ მიტროპოლიტს უფალს ევთვიმის, მთავარეპისკოპოსს უფალს ანტონის, ნიკოლაოსწმინდელს უფალს სოფრომს, მოწყალეთა მეუფეთა წმიდათა მარჯუენეთა ზედა ამბორს უყოფ სურვილით. თქვენ პირველთაგან და მე თქვენ მიერ გარდმომცემია და ვიცი, რომელ ორნი პირველნი ბიძაშვილნი ორთა ვერ შეირთვენ დათა და ვერცა ბიძა და დისწული. ხოლო აწ მესმა დადიანი და სახლთუხუცესი, თქუენი ნება დართვით, აქამდის არ დავიჯერე, მაგრამ ახლა სარწმუნოს გავს, რომ წვეულნი აწვიეს საქორწინოდ. აწ მე კადნიერ ვიქნები და თქვენს მეუფებას ამას მოვახსენებ: თუ აქამდის არა იქნებოდა ესევითარი მეუღლეობა, ახლა რად უნდა იქმნეს? ... ერთი მეორეს ნუ მიუგდებთ: შენი სამწყსოა, შენ სთქვიო. არამედ ერთად ბრძანეთ და ეს უჯერო საქმე დახსენით, სჯობს. თუ ეს არ დახსნათ, დიდსა და მცირეზედ ბრძანება გაეცით, რომ ვინც ინებოს და სადაცა ესევითარი შეყრა, ნურავინ აყენებს, თორემ რომელსამე მისცემთ სიმაღლით და რომელსამე არა სიმდაბლით, ესე კაცთ-მოთნებაა და არა ჯერ არს თქუენ მიერ“.[62] წერილის ტექსტიდან ირკვევა, რომ დადიანისა და მისი სახლთუხუცესის უჯერო ქორწინებაზე უარი უთქვამთ ჭყონდიდელ და ცაიშელ ეპიკოპოსებს, ამიტომაც ადრესატებში ისინი არ იხსენიებიან. ჯუმათელი ეპისკოპოსი მიმართავს ქუთათელ, გენათელ და ნიკორწმინდელ ეპისკოპოსებს და განმარტებას ითხოვს რატომ ირღვევა ტრადიციულად დაკანონებული

[62] Sd-1203

წესები, რომელიც საყოველთაოდ მიღებული იყო და ამ მაღალი იერარქებისგან სცოდნია თავად ჯუმათელსაც. თუკი ბიძაშვილები ვერ დაქორწინდებიან დებზე და ვერც ბიძა დისწულზე, რატომ რთავენ ნებას დადიანსა და მის სახლთუხუცესს ქორწინებაზე. მისთვის იმდენად წარმოუდგენელი ყოფილა ეს ამბავი, რომ სანამ საქორწინოდ არ მიუწვევიათ ხალხი, ვერ დაუჯერებია. იგი მიმართავს მღვდელმთავრებს, რომ პასუხისმგებლობისგან ვერ გათავისუფლდებიან იმით, რომ ეს მათ ეპარქიაში არ ხდება. საბუთში კარგად ჩანს აფხაზთა საკათალიკოსოში შექმნილი ვითარება. მიუხედავად საეკლესიო კანონების აშკარა დარღვევისა, მღვდელმთავრების ნაწილი ვერ უწევდა წინააღმდეგობას ოდიშის სამთავროს მმართველ დადიანს. მაქსიმე ჯუმათელის პროტესტიც, კანონიერების დაცვის გარდა, სწორედ ამისკენაა მიმართული, რომ **სჯული დიდებულისთვისაც და მდაბიოსთვისაც საერთოა.**

მეფე-მთავრები თუ წარჩინებული ფეოდალები, სადაც ქორწინება პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს უკავშირდებოდა ამ წესს ყოველთვის ვერ იცავდნენ და გარკვეულ შემთხვევებში, ეკლესიაც თანხმდებოდა ამგვარ ქორწინებებს სისხლით ნათესაობის მეხუთე, მეექვსე ხარისხში, გარკვეულ შემთხვევებში კი ნათესაობის უფრო დაბალ ხარისხშიც.

კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და ხვარაშანი. ეკლესიამ მათი ქორწინება არამართებულად მიიჩნია, რადგან მათ შორის ახლო ნათესაური კავშირი იყო (ხვარაშანის ბებია ნესტან-დარეჯანი იყო თეიმურაზის პაპის, ალექსანდრე II-ის, და). XVIII საუკუნის ისტორიკოსის — ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ხვარაშანზე დაქორწინება თეიმურაზს ირანის შაჰმა აბას I-მა უბრძანა. მოცემულ პერიოდში კახეთისა და ქართლის მეფეები ირანის ვასალები იყვნენ და სიუზერენისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძვირად უჯდებოდა ქვეყანას. თავად ის ფაქტი, რომ ირანის შაჰი იღებდა კახეთის მეფის დაქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას განსაზღვრავს კახეთის პოლიტიკური დამოკიდებულების ხარისხს სპარსეთისადმი. მართალია, თეიმურაზისგან თავდაპირველად უარი მიიღო შაჰმა, მაგრამ „არა უსმინა შაბაზ და უწყინა და, რადგან დაუჟინა, ნება დართო თეიმურაზ და მორჩილ ექმნა და ჩამოჰყვა შერთვასა ხორაშანისასა“. თეიმურაზის გარდა, ამ ქორწინების წინააღმდეგი სასულიერო პირებიც იყვნენ, თუმცა, ჩანს, მათაც ანგარიში გაუწიეს შაჰის მოთხოვნას: „პატრიარქმან და ეფისკოპოზთ კრება და რჩევა ქნეს: საქრისტიანოს გასაძლიერებლად ნება დართვეს ბატონს თეიმურაზს და ხორაშან წაიყვანა“. გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მიუღია რომელიმე საეკლესიო იერარქს. ამის თაობაზე კრება მოუწვევიათ და ისევ ეროვნული მოტივებით უხელმძღვანელიათ, რომ ქართლისა და კახეთის მეფეების დამოყვრება სასიკეთოდ წაადგებოდა ქვეყანასაც და საქრისტიანოსაც. მეფე ლუარსაბ II-მ ამის გამო საკანონო გადაიხადა. ქართლში მყოფ იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს სიგელი უბოძა, რომლის ძალითაც სოფლები: თერგისი და ყუდაინათი ქრისტეს საფლავისთვის შეუწირავს.[63] საკანონო გადასახადი ეკლესიისათვის თეიმურაზსაც გადაუხდია. მეფე თეიმურაზს კახეთში იერუსალიმის პატრიარქი თეოფანეც მიუღია და უხვად დაუსაჩუქრებია. ასევე, შეუწირავს სოფ. აღდგომა და კისისხევი.

მეფის ქორწინება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო და ამ გადაწყვეტილების მიღებაში ქვეყნის მმართველი პირები მონაწილეობდნენ. მაგ. თამარ მეფის ქორწინების შესახებ დარბაზის სხდომაზე იმსჯელეს და ისე შეარჩიეს საქმრო.

[63] 1450-51/209

ქვეყანას თუ დამოუკიდებლობა ჰქონდა დაკარგული და რომელიმე უცხო დამპყრობელის მორჩილებაში იმყოფებოდა, სამეფო ოჯახის ქორწინების საკითხს პოლიტიკური სიუზერენი წყვეტდა. ზევით უკვე გვქონდა მოყვანილი მაგალითი, რომ შაჰ აბას I-ის მითითებით დაქორწინდა თეიმურაზ I ხორეშან დედოფალზე. ასევე როსტომ-ხანმა (მეფე როსტომი) საკუთარი ქორწინება მარიამ დადიანის ასულთან (ოდიშის მთავრის, ლევან დადიანის დასთან) ირანის შაჰს შეუთანხმა. ოდიშის მთავართან დამოყვრება ირანის ინტერესებშიც შედიოდა და თავად როსტომისაც. ოდიშის სამთავრო ოსმალეთის ვასალი იყო. ირან-ოსმალეთის მიმდინარე ომის ფონზე შაჰის კარი დაინტერესებული იყო, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომები გადაებირებინა და მოკავშირედ გაეხადა. ამიტომაც შაჰმა ლევან დადიანს 50 000 მარჩილი გამოუგზავნა და ყოველწლიური ჯამაგირი 1000 თუმანი გაუჩინა.

ირანის ხელდებულ როსტომთან დამოყვრება ლევან დადიანისთვისაც აქტუალური იყო, რადგან საგარეო საქმეებში ამ გზით შეძლებდა ოსმალეთის გავლენის შესუსტებას, ხოლო საშინაო მდგომარეობას როსტომ მეფის დახმარებით მოაგვარებდა.

როსტომისთვის მნიშვნელოვანი იყო ოდიშის მთავრთან მოკავშირეობა ქორწინებითაც განემტკიცებინა, რადგან ლევან დადიანი შეუპოვრად ებრძოდა იმერეთის მეფეს. იმერეთში კი თავს აფარებდა როსტომის მთავარი მოქიშპე მეფე თეიმურაზ I. ცხადია, როსტომი ცდილობდა ლევან დადიანის საშუალებით თეიმურაზის განეიტრალებას. ამგვარად აწყობილი პოლიტიკური გეგმების ხელისშემშლელი აღმოჩნდა ქორწინების მთავარი პერსონა – მარიამი. იგი წინააღმდეგი იყო როსტომთან ქორწინებისა. მას ორი არგუმენტი ჰქონდა: 1. მისი ყოფილი ქმარი ცოცხალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ დაშორებულები იყვნენ; 2. როსტომი მუსლიმი იყო და ქრისტიანი ქალის დაქორწინება მაჰმადიანზე შეუძლებელი გახლდათ. ლევან დადიანმა ელჩის პირით შეუთვალა როსტომს, რომ მისი და ყოყმანობდა, მაგრამ მის დაყოლიებას დაპირდა. როსტომიც არ დარჩენილა უქმად. მარიამის მოსახიბლად უამრავი ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი სამკაული გაუგზავნა. გარდა ამისა, მარიამთან დიდი ავტორიტეტით გამორჩეული სასულიერო პირები: თბილელი ეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი და ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი იგივე ნიკიფორე ირბახი გაგზავნა. მარიამი მტკიცედ დადგა უარზე და ელჩები არ მიიღო, ამასთან როსტომის გაგზავნილ საჩუქრებს ზურგი აქცია და არც შეუხედავს. ლევან დადიანი იმდენად გაანაწყენა დის ურჩობამ, რომ თხოვნა-მუდარიდან მუქარაზე გადავიდა, ბოლოს კი სასჯელზე და თავის დას რამდენჯერმე ჯოხი შემოსცხო. საბოლოოდ, მარიამის დაყოლიება სასულიერო პირებმა მოახერხეს. მათ დაარწმუნეს საპატარძლო, რომ ქრისტიანი დედოფლის გავლენით შეწყდებოდა ქართველების გამუსლიმების პროცესი. როსტომმაც საცოლის გულის მოსაგებად ნათლობის რიტუალი შეასრულა.

დიპლომატიური საფუძველი ჰქონდა ქართველი წარჩინებული ქალების ქორწინებას უცხოელ მონარქებსა თუ უფლისწულებზე. ამის, უამრავი ფაქტია დადასტურებული საქართველოს ისტორიაში.

ფეოდალთა ქორწინებაც პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივებით იყო განპირობებული, ამიტომ ზოგჯერ მეფე ერეოდა ქვეშევრდომთა დაოჯახების საკითხში. ცნობილია, რომ მეფე როსტომის გადაწყვეტილებით ზურაბ სააკაძის საცოლე – პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილის და ცოლად შერთეს ქვაბულ მაჩაბელს. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ ზურაბ სააკაძე როსტომ მეფეს აუჯანყდა, რის გამოც დასაჯეს და საცოლე წაართვეს. ქვაბულ მაჩაბელი კი როსტომის გაზრდილი და ერთგული იყო.

ქორწინება დაუშვებელი იყო „სულიერ ნათესავებში“. მასში იგულისხმებიან ნათლია და ნათლული. ვინაიდან ნათლობა მეორე დაბადებად ითვლება, ნათლია სულიერი მშობელია. VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ აკრძალა ქორწინება ნათლიასა და ნათლულს შორის, რასაც მოჰყვა ტრულის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება, რომ თუ ვინმე საკუთარ შვილს მონათლავდა, ვალდებული იყო დაშორებოდა ცოლს.

ბიზანტიურ საკანონმდებლო წესებში და ქართულშიც სულიერი ნათესავების წრე გაიზარდა და ნათლია-ნათლულის გარდა, მათი შვილებიც ნათესავებად გამოცხადნენ, ვიდრე მეშვიდე ხარისხამდე. სულიერი ნათესაობა ხორციელ ნათესაობაზე აღმატებულად ითვლებოდა.

წარმართთან და მწვალებელთან ქორწინება არ შეიძლებოდა. ერთ-ერთი მექორწინე მაინც უნდა ყოფილიყო მართლმადიდებელი. მათი ბავშვები მართლმადიდებლებად უნდა მონათლულიყვნენ, რომ ეკლესიას ასეთ ქორწინებაზე კურთხევა მიეცა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ აღნიშნულია, რომ „არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა



შეეუღლნენ“.[64] ქართველი მეფეების ცოლები, რომლებიც სხვა აღმსარებლობის იყვნენ მართლმადიდებლებად ინათლებოდნენ. საქართველოში ყოველთვის მრავლად ცხოვრობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ეთნიკური ჯგუფები და მათთან ოჯახის შექმნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ მართლმადიდებლად მოინათლებოდა მექორწინე. ამ მხრივ, საინტერესოა, კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის 1750 წლის საბუთი. იგი მიმართავს ბაადურ მაჩაბელს, რომ მისი ყმის — ფარსადანა ნაბიჭვრიშვილის ქრისტიანი ქალი არ უნდა მიეთხოვებინათ წარმართი ოსისთვის. კათალიკოსი ითხოვდა, ოსისთვის ქალი წაერთმიათ და დავით ურიაყოფილზე დაექორიწნებინათ. დავითის ზეწოდება გვიჩვენებს, რომ იგი ებრაელი ყოფილა, მაგრამ რადგანაც „ურიაყოფილი“ ეწოდება უკვე გაქრისტიანებული უნდა ყოფილიყო.[65] ქართველთა და ოსთა შორის ქორწინებაზეა საუბარი 1782 წლის დოკუმენტში „განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა“, რომელიც არაგვის საერისთავოს მაცხოვრებლებს მიემართება და პირდაპირაა მითითებული, რომ ქრისტიანი თუ ოსს გაყვება დანაშაულად ჩაეთვლება და პასუხს აგებინებენ, ხოლო თუ ოს ქალს მოიყვანს ცოლად იგი უნდა მოენათლათ.[66]

[64] რუის-ურბნისის ძეგლისწერა, მუხ.13; [65] Qd-8706; [66] Sd-493

ᲒᲡᲜᲥᲛᲠᲬᲘᲜᲔᲢᲡ

შუა საუკუნეების საქართველოში განქორწინებაც საეკლესიო კანონმდებლობის მიერ იყო რეგლამენტირებული, რასაც საერო კანონმდებლობაც იზიარებდა. მიუხედავად იმისა, რომ განქორწინება ქრისტიანული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით დიდად მიღებული არ იყო, არსებობდა გარკვეული შემთხვევები, როდესაც ეკლესია ნებას რთავდა წყვილს განქორწინებულიყო. მათ შორის უპირველესი იყო ოჯახური თანაცხოვრების დროს ჩადენილი ღალატი ანუ მრუშობა. საკანონმდებლო კოდექსები განასხვავებდა ვის მიერ იყო ჩადენილი და ვის მიმართ დანაშაული და წოდებრიობის მიხედვით განწესებული იყო შესაბამისი სასჯელები.

XIV საუკუნეში შედგენილ ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, დიდებულის ან აზნაურის ცოლს თუ ასევე დიდებულის ან აზნაურთა წოდების წარმომადგენელთან ექნებოდა სასიყვარულო ურთიერთობა და ეს ყველაფერი გამჟღავნდებოდა, მამაკაცი საყვარლის ქმარს უხდიდა 12 ათას თეთრს იმ შემთხვევაში თუ ქმარი ცოლს გაშორდებოდა. თუ ქმარი ცოლს არ დაშორდებოდა და ასე ვთქვათ მრუშობას აპატიებდა, ასეთ შემთხვევაში მას 6 ათას თეთრს უხდიდნენ. ქმრისთვის თანხის გადახდა იყო მორალური ზიანის კომპენსაცია, როგორც პერსონალურად მისთვის, ასევე მთელი ოჯახისთვის. „თუ დიდებულისა, გინა აზნაურისა ცოლსა უაშიყოს დიდებულმან, გინა აზნაურმან და გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს, თუ დააგდოს მისმან ქმარმან, უზღოს მოაშიყემან თორმეტი ათასი თეთრი, და თუ არ დააგდოს — ექვსი ათასი“.[67] იყო მესამე ვარიანტიც, როდესაც ქალი საყვარელს გაყვებოდა და ქმარს მიატოვებდა. ასეთ შემთხვევაშიც, ქმრისთვის 12 ათასი თეთრი უნდა გადაეხდათ: „თუ წაგვაროს, — თორმეტი ათასი“.[68]

დიდებულისა და აზნაურის გარდა, ცალკეა გამოყოფილი მღვდლის ცოლთან გაარშიყება და აღნიშნულია, რომ თუ ხუცის ცოლს ვინმე გაუარშიყდება და მასთან სქესობრივი ცხოვრებაც ექნება, თუ ცოლს არ გაშორდება, მაშინ სრული სისხლი[69] უნდა გადაუხადოს, ხოლო თუ გასცილდება, ამ შემთხვევაში ნახევარ სისხლის ფასს იხდის. თუ ცოლს წაართმევდა, ამ შემთხვევაშიც სრული სისხლის ფასს იხდიდა მამაკაცი.[70] ბაგრატ კურაპალატის სამართლი უფრო ამძიმებს სასჯელს და მის მიხედვით, თუ ვინმე ხუცის ცოლს მოაყივნებდა მის სისხლის ფასს 60 ათასი თეთრი დაემატებოდა და იმას გადაუხდიდა მღვდელს.[71]

სამართლის წიგნში განხილულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც მხოლოდ მსუბუქი ფლირტია და ქალსა და კაცს შორის სქესობრივი კავშირი არ მყარდება. ასეთ დროს სასჯელი არავის ეკისრება, მხოლოდ უნდა დაიფიცონ, რომ მრუშობა არ მომხდარა: „და თუ არა თანა ყოფილიყოს, აშიყობისათვის ოდენ ამის მეტსა არას ემართლების, რომე თავის სამართლებლად, სჯობს, ფიცოს უქნელობა თავითა და ერთითა აზნაურიშვილითა. და გარდაჯდეს უსამართლოდ, ვერცა რას ბჭობითა შეაგდებს. და თუ აშიყობა კაცისაგან გამოჩნდეს, ემუდროდეს, არა საკვირველია“.[72]

საინტერესოა, როგორ არის განსაზღვრული საკანონმდებლო კოდექსში ქალის მდგომარეობა მის მიერ ჩადენილი მრუშობის შემდეგ. ბექა მანდატურთუხუცესი პირდაპირ წერს: ქმარმა „თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი ზითევი მაშინცა მისცეს სრულიად — თუ დიაცი ბოზი არის, ზითევიცა ბოზი იქნების“.[73] მაშასადამე, ქმართან გაშორებულ ქალს უკან უბრუნდებოდა მთელი მისი ქონება ანუ „ზითევი“, რომელიც ოჯახის შექმნის დროს მშობლების სახლიდან ერგო და ქმართან მიიტანა. მაშინ როცა კაცი თუ უმიზეზოდ მიატოვებდა ცოლს მზითვის გარდა, მას სისხლის ნახევარსაც უხდიდა (კაცის საგვარეულოს სისხლი რა რაოდენობითაც იყო შეფასებული, იმის ნახევარს) – „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი სრულიად“.[74] გამოდის მრუშობის მიზეზით და უმიზეზოდ ცოლთან გაყრას შორის განსხვავება იყო ნახევარი სისხლის ფასის დამატება, მზითევი ორივე შემთხვევაში ქალს სრულად უბრუნდებოდა.

[67] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 26; [68] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 27; [69] სისხლი შუა საუკუნეების საქართველოში იყო სასჯელის სახე, როდესაც ჩადენილი დანაშაულის საზღაურს ქონებრივად იხდიდნენ. ყველა სოციალურ ფენას შეესაბამებოდა გარკვეული რაოდენობის სისხლის ფასი. ვახტანგის სამართლის მიხედვით, მაგ. დიდი აზნაურის სისხლი 192 თუმანი ღირდა, ხოლო გლეხის – 12. ჩადენილი დანაშაულის გარემოება სისხლის ფასს ამცირებდა ან ზრდიდა;
[70] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 41; [71] ბაგრატ კურპალატის სამართალი, მუხ. 105; [72] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 27; [73] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 29; [74] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 27

მხოლოდ მცირე განსხვავებით, თითქმის, იგივე სასჯელია გათვალისწინებული 4 საუკუნის შემდეგ შედგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში: „თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა, გაუშვებს, რომე არცარა ამ სოფელს ეკითხვის, არცარა იმ სოფელსა; და თუ უნდა არ გაუშვებს, ორივ კაცის ხელთ არის. მაგრამე, თუ გაუშვა, რაც მზითები მოჰყოლია ისიცა და ბოზობით შექნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს. მაგრამ თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითევი მთლად არ მიეცემის, ამიტომ რომ შვილსაც წილი აქუს. ... რამდენიც შვილი ყუანდეს, შვილებსა და დედას თვითო-თვითო წილად მისცეს ყველას სწორედ“[75] ანუ ბექა-აღბუღას სამართლისგან განსხავებით ქალის კანონიერი შვილები თუ მამასთან რჩებიან, მისი მზითევიც ნაწილდება შვილების რაოდენობის მიხედვით და მას მხოლოდ ნაწილი ერგება. ქალს თუ საყვარელთან შვილი ეყოლებოდა, ხოლო ქმართან გაყრის შემდეგ საყვარელი შეირთავდა, შვილიც მისი იყო და სისხლის ფასს მხოლოდ ყოფილ ქმარს უხდიდა, არა ქალის მშობლებს. „და თუ არ შეირთოს, შვილი იმ კაცისა არის, სისხლი მის ქმარს მთელი მისცეს და დედაკაცსაც“.[76]

განსაკუთრებით უზნეობად მიიჩნეოდა ცოლ-შვილიანი კაცის ქმარ-შვილიან ქალთან ურთიერთობა. ამისთვის გათვალისწინებული სასჯელიც გამორჩეულად დამამცირებელი იყო, რაც სრული სისხლის გახდასთან ერთად გულისხმობდა ყელზე საბელშებმული და საცვლის ამარა დატოვებული მამაკაცის უბან-უბან ტარებას – „თუ კაცმან დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უარშიო უყოს და კიდეც მოაყივნოს, გინა ნებითა, გინა უნებურად, და გამჟღავნდეს, და გინა მეყვისმან მეყვისსა, გინა უმეყვისომან ერთსახლმან, — დაუურვოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და მთავარმა და პატრონმან მისმან ნიფხვით ოდენ, შიშველი, და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოავლოს. და თუ მას ცოლისა კუროსა ერჩიოს, გაშიშვლება და გაუპატივება იყიდოს და სისხლი ორად შეკეცოს, რასაცა გვარისა იყოს“.[77] ნიშანდობლივია, რომ შემარცხვენელი სასჯელით მხოლოდ მამაკაცი ისჯება, თუმცა ორმაგი სისხლის ფასის გადახდით მას შეუძლია აირიდოს ეს დამცირება.

ქართულ კანონმდებლობაში, მრუშობის შესახებ არსებული ყველა მუხლის მიხედვით, ძირითადი პასუხისმგებლობა მამაკაცს ეკისრება. იგი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა და აიტანოს დამამცირებელი სასჯელიც. ქალი ქმარს ეყრება, ისიც ყველა შემთხვევაში არა, თუ ქმარი აპატიებს, კვლავ რჩება ოჯახში, გაყრის შემთხვევაში კი უბრუნდება მზითევი. ზოგადად, შუა საუკუნეების სამართალი, ქალს მამაკაცთან შედარებით ნაკლებ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც მისი ნაკლებუფლებიანობის შედეგია. ბერძნული სამართლის 88-ე მუხლის მიხედვით „დედაკაცი არას დანაშაულისათვის საპყრობილეში არ შეიდგება“.

ცოლთან გაშორება შეიძლება სხვისი სიტყვის გამოც მომხდარიყოს. ბექა-აღბუღას სამართლის 50-ე მუხლში ნათქვამია, თუ „ცოლმა სხვა ქალს ან ქალის ქმარს უთხრას, რომ თავისი ქმარი მის ცოლთან ღალატობდა, ხოლო ამ ბრალდების გამო ქმარმა ცოლი მიატოვოს ბოზობის ოდენი სისხლი გადაიხადოს. თუ არ მიატოვოს და დრო გავიდეს „იმ ყბედის დიაცის წაძახილისაგან, ცოლსა ნუღარ ემიზეზების“.
ქართული სამართლის წიგნების უმეტესობის მიხედვით, ცოლის მიტოვებაც და წართმევაც სრული სისხლი ღირდა. ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით, თუ კაცმა კაცს ცოლი წაართვას სრული სისხლი უნდა დაუურვოს.[78]

საკმაოდ მკაცრი სასჯელია განწესებული ცოლის უმიზეზოდ მიტოვების გამო „სამართალი კათალიკოზთა“-ს მიხედვით. ძეგლი XVI საუკუნეში შეადგინეს, დასავლეთ საქართველოში მოწვეული საეკლესიო კრების შემდეგ. მასში კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახა, რომელსაც ხელს აწერენ კრების მონაწილე აფხაზთა კათალიკოსი და მღვდელმთავრები. მათი ხელმოწერების შემდეგ დამატებულია 23-ე მუხლი, რომელსაც გვიანდელ ჩანართად მიიჩნევენ მეცნიერები და თვლიან, რომ კრების მონაწილეთა სანქცია ამ მუხლზე არ ვრცელდება. ამ მუხლის მიხედვით, „რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩვენებულიმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს“.[79] ცოლის მიტოვებისთვის, შეჩვენებას და სიკვდილით დასჯას, ქართული სამართლის სხვა არცერთი ძეგლი არ ითვალისწინებს.

[75] ვახტანგის სამართალი, მუხ. 67, [76] ვახტანგის სამართალი, მუხ. 68, [77] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 23, [78] ბაგრატ კურპალატის სამართალი, მუხ. 135, [79] სამართალი კათალიკოზთა, მუხლ. 23

საგულისხმოა, რომ თუ კაცს თავისზე უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ქალი ჰყავდა ცოლად და მას მიატოვებდა, რა გვარისაც კაცი იყო, იმის შესაბამისი სისხლის ფასი უნდა გადაეხადა: „თუ კაცმან მისგან უსაბატიოესი ცოლი დააგდოს, რასაცა გვარისა იგი კაცი იყოს, ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებს“.[80] ფაქტია, კაცი იხდიდა არა ქალის გვარის ოდენობის სისხლის ფასს, რომლიც, ცხადია, უფრო მეტი იქნებოდა, არამედ თავისი გვარის ოდენობის. ცნობა საყურადღებოა იმითაც, რომ, ჩანს, განსხვავებული სოციალური ფენის წარმოამდგენლებს შორის ქორწინება საზოგადოებისთვის მისაღები იყო და მსგავს ფაქტებს ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი. თუმცა ამაში ყმა-გლეხთა და ფეოდალთა წოდების ადამიანები არ უნდა ვიგულისხმოთ. სავარაუდოდ, აქ საუბარია ფეოდალური ფენის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ გვარებს შორის ქორწინების შესახებ: მაგ. დიდებული და აზნაური.

სამაგიეროდ ქალის მიერ ქმრის მიტოვების შემთხვევაში ცოლი იხდიდა ქმრის გვარის შესაფერის სისხლის ფასს: „თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენაჭრტიალობითა, უსირცხნოებითა, რომლისაც გვარისა იყოს იგი კაცი, ეგეთი სისხლის დაუურვოს მან დიაცმან“.[81] იგივეს გვამცნობს ვახტანგ VI-ის სამართალიც: „პირველ დიაცი ქრმისა მიღმა დაგდებასა არას ემართლება, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს ... რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს“.[82]

საინტერესოა, ქორწინების საკითხი, როგორ იდგა დაბალ სოციალურ წოდებაში. ვახტანგის სამართლის თანახმად, თუ მოახლეს ითხოვდა გლეხი და მოახლის პატრონს ყმობას შესთავაზებდა, ხოლო ბატონიც ყმას დახარბებული დათანხმდებოდა, მაგრამ არ გამოიძიებდა ვისი ყმა იყო, მას კი პატრონი გამოუჩნდებოდა არ შეიძლებოდა პატრონს ყმა წართმეოდა, არც ცოლ-ქმრის დაშორება შეიძლებოდა. ამიტომ ყმის პატრონს ერთი გოგო მოახლის პატრონისთვის უნდა მიეცა.[83]



[80] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 30; [81] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 32; [82] ვაანგის სამართალი, მუხ. 74; [83] ვახტანგის სამართალი, მუხ. 262

ცოლ-ქმრის გაყრის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ავადმყოფობა. ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით, თუ ცოლი დასნეულდება ქმარი ცოლის გვარს არას ემართლება, რადგან მის ხელში მოსვლია ასე. თუ ცოლს გაეყრება უნდა დაიფიცოს, რომ სიძულვილის გამო არ ეყრება და ნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს. თუ ქალს შვილები დარჩება მან მზითევი აღარ უნდა მოითხოვოს.[84]

ცოლის ავადმყოფობას ეხება ვახტანგ VI-ის სამართლის მუხლებიც. ქალს თუ ფსიქიკური პრობლემები და ეპილეფსია აქვს — არის გიჟი და ბნედიანი, ეს ყველაფერი ქორწინებამდე ჰქონდა და ქმარს შეატყუეს, მაშინ ქმარს უფლება აქვს გაუშვას და სამკვიდრო უნდა მისცეს, ხოლო მამამ და გამთხოვებელმა საკანონო უნდა გადაიხადონ „ამისთვის რომ ქმრის თავი არა ქონდა რატომ გაათხოვეს?“[85] ხოლო თუ ქალი ქმრის ხელში დასნეულდება ქმარს მასთან გაყრის უფლება არ აქვს **„უნდა მოუაროს, გაშვება არ იქნება“.**[86] მაშასადამე, ბაგრატ კურაპალატის სამართლისგან განსხვავებით, ვახტანგ VI-ის სამართალი ქმარს მოუწოდებს, რომ ავადმყოფ ცოლს მოუაროს, უპატრონოს და ამ მიზეზით, არ დაშორდეს.

მართალია, ავადმყოფობის აგრესიულ ფორმას არ ეხება, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემებთან არის დაკავშირებული ცოლისა თუ ქმრის უშვილობა. ამასთან დაკავშირებით, ვახტანგ VI-ის სამართლში ცალკე მუხლებია გამოყოფილი. კაცი უშვილობის გამო ცოლს არ უნდა გაეყროს და თუ გაეყრება მთელი სისხლის ფასი უნდა გადაუხადოს.[87] არც კაცს ეყრება ცოლი უშვილობის გამო, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კაცს შეუძლია ქალთან სქესობრივი ურთიერთობა. ქალს ქმართან გაშორების სრული უფლება აქვს ერექციული დისფუნქციის დროს: „თუ სულ ასრე მცვედანი არის, რომე ქალთან წოლა არ შეუძლია, უნდა კაცმან ცოლს დასტური მისცე სხვის ქმრის შერთვისა“,[88] თუმცა თუ მამაკაცს წინა ქორწინების დროს მსგავსი პრობლემა არ ჰქონდა და „მერმე ქორწილზედ დამცვედნებულა არ გაიყრებიან“.



[84] ბაგრატ კურაპალატის სამართალი, მუხ. 140; [85] ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 225; [86] ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 225); [87] ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 168; [88] ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 168,

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, 1765 წელს, ერეკლე მეფემ, თავისი და — ელისაბედი ქმარს გააშორა „ბუნებით საჭურისობისა“ გამო. ელისაბედი ცოლი იყო სახლთუხუცეს დიმიტრი ამილახვარის ვაჟის — გიორგისა. დიმიტრი ვაჟთან ერთად (ალექსანდრე ამილახვარი) მონაწილეობდა 1765 წელს ერეკლე მეფის წინააღმდეგ მოწყობილ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში. ცხადია, მთელი ოჯახი მეფესთან დაპირისპირებული იყო და ერეკლემ ამ მიზეზით შეწყვიტა მათთან ურთიერთობა. თავისი ძმის შესახებ ალექსანდრე ამილახვარიც მსჯელობს საკუთარ ნაშრომში „გეორგიანული ისტორია“, იგი მოგვითხრობს: „ჩემი ძმა სასახლეში აღარ შეუშვა ცოლთან ღამის გასათევად. მამაჩემს კი შეუთვალა, აღარ მსურს შენთან დამოყვრებაო. ვითომდა მის თექვსმეტი წლის დას შეეჩივლა ქმრის მამაკაცური უძლურობის გამოო. ჩემი ძმა კი მაშინ მხოლოდ 17 წლისა იყო. თავისივე დის პატივის შეურაცხმყოფელი წერილი მან მისწერა აგრეთვე საქართველოს პატრიარქს, რათა მას ნება დაერთო მისი განქორწინებისა და სხვა ქმარზე გათხოვებისათვის... პატრიარქმა ირაკლის თხოვ-ნას ხელი მოაწერა განუსჯელად, ჩემი ძმის მამაკაცური უძლურება დაადასტურა ცოლის განცხადების მიხედვით და მათი განქორწინების ნება დართო. აქაო, და ეს მოკლებული იყო ღვთის მადლს, რადგანაც ქალ-ვაჟნი მცირეწლოვანნი იყვნეს როცა ჯვარი დაიწერესო: ამიტომ ღვთის მიერ მონიჭებული ძალაუფლებით ვარღვევ მათ ცოლქმრობასო“. ალექსანდრე ამილახვრის თხზულებაში, აშკარად ჩანს, რომ პატრიარქის ნებართვა განქორწინების შესახებ წარდგენილი ბრალდების განუსჯელად მოხდა. საინტერესოა, რა ფორმით ხდებოდა მსგავსი ბრალდების გამოძიება. ნეკრესელი ეპისკოპოსის მიერ განჩენილ განშორების წიგნში ვინმე გაბრიელ მიქელაშვილი ამავე მიზეზით ეყრება თავის ცოლს — თინათინს: „ქ. ესე მთელი და ჭეშმარიტი წიგნი, მივეც ჩემს ცოლსა და მეუღლესა ბატონო უფალო ნეკრესელო. ასე რომ, მე ამასთან, ჩემი გულისთქმა ვერ შევასრულე და ვეღარცა რა ჩემს თავს დავატყვ ნება. და თავისუფლობა მიმიცია. ღმერთმან თავის გზაზედ უშველოს და სადაც ნება მაგისია იქ ქმარი შეირთოს. და მეც გევედრებით ნება უბძნოთ და წიგნიც დაუმტკიცოთ ქრმის შერთვისა“.[89] საბუთს თავში მიწერილი აქვს ნეკრესელი ეპისკოპოსის განაჩენი: „ქ. ჩვენ ნეკრესელი ასე ვწერ: დღეს, მესამე წელიწადია ეს ცოლ-ქმარნი ასე უქმად და დაუწოლელად არიან. ამათი საქმე დიდად გამოვიძიე და კიდეც შემოვაცდევინე, და ყარაულებიც დაუყენე და აქიმებიც დაიყენა, და იმედი გადაიწყვიტა, მაგრამ მე კიდევე მეძნელებოდა ამათი

[89] Ad 845, 1802 წ.

გაშორება, უფალმა უწყის, ახლა ასე გადაუწყვეტია, თავის ნებით დამოწმებით, და ჩვენც ნება მიგვიცია და შენდობა. რომელიც მღვდელი ბძანდებოდე, ამ წიგნში დაწერილს თინათნის ჯვარი დასწერეთ. შენდობა მიგვიცია“. საბუთის აშიას განივად აწერია გაბრიელის პირობა: „ქ. იოსებ დეკანოზო, ადამ მღვდელო, თქვენისა მოწმობითა, მე, მიქელაშვილმა გაბრიელმა ცოლი აღარ შევირთო და უქმათ ვიყო“.[90] მოყვანილი საბუთიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ პირველ რიგში თავად მამაკაცს უნდა ეღიარებინა ერექციული დისფუნქციის პრობლემა, თუმცა ესეც არ იყო საკმარისი. მისი მდგომაროება ექიმებს უნდა გადაემოწმებინათ და ყარაულებს შეემოწმებინათ. საბოლოოდ როცა დარწმუნებულან, ამის შემდეგ მიუციათ გაყრის ნება. გაბრიელი, არა მხოლოდ ხელმეორედ გათხოვების ნებას აძლევდა თინათინს, არამედ პირობასაც დებდა, რომ აღარასოდეს დაქორწინდებოდა.

ცოლ-ქმრის გაყრა, მხოლოდ დადგენილი საკანონმდებლო ნორმებით არ ხდებოდა. ცხადია, მრავალი მიზეზი იქნებოდა ოჯახში, რაც განქორწინებამდე მიიყვანდა წყვილს. ისტორიული საბუთების გაცნობით, ჩვენს თვალწინ იშლება ოჯახური დრამები. საინტერესო ამბავს გვიყვება XV საუკუნის გამრეკელ ჯავახიშვილის საჩივრის წიგნი:[91] პირველ ცოლთან შვიდი შვილი მყავდა, ოთხი ვაჟი და სამი ქალი. მეუღლე გარდამეცვალა. გულსურაბი უშვილო იყო და შევირთე. ვიფიქრე, ჩემი შვილები საკუთარივით შეუყვარდებიან. შვილიანი დედაკაცი რომ შემერთო წინ თავის შვილებს დააყენებდა და ჩემს შვილებს ვერ შეეწყობოდა. ოთხი წლის მანძილზე კარგად მექცეოდა, როგორც ცოლ-ქმრობის წესია. ოთხი წლის შემდეგ შემიძულა მეც, ჩემი დედ-მამაც და შვილებიც. ერთხელაც, ციხეს ვმუშაობდი და ნამუშავები სადგომში ჩავედი. მარხვა დღე იყო და ცოტაოდენი შემწვარი კალმახი მომართვეს. დავსხედით საჭმელად. ორი კალმახი გულსურაბს მივართვი და ორიც ჩემს შვილებს. გულსურაბი ამაზე გაწყრა, როგორ მაკადრე ორი კალმახის მოწვდაო, შუა ჭამისას წამოდგა და სახლიდან წავიდა. ტყეში ქოხი ააგო და ოცი დღე იქ იყო. დედაჩემი მივიდა და შეეხვეწა ჩემს შვილს და შენ თავსაც ასე ნუ მოექცევიო. არც მას დაუჯერა. შემდეგ მე მივედი და ჩემი შვილებიც. კიდევ შევეხვეწეთ. არც ჩვენ დაგვიჯერა. ოცი დღის შემდეგ მოვიყვანეთ. ეს იყო პირველი გაყრა. მას რომ ჩემი თავი ნდომოდა ასე პატარა მიზეზის გამო ასე არ მომექცეოდა. „...ასრე იყო ჩუენი და ჩუენისა გულსურაბის საქმე: პირველსა ცოლთანა შუიდნი შვილნი მედგეს, ოთხნი ვაჟნი და სამნი ქალნი. და მათ

[90] Ad 845, 1802 წ; [91] გთავაზობთ ტექსტის ადაპტირებულ ვერსიას.

სიკუდილობა გამოევლო და გულსურაბ უშვილო იყო და მისთვის შევირთე. ასრე ვთქუი, ვითა: ჩემნი შვილნი ასრე უყუარდებიან, ვითამც მისნი შვილნი არიან და, თუ შვილთა მშობელსა დედაკაცსა შევირთავ, ჩემნი პირველნი შვილნი და უკანანი ვეღარა შეეწყობიან“. და მისთვის შევირთე გულსურაბ. ოთხს წელიწადსა დია კარგად მამეპყრა, როგორაც ცოლქმრობისა წესი არის. მას უკანით მომიძულვა მე და დედა-მამანი და ჩემნი შვილნი და აღარა მაამა-რა. ციხეს ვმუშაობდი და ნამუშავები სადგომს ჩამოვე. მარხუა დღე იყო და ცოტაოდენი შემწუარი კალმახა მომივიდა. დავსხედით ჭამად და ორი კალმახა გულსურაბს მივართვი და ორი კალმახა ჩემთა შვილთ. გულსურაბ ამაზედა ესე თქუა, ვითა: ესე ორი კალმახა ვის ეკადრებისო? ადგა ჭამიდაღმა გამომწყრალი და დამაგდო. ტყეშიგან ქოხნი აიგნა და ოცსა დღესა მუნ იყო. მივიდა დედაჩემი და შეეხუეწა, ვითა: „ნუც ჩემსა შვილსა უზამ და ნუცა შენსა თავსა“. არც მას დაუჯერა. მივე მე და ჩემნი შვილნი და კიდევე შევეხუეწენით. და არც-რა ჩუენ დაგუიჯერა. მალე მეოცესა დღესა მივიყვანეთ. პირველი დაგდება ესე. თუმც ჩემი თავი ნდომოდა, ასრე ცოტას მიზეზისათუის ამას არ მიზამდა, მაგრა არა უნდოდი.[92] საბუთში მითითებული პირველი გაყრის დაკონკრეტება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მათ შორის რამდენჯერმე მომხდარა გაყრა და შერიგება. გულსურაბი საკმაოდ თამამად და უხეშად ექცევა ქმარსა და მის ოჯახს, თუმცა შერიგების მოსურნე კვლავ გამრეკელის მხარე გამოდის. მართალია, გამრეკელ ჯავახიშვილი ქვრივი იყო და გულსურაბთან მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა, მაგრამ გულსურაბიც ასეთსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რადგან საბუთის თანახმად იგი უშვილო იყო, რაც მიგვანიშნებს, რომ მას პირველი ქორწინებიდან შვილები არ ჰყავდა. მისი საცოლედ შერჩევაც, სწორედ ამ ნიშნით მომხდარა, თუმცა გამრეკელს ვარაუდი არ გაუმართლდა. მათი გაყრის მთავარი მიზეზი კი, როგორც საბუთშია აღნიშნული ცოლის მხრიდან სიძულვილი იყო. საუკუნეები გადიოდა. სიძულვილი კი კვლავ რჩებოდა ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზი.

1740 წელს კათალიკოს-პატრიარქ დომენტი IV-ს თხოვნით მიმართეს იორამ მოურავიშვილმა და ამილღაბარ გოს-

[92] Hd-1801, დაახლ. 1453-1463 წწ.

ტაშაბიშვილის ასულმა. მათ გაყრაზე დასტური ითხოვეს. საბუთის თანახმად, როგორც მიღებული იყო, მათი დაქორწინება მშობლებს გადაუწყვეტიათ. იორამის მამა ლუარსაბი და ამილღაბარ გოსტაშაბიშვილი დამძახლებაზე შეთანხმებულან და კიდეც აღუსრულებიათ გულისწადილი. „თუცა ხანი დაეყოთ ქორწილს უკან, განა შფოთითა და სიძულილითა“. დომენტი კათალიკოსმა გადაწყვეტილების მისაღებად უმაღლესი საეკლესიო პირები და სახელმწიფო მოხელეები შეკრიბა: მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსნი, წინამძღვარნი, სამღვდელო დასნი, სარდალ-მდივანბეგი, მისკარბაში, დარბაისელნი — „გავსინჯეთ ამათი სიტყვა და საჩივარი, დიდი გამოწულილვით გამოვიკულიეთ და შევიტყეთ, რომ რა ჯვარი დაეწერათ და შეერთებულიყვნენ, მაშინვე სიძულვილი და უყვარულობა სთვისებოდათ, და არც მას აქეთ ამათში ერთობა და საცოლქმროთ შეყრა ჰქონებიათ. ცხრა წელიწადი გავიდა ამათს ქორწილს უკან. მრავალს ცდილიყვნენ ამათნი დედ-მამანი ამათის შეერთებისათვის, მაგრამ არას სიტკბოებით და არას სიმწარით ამათ ერთობა აღარ ექნათ“. კრებას დეტალურად გამოუძიებია და უმსჯელია მათ საქმეზე და ბოლოს დაუდგენიათ: „ვხედავდით, რომელ სიძულილსა შინა მტრობა და კაცის კვლა მოხდებოდა და ესე ბოროტი უფროსად გავრცელდებოდა, ამისთვის ჩვენცა ჩვენთან შეკრებულთ ამათ პატიოსანთა სამღვდელოთა დასთათა და თანამოწამებითა საქართველოს მთავართათა შენ-დობა მივეცით, რომელ თუცა ვაჟსა ენებოს ვისიცა ქალი, ცოლად შეირთოს, და აგრევე ქალმან, ვინცა უნდეს, ქმრად შეირთოს“.[93] ნიშანდობლივია, რომ კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით თანაბარი უფლებები მიე-ნიჭათ ქალსაც და მამაკაცსაც – ორივეს ერთნაირად ჰქონდათ განქორწინების შემდეგ ხელახლა დაქორწინების საშუალება, ამასთან ხაზგასმით არის მითითებული, რომ არჩევანი მათი პირადი ნებით უნდა მომხდარიყო.

ისტორიული საბუთები ზედმიწევნით ზუსტად აჩვენებენ რამდენად ხორციელდებოდა სამართლებრივ კოდექსებში აღნუსხული ნორმები ცხოვრებაში, რა შემთხვევაში უშვე-ბდნენ გამონაკლისს, როგორი იყო საზოგადოება და რა დამოკიდებულებები გააჩნდათ ქალის მიმართ.

[93] Hd-2445

ქვრივი ქალის უფლებები

შუა საუკუნეების საქართველოში დაქვრივებული ქალის უფლებების დადგენას საგანგებოდ ეხებიან ქართველი კანონმდებლები და მათ მიერ მიღებული ნორმები ქართული სამართლის წიგნების შესაბამის თავებშია ასახული. ქვრივი ქალის უფლებების დასაცავად, გაცემულია საერო და საეკლესიო იერარქთა რამდენიმე საბუთი. ქვრივის უფლებებს განსაზღვრავდა მისი მდგომარეობა: ქმრის ოჯახში რჩებოდა, მეორედ თხოვდებოდა თუ მშობლების სახლში ბრუნდებოდა, შვილიანი იყო თუ უშვილო. სამართლის ძეგლებში ასახული ქვრივის უფლებები, ძირითადად, მის ქონებრივ მდგომარეობას ეხებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ქვრივ ქალს უფლება ჰქონდა ხელახლა გათხოვილიყო. ამის შესახებ საუბარია, როგორც სამართლის კრებულებში, ასევე იურიდიული ძალის მქონე სამართლის აქტებშიც. ვახტანგის სამართლის წიგნში შესული ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის თანახმად ვადებიც იყო დადგენილი, დაქვრივებიდან რამდენ ხანში შეეძლო ქალს გათხოვება: „დედაკაცსა ყოველსა, რომელსა მოუკდეს ქმარი, ერთს წელიწადს უნდა იგლოოს ქმარი თვისი და ქმარი არ შეირთოს, ვიდრემდის წელიწადი არ გათავდეს“.[94] მაშასადამე, ქალს მხოლოდ ერთი წელი ევალებოდა ქმრის გლოვა, წელიწადის გასვლის შემდეგ კი უკვე შეეძლო გათხოვება. ქმარი, სხვადასხვა მიზეზის გამო, თუ შორს იყო ოჯახისგან და მის გარდაცვალებას ერთი წლის გასვლის შემდეგ გაიგებდა ცოლი, მხოლოდ ცოტა ხნით უნდა ეგლოვა: „უკეთუ ქმარი დედაკაცისა შორს იყოს და იქ მოკუდეს, და შუაზე წელიწადმა გაიაროს და ქრმის სიკუდილი წილიწადს უკან შეიტყოს, დედაკაცმა იმ დღეს თავისი ქმარი უნდა იტიროს და სამგლოვიარო უნდა ჩაიცვას ცოტას ხანსა, და მას უკან ქმარი შეირთოს. და ესრეთვე ქმარმან ყოს ცოლზედა“.[95] მაგ. ცნობილია, რომ მეფე თეიმურაზ I,

[94] ბერძნული სამართალი, მუხ.96; [95] ბერძნული სამართალი, მუხ. 97

როდესაც გარდაეცვალა პირველი მეუღლე, ორმოცი დღე ბნელში იჯდა, მთელი წელი ეცვა შავები და მარხულობდა (ხორცს არ ჭამდა). გლოვიდან გამოსვლის მიზნით იგი იხმო შაჰ აბასმა შავის გახდა და ხორცის ჭამა უბრძანა: „ახდა მიბრძანა შავისა, ხორციცა მან დამპატიჟა“. შემდეგ კი შაჰმა თეიმურაზს უბრძანა ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის დის შერთვა. ასევე გულითადად იგლოვა ცოლი ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა, რომელიც ასევე ორმოცი დღე იჯდა ბნელში და მკაცრად მარხულობდა.

შუა საუკუნეების საქართველოში ოჯახის შესაქმნელად აუცილებელი პირობა იყო ეკლესიისგან გვირგვინის კურთხევა. ჯვარდაწერილი წყვილი უკვე ცოლ-ქმრად ითვლებოდა. ამიტომ თუ ქალ-ვაჟი თანაცხოვრებას ვერ მოასწრებდა და ქმარი გარდაიცვლებოდა ქალი, ჩვეულებრივ ქვრივად ითვლებოდა და მასზეც ვრცელდებოდა ქვრივის შესახებ დადგენილი წესები: „დედაკაცმა ქორწილი ქნას და ქმარსა მისსა ჯერ ქალწულება მისი არ განეხრწნას, და მისი ქმარი მოკუდეს, ერთს წელიწადს უნდა იგლოოს ქმარი მისი და მას უკან შეირთოს ქმარი სჯულიერი“.[96]

ქვრივი ქალის მეორედ ქორწინების წესი თანაბრად ვრცელდებოდა, როგორც არისტოკრატ ქალბატონებზე, ასევე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებზე. გლეხის ცოლის დაქვრივების შემთხვევაში მებატონეს არ ჰქონდა უფლება ძალით გაეთხოვებინა ქვრივი: „ვინც ქურივს უნდოდეს ის შეირთოს; და თუ არ უნდოდეს, თავის ობლებთან იყოს. და თუ **ნებით შეირთოს ვინმე, თავის მონდომებული,** იმ ქურივის წამყვანმა ავს ქურივსა და კარგს ქურივსზედ, ჯარი და მარჩილი მისცეს. მეტს ნურც ის მებატონე და ნურც მოურავი ნუღარასა სთხოვს“.[97] საგულისხმოა, რომ ქალის ნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქორწინებისას. ეს მისი სურვილით უნდა მომხდარიყო, რასაც კანონი იცავდა. რაც შეეხება საქვრივო გადასახადს, მას ახალი სასიძო უხდიდა ქვრივის ბატონს.[98] ბატონის გარდა, საქვრივო გადასახადის ნაწილი ერგებოდათ: მოურავს, მამასახლისსა და ნაცვალს.

[96] ბერძნული სამართალი, მუხ. 98; [97] ვახტანგის სამართალი, მუხ. 203; [98] ზოგადად, ქალის პირველად გათხოვების დროსაც იხდიდა სასიძო გადასახადს. ეს ეხებოდა, მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის წევრებს. 65. „არის ადგილობითი ჩვეულება, რომ ოდესაც გათხოვდება პირველად ქალი, მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე. ვისიც გლეხის ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყვანს გამოართმევდნენ ექვს აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალთუნს. და ეს ჩვეულება არის თავად აზნაურთ მათა ზედა, და თუ სახელმწიფო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ“. საქარათველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველთ მეფეთა დროთა შემოღებული ჯულნი, მუხ. 65) ჩვეულებითი სჯული ქართული ადათობრივი სამართლის კრებულია და არა საკანონმდებლო ძეგლი. ეს იყო, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოში მოქმედი დაუწერელი სამართალი.

საქვრივო გადასახადის ნატურალური ფორმა, XIX საუკუნეში ფულადით შეიცვალა. „არის ჩვეულება, უკეთუ თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდებოდა და ითხოვდა ვინმე, იმ ქვრივს ვინც წაიყვანს, საქვრივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ ქვრივის, ხუთის მინალთუნიდამ ვიდრე ხუთის თუმნამდე“.[99] თავადი გიორგი თურქესტანიშვილი გიორგი ჩინჩალაძისთვის მიცემულ საბუთში აღნიშნავს, რომ მას მიათხოვა თავისი ბიძაშვილის ნაცოლარი ქვრივი და შესაბამისი საქვრივოც აიღო, რომლის რაოდენობაც არ არის მითითებული „საქვრივოც გამოგართვი, რაც ჩემი გული შეგჯერდებოდა და შენთან არას კაცს ხელი არა ჰქონდეს“. [100]

გათხოვილ ქვრივს შეეძლო მეორე ქმრის ოჯახში წაეყვანა თავის ობოლად დარჩენილი ვაჟი. შვილი მას უნდა გაეზარდა და შემდეგ ბატონისთვის მიეგვარა (მისი გარდაცვლილი ქმრის ბატონისთვის), ვინაიდან შვილიც მამის მსგავსად კონკრეტული ბატონის ყმა იყო. ქალიშვილი თუ დარჩებოდა, ქვრივის სურვილზე იყო დამოკიდებული, ან თავად გაზრდიდა და დაასახლებდა, ან მისი ბიძები და მოყვრები გაზრდიდნენ და გაათხოვებდნენ, მაგრამ ბატონს მისი მოახლედ დაყენების უფლება არ ჰქონდა.[101] ბატონს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მოახლედ დაყენება, თუ სრულიად ობლები დარჩებოდნენ, მათ ბატონი გაზრდიდა და ამის შემდეგ სურვილისამებრ ან გაათხოვებდა ან მოახლედ დაიყენებდა „თუ დაათხოებს ხომ კარგი იქნება, თუ არადა მუახლედ ჰყუანდეს“.[102]

გათხოვილ ქალს ოჯახში შექონდა პირადი ქონება – მზითევი, რომელიც ხელშეუხებელი იყო ქმრისგან და მისი ოჯახის წევრებისგანაც. მზითევი, შეიძლებოდა, მხოლოდ ქალის შვილებს მოეხმარათ. ამიტომ დაქვრივების შემთხვევაში ქალს შვილი თუ არ დარჩებოდა, მზითევი სრულად უბრუნდებოდა უკან.[103]

ქალი თუ შვილიანი იქნებოდა მისი ქონებიდან აბჯარი ვაჟიშვილებს ეძლეოდათ, ხოლო საქონელი — დიაცს.[104] საომარი აღჭურვილობა ფრიად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ქონება იყო. ის მემკვიდრეობით, აუცილებლად, ვაჟიშვილს გადაეცემოდა. XIX საუკუნეში შედგენილ ჩვეულებით სჯულში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოქმედ დაუწერელ კანონს წარმოადგენდა, აღნიშნულია, რომ ქვრივი ქალი, რომელიც მცირეწლოვან შვილებს დატოვებდა და გათხოვდებოდა მზითევი უკან უბრუნდებოდა, მაგრამ სამარხი არ მიეცემოდა. თუ საკმარისი მზითევი არ ჰქონდა სამკვიდროსაც აძლევდნენ[105] „და თუ მეორეს ქმართან, რომელსაც შეირთავდა, შვილი არ ეყოლებოდა და უშვილოდ გარდაიცვლებოდა, მაშინ იმის სამარხად, დახარჯულს გარდა, მზითევი პირველს ქმართან ნაყოლს შვილს დარჩებოდა. და თუ შვილი არ ეყოლებოდა და გათხოებას მოინდომებდა ანუ იმ ოჯახიდამ გასვლას, მაშინ მზითევს გარდა შეძლებისამებრ სამარხიც მიეცემოდა. და უკეთუ არც ერთ ქმართან შვილნი არ დარჩებოდა, ქალის მამა და ძმები გაიტანდნენ თავიანთგან მიცემულ მზითევს, რაც დაკარგული ან გაცვეთილი და თავისაგან დახარჯული არ იქნებოდა“.[106]

ქვრივად დარჩენილ ქალს მამულები არ უნდა გაეყიდა და თუ მონასტერს შეწირავდა, ამ შემთხვევაში შვილები არ უნდა შედავებოდნენ.[107] იგივეს იმეორებს კანონიკური სამართალიც „თუ დედაკაცს ქმარი მოუკუდეს და საქონელი მან ქურივმან მონასტერს შესწიროს, შვილნი ნუ ეცილებიან“.[108]

[99] საქარათველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველთ მეფეთა დროთა შემოღებული შჯულნი, მუხ. 65
[100] Hd-1227, 1737-1757 წწ.; [101] ვახტანგის სამართალი, მუხ. 203; [102] ვახტანგის სამართალი, მუხ. 203; [103] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 84;
[104] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 81; [105] საქარათველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველთ მეფეთა დროთა შემოღებული შჯულნი“, მუხ. 53; [106] საქარათველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველთ მეფეთა დროთა შემოღებული შჯულნი“, მუხ. 53; [107] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხ. 81;
[108] კანონიკური სამართალი, მუხ. 175;

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქმრის ქონებას ქვრივი ქალი განკარგავდა. მის მფლობელობაში გადადიოდა ყმა-მამული. აზნაურ რჩეულიშვილის ქვრივი ერეკლე მეფესთან ჩიოდა, რომ მაჩაბლების გვარი იყრებოდა და მის ყმებსაც ინაწილებდნენ. აზნაური რჩეულიშვილი თავის მხრივ თავად მაჩაბელს ექვემდებარებოდა, ამიტომ ქვრივის ყმები მაჩაბლების კუთვნილებაც იყო, რის გამოც მაჩაბელთა ოჯახის გაყრისას, ძმები საერთო ქონებას ინაწილებდნენ. ერეკლე მეფემ საქმის გარკვევა მსაჯულებს დაავალა და მითითებაც მისცათ: „გამოიძეთ, რომ ერთი საცოდაობა არა მოხდეს რა. ეს რადგან აზნაურშვილი არის, ამას თავისი ყმა და მამული არ წაერთმევა. რაც თავისი ყმა და ან მამული სჭეროდეს, ისევ ამასვე უნდა მოსცენ... და ვისაც ეს ერგება, თავისის ყმითა და მამულით უნდა ირგონ“.[109]

ქვრივად დარჩენილი ქალი მეფის ან სამეფო ოჯახის წევრისგან ითხოვდა, რომ თავისი ქმრის კუთვნილი ქონება ოფიციალურად დაემტკიცებინათ. ადამ ყარაგოზიშვილის ქვრივი ვახტანგ ბატონიშვილს მიმართავდა თხოვნით: „ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს და ვევედრებით: ერთი ოქმის წყალობა გვიყოთ ჩვენს ყმაზე, სახელოსა და ხიზანზე, რომ, რაგვარათაც აქამდის გვემსახურებოდენ თქვენის ბრძანებით, ისევ იმ გვარათ ემსახურნენ იმის პატარა ობლებს, რომ თქვენის წყალობით ესენი დავზარდოთ ის კი დავმარხოთ, თქვენს უბრძანებლივ არავინ შეგვაწუხოს და არცავინ ყმა შეგვიწუხოს“,[110] ამასთან, ქმრის დამარხვასთან დაკავშირებული ხარჯების გამო, ერთი წლით ითხოვდა გადასახადებისაგან გათავისუფლებას, რაც დაუკმაყოფილეს.

იგივე წესები მოქმედებდა დაბალი სოციალური ფენების წარმოამდგენლებსა და საეკლესიო ყმებში. ლოპიაშვილის ქვრივი კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს წერდა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ მის მამულსა და სახლ-კარს თარხნიშვილები და სხვები დაპატრონებიან. იგი მწყემსთავრისგან ქონების დაბრუნებას ითხოვდა, რასაც მიაღწია კიდეც. ანტონ კათალიკოსის ოქმით, სახლთუხუცესს უნდა მოეგვარებინა ეს საქმე „ვისაც ამისი მამული ქონდეს, უნდა გამოურთო და ამას მოაბარო ... სახლის ადგილიც დაანებებინე, რომ ააშენოს“.[111]

[109] Hd-2762, 1782 7 ივნისი; [110] Hd-3019, 1786 წლის 6 სექტემბერი; [111] Hd-3152, 1790 წლის 18 აპრილი

მეფე ერეკლე II-ის განჩინებით, ქიზიყში, ქმრის ქონებიდან ქვრივს ერთი წილი რჩებოდა „თუ ქვრივი დარჩეს, ორი წილი მკვდარს, ერთი წილი ქვრივისაა და ერთი წილი ბატონის“.[112] ქვრივ ქალს შეეძლო მეორედ გათხოვებისას ახალი ქმარი გარდაცვლილი ქმრის მამულზე მიეყვანა, ასეთ შემთხვევაში მას რჩებოდა პირველი ქმრის მამული და საქონელი: „ქვრივმა თუ იმ მამულზედ ქმარი შეირთოს, არც მამული გამოერთვას და არც საბატონოდ საქონლის მეოთხედი. თუ ქალი დარჩეს, მამულიც იმისია და საქონელიც თუ სხვაგან არ გათხოვდა, და თუ სხვაგან გათხოვდა საქონელი იმისია და მამული ბატონისა არის“.[113] ქვრივი ქალის ამხელა უფლებები გარდაცვლილი მეუღლის მამულზე განპირობებული იყო სამეფო ხელისუფლების ინტერესით, რომ მამული არ გაპარტახებულიყო, მოშენებულიყო, შემოსავლიანი ყოფილიყო.

ქვრივ-ობოლთა უფლებების დაცვას ეხება ალავერდელი ეპისკოპოსის ნიკოლოზის საგანგებო დოკუმენტი, რომელიც 1749 წელს არის შედგენილი. ნიკოლოზ ალავერდელის განწესება მიემართება ალავერდის ეპარქიის საყმოს.[114] იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში მიღებული წესისა და რიგის თანახმად ქვრივს რჩებოდა ქმრის საქონელი და ვენახის მიწა. მას განწესება შეუდგენია იმის გამო, რომ მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში ქვრივს თუ მხოლოდ ქალიშვილები დარჩებოდა, ბატონის მოხელეები მას ართმევდნენ: საქონელს, ვენახს, აგარაკს და ყველაფერს რაც მეუღლისაგან რჩებოდათ, მათ კი ტოვებდნენ „მშიერთა, შიშველთა და უმოწყალოთა“, ამიტომ ნიკოლოზ ალავერდელს თავის ეპარქიაში განუჩენია შემდეგი წესები: ვინც ალავერდის საყმოში კაცი მოკვდეს და ქვრივი დარჩეს, მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდეს, მაგრამ იმ მამულზე დგომა უნდოდეს, ვინც იმას ვენახი, აგარაკი, მიწა და საქონელი წაართვას, შეჩვენებულ იყოს.

თუ იმ ქვრივს გათხოვება არ უნდოდეს, თავისი ქმრის მამული მოუშლელად ჰქონდეს. რაც გამოსაღები ედოს იმ მამულს ყველაფერი ძველებურად უნდა გადაიხადოს.
თუ ქვრივს გათხოვება უნდოდეს, შეუძლია ამ მამულზე

[112]Hd 309, 1744-1762 წწ.; [113] Hd 309; [114] Ad 325

დარჩეს და ახალი ქმარიც იქ დაასახლოს. ახალი ქმარი სხვისი ყმა იქნება თუ ალავერდელის უმამულო ყმა, მამულიანი კი არ უნდა იყოს. გამოსაღები უნდა გადაიხადოს და ჰქონდეს თავისი მამული.

ქვრივს თუ სხვა ადგილას უნდოდეს გათხოვება, რაც ქმრისგან საქონელი დარჩება, მზითევი და სათავნო, შეუძლია თან წაიღოს.

ალავერდის ეპარქიაში, კაცი თუ მოკვდება და დედაკაციც, მათ ერთი ან ორი ქალიშვილი დარჩებათ მამულს ნუ მოუშლიან, მამის და დედის საქონელი არ გამოართვან. იმ მამულმა და საქონელმა გაზარდოს, შეინახოს და დააქორწინოს. გადასახადი, რაც ობოლსა და ქვრივს შეფეროდეს, ის გამოართვან, როცა ქმრის შერთვის დრო მოუვა, „თუ ინებოს ქმარი შეირთოს და თავისავ მამულზე იყოს მოუშლელად და თუ ინებოს სხვაგან იქორწინოს თავისავ მამულიდამ და საქონლიდამ დაქორწილდეს და მზითევი გაყვეს როგორც რომ შეეძლოს ამ მამულს“. მამულის გაყიდვა ან დაგირავების უფლება არ აქვთ, რადგან საყდრის კუთვნილებაა.

ეს წესი გლეხისთვის და აზნაურისთვისაც საერთო იყო – „ამ წესით იყოს გლეხი მოხდეს თუ აზნაური“.[115]

გათხოვილ ქვრივს, პირველი ქმრის ოჯახი სამარხს აძლევდა და თუ არ გათხოვდებოდა, სარჩოსაც მისცემდენ და სამარხსაც.[116] ქვრივ ქალს თუ შვილი მოუკვდებოდა, მას შეეძლო კვლავ ქმრის ოჯახში დარჩენილიყო და იგივე პატივი ექნებოდა, მაგრამ თუ მშობლებთან დაბრუნდებოდა ან მონაზვნად წავიდოდა, ქმრის ოჯახიდან საკაცო ნივთს ვერ წაიღებდა, ქმრის კუთვნილი ქონების მესამედი კი მისი იყო, მამულის გარდა.[117] გიორგი XII-სადმი წარდგენილ არზაში კალატოზიშვილი კავკასიძე ჩივის, რომ თავისი სახლიკაცის ქვრივმა მამული დაისაკუთრა „ჩემი სახ-ლისკაცი ამოსწყდა, ქვრივი დარჩა და ვინახამდი...თუ სარჩო უნდა, ვარჩენ; სამარხი უნდა, მივცემ; მამულის შეჭმა უნდა, სანამ ცოცხალია სჭამოს. მამულთან რა საქმე

[115] Ad 325; [116] „საქარათველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველთ მეფეთა დროთა შემოღებული შჯულნი“, 1810-1815 წწ.;
[117] ვახტანგის სამართალი. მუხ. 231;

აქვს. მამული ჩემია და მე თქვენი მონა გახლავარ“.[118] მეფე გიორგის გადაწყვეტილებით „ამის სძალი თუ ამასთან დადგება, თავის შეძლებით შეინახამს და არას გაუჭირვებს. და უნდოდეს და თავისი შეძლებით სამკვიდრო და სარჩო გამოართვას და იცხოვროს, სანამ ცოცხალი იყოს და მამულთან კი საქმე არა აქვს რა“.[119]

ქვრივი თუ უშვილოდ გარდაიცვლებოდა, მისი ქონებიდან, რაც საკაცოა ოჯახში რჩებოდა, მონაგები რაც იყო სულისთვის ზრუნვას ხმარდებოდა, ხოლო მზითევის ქონება, ნაწილი სულისთვის დაიხარჯებოდა, დანარჩენი კი ქალის მშობლების ოჯახს უბრუნდებოდა.[120]

ქალის გარდაცვალების შემთხვევაში, დაქვრივებულ ქმარს მისი სულისთვის ზრუნვა ევალებოდა. თუ ახალი დაქორწინებულები იყვნენ და შვილი არ ჰყავდათ, ქალის მზითევი სამ ნაწილად იყოფოდა: ერთი წილი მისი სულისთვის ზრუნვას ხმარდებოდა, მეორე წილი ქმრის ოჯახში რჩებოდა და მესამე წილი ქალის მშობლებს უბრუნდებოდა.[121]

ქვრივი ქალები აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ხშირია მათი საჩივრები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. არზები, ძირითადად, ეხება ქონებრივ დავებს, მევახშეობას, სესხისა და ვალის საქმის მოგვარებასა და გადასახადების შემცირების საკითხს.

[118] Hd-3257, 1797 წლის 11 ნოემბერი; [119] Hd-3257
[120] ვახტანგის სამართალი, მუხ. 224; [121] ვახტანგის სამართალი, მუხ. 224

დასკვნა

1. შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო ტიტულატურას, როგორც სახელმწიფოს პირველი პირისა და უზენაესი ხელისუფლის პოლიტიკური სტატუსის იურიდიულ გამოხატულებას, გენდერული თავისებურებები არ ახასიათებდა. ამ მიზეზის გამო ქალი მეფეები თავიანთ სიგელებში კაცი მეფეების იდენტური ტიტულატურით იყვნენ მოხსენიებულნი. მხოლოდ ერთი განსხვავება არსებობდა - ქალი მეფეები, მათი სქესის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევებში, არა მხოლოდ მეფის, არამედ, დამატებით, დედოფლის ან დედოფალთ დედოფლის ტიტულსაც ატარებდნენ. ამასთან, ქალი მეფის ტიტულების დასახელებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი პოლიტიკური სტატუსის ამსახველ ტიტულს - მეფეს ან მეფეთმეფეს, რომლის ტიტულატურაში შეტანაც სავალდებულო იყო, ხოლო გენდერული კუთვნილების ამსახველი ტიტული - დედოფალი ან დედოფალთ დედოფალი დამატებითი ხასიათის მონაცემად მიიჩნეოდა და მისი ტიტულატურაში შეტანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია მეფე თამარის მიერ გელათის მონასტრისათვის 1187-1188 წლებში და შიომღვიმის მონასტრისათვის 1195-1196 წლებში მიცემული სიგელები, რომლებშიც თამარი სწორედ „მეფედ და დედოფლად“ ან „მეფეთმეფედ და დედოფალთ დედოფლად“ არის მოხსენიებული. რაც შეეხება ქალი მეფის მხოლოდ დედოფლის ან დედოფალთ დედოფლის ტიტულით მოხსენიებას, ასეთი პრაქტიკა მიღებული არ იყო და მსგავსი შემთხვევები ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში არ გვხვდება.

2. შუა საუკუნეების საქართველოში მეფეების სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას სამეფო მონასტრებზე ზრუნვა წარმოადგენდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. სამეფო მონასტრები, რომელთა არსებობაც ჩვენში, ჯერჯერობით, მხოლოდ XII საუკუნის დასაწყისიდან დასტურდება, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შემავალ კორპორაციებს - მონაზონთა თვითმმართველ ავტონომიურ გაერთიანებებს, ე.წ. ბერთა რესპუბლიკებს წარმოადგენდა. ისინი საეკლესიო იერარქების - კათოლიკოსისა და ეპისკოპოსებისაგან, ორგანიზაციულად სრულებით დამოუკიდებელი იყო. მათ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა მეფე, რომელიც ამ მონასტრების უპირველეს მეურვედ და უფლებათა დამცველად ითვლებოდა. საქართველოში სამეფო მონასტრის სტატუსი გელათის, შიომღვიმის, გარეჯის, ვარძიის, კლარჯეთისა და სხვა ცნობილ მონასტრებს ჰქონდათ და ისინი საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში უზარმაზარ როლს თამაშობდა:

- სამეფო მონასტრებში მოქმედებდა სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც აქტიურ მუშაობას ეწეოდა როგორც სასულიერო, ისე საერო სამეცნიერო დისციპლინებში, მათ შორის, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, ასტროლოგიაში, მედიცინაში;

- სამეფო მონასტრებიდან გამოსული სასულიერო პირები ხშირად შედიოდნენ სახელმწიფო სამსახურში და იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს, როგორც მეფის სავაზიროში, ისე ცენტრალური მმართველობის სისტემის სხვა ორგანოებში;

- სამეფო მონასტრები სახელმწიფოსა და ეკლესიის უმაღლეს ხელისუფალთა დაპირისპირების დროს, ტრადიციულად, სამეფო კარის მხარეს იჭერდნენ და საეკლესიო იერარქების მიერ მეფეთა ერთგულების გამო დევნილ პირებს უსაფრთხო თავშესაფარს აძლევდნენ; და სხვ.

დასახელებული მიზეზების გამო, საქართველოს მეფეები ძალისხმევას არ იშურებდნენ სამეფო მონასტრების გასაძლიერებლად და მათ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქალი მეფეები იყვნენ. სწორედ ქალი მეფეების მიერ სამეფო მონასტრების მიმართ გამოჩენილი ზრუნვის ამსახველია მეფე თამარის მიერ გელათისა და შიომღვიმის მონასტრებისათვის მიცემული ორი სიგელი, რომლებიც მოგვითხრობს, რომ თამარმა გელათს სოფელი ჭორვილა, ხოლო შიომღვიმეს ყმა-გლეხები შესწირა.

3. შუა საუკუნეების საქართველოში დედოფლებსა და ქალ ფეოდალებს თავისი პირადი ქონება ჰქონდათ. ამის დადასტურებაა მეფე თამარის მიერ გელათის მონასტრისათვის მიცემული სიგელი, რომელშიც ნათქვამია, რომ დოკუმენტის გაცემამდე გარკვეული დროით ადრე სოფელი ჭორვილა ვინმე კავაისძის ცოლის საკუთრება იყო. გარდა პირადი ქონებისა, დედოფლები და ქალი ფეოდალები პირად ფინანსებსაც ფლობდნენ, რომელთა ოდენობაც იმდენად დიდი იყო, რომ მათ შეეძლოთ თავად, სხვების დაუხმარებლად, მთელი სოფლები შეეძინათ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა დედოფალ თამარ ამანელისძის მიერ გელათის მონასტრისათვის მიცემული 1260-1267 წლების ორი დაწერილი (საბუთი), რომელთა დახმარებითაც ვიგებთ, რომ თამარმა თავისი პირადი ფინანსებით ორი სოფელი - კვახჭირი და ჯიქეფონი შეიძინა. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ქაქანას მიერ ქვათახევის მონასტრისათვის მიცემულ XIII საუკუნის მიწურულის დაწერილშიც, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქაქანამ თავისი პირადი ფინანსებით ქმრის ოჯახისაგან სოფელი ნოსტე გამოისყიდა. ცალკე საუბრის თემაა დედოფლებისა და ქალი ფეოდალების პირადი ქონებისა და ფინანსების წარმომავლობის საკითხი. როგორც ცნობილია, ამ ქონებისა და ფინანსების უმეტესი ნაწილი მათ მფლობელებს მამისეული ოჯახიდან მზითვის სახით ჰქონდათ მიღებული, თუმცა იყო განსხვავებული შემთხვევებიც. სწორედ ასეთ შემთხვევას ვხედავთ ქაქანას დაწერილში, საიდანაც ვიგებთ, რომ ქაქანას სოფელ ნოსტეს გამოსასყიდი თანხა მზითვად კი არ ჰქონდა მიღებული, არამედ თავისი პირადი შრომით, სავარაუდოდ, რაიმე სახის სამეურნეო საქმიანობით ჰქონდა დაგროვებული.

4. შუა საუკუნეების საქართველოში დედოფლებსა და ქალ ფეოდალებს მაღალი სამართლებრივი აზროვნება ჰქონდათ. ამის თვალსაჩინო მაგალითია დედოფალ თამარ ამანელისძის პირველი დაწერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ თამარმა გელათს ფიზიკურად გადასცა არა მხოლოდ თავისი დაწერილი, რომლითაც მონასტერს სოფელი კვახჭირი შესწირა, არამედ ორი სხვა, უფრო ადრეული დოკუმენტიც: 1. სიგელი, რომლითაც მეფე დავით ნარინმა კვახჭირი ბეღე ქობულისძეს უწყალობა; და 2. დაწერილი, რომლითაც ბეღემ კვახჭირი თამარს მიჰყიდა. შედეგად, გელათელი მოწესეების ხელთ აღმოჩნდა ყველა ის დოკუმენტი, რომელთა დახმარებითაც ისინი, საჭიროების შემთხვევაში, კვახჭირის მფლობელობაზე საკუთარი უფლების დაცვას შეძლებდნენ. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ქაქანას დაწერილშიც.

5. შუა საუკუნეების საქართველოში გვარის ტარების უფლებას, როგორც წესი, მხოლოდ ოჯახის უფროსი ფლობდა. ოჯახის სხვა წევრები, მათი ასაკის თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, გვარს არ ატარებდნენ და მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, რომ კონკრეტულ ოჯახს ეკუთვნოდნენ ან/და ამ ოჯახის უფროსის ნათესავები იყვნენ. ამ წესს გენდერული მახასიათებელი არ ჰქონდა და ის თანაბრად ვრცელდებოდა, როგორც კაცებზე, ისე ქალებზე. კერძოდ, ქალი მეფეები, როგორც ოჯახის უფროსები, გვარის ტარების პრეროგატივას ფლობდნენ და ამიტომ ისინი თავიანთ დოკუმენტებში გვარით მოიხსენიებოდნენ. სწორედ ეს ვითარებაა ასახული მეფე თამარის სიგელებში, რომლებშიც თამარი „ბაგრატუნიანის“ გვარით არის მოხსენიებული. რაც შეეხება დედოფლებსა და ქალ ფეოდალებს, მათ, როგორც ოჯახის არაუფროს წევრებს, გვარის ტარების უფლება არ ჰქონდათ და ამიტომ თავიანთ დოკუმენტებში მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, რომ კონკრეტულ ოჯახს ეკუთვნოდნენ და ამ ოჯახის უფროსის ასულები ან ცოლები იყვნენ.

6. ფეოდალურ საზოგადოებაში კაცის და ქალის უფლებებს განსაზღვრავდა მათი სოციალური სტატუსი. ცხადია, დედოფლები გაცილებით დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ, ვიდრე სოციალურად მათზე დაბლა მდგომი პირები. დედოფლის უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება მათი სამართალწარმოების პროცესში ჩართულობა იყო. XVI-XVII საუკუნეებში დედოფალი უფლებამოსილი იყო, სხვადასხვა ტიპის დავების განხილვის შესახებ ბრძანება გაეცა და განსასჯელად გადაეცა კომპეტენტური პირებისთვის (მაგალითად, სახლთუხუცესი, მამასახლისი, სუფრაჯი, მდივანი, ქალაქის მელიქი, მღვდელი და ა.შ.). XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში მნიშვნელოვნად იზრდება დედოფლის სასამართლო ფუნქციები. ერეკლე II-ის მეუღლე, დარეჯან დედოფალი თავად გამოდიოდა მოსამართლედ და მსაჯულის ფუნქციას აღასრულებდა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთადაც. მისი თავმჯდომარეობით სასამართლო საქმეები მდივანბეგთა სასამართლოში ირჩეოდა.

XVIII საუკუნის ისტორიული საბუთების თანახმად, საპროცესო სამართლებრივი უფლებებით სარგებლობდნენ ნებისმიერ სოციალურ საფეხურზე მდგომი ქალები. ქალებს უფლება ჰქონდათ სასამართლოში დაეფიცათ, ეჩივლათ, გამოსულიყვნენ მოწმედ.

7. ქალის სტატუსი და უფლებები შუა საუკუნეებში, ყველაზე მკაფიოდ საოჯახო სამართალში გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ნორმები საყოველთაო იყო და არ ცნობდა სოციალურ და სქესობრივ განსხვავებას. მაგ., იკრძალებოდა ორ ქორწინებაში ერთდროულად ყოფნა. ამ წესის დამრღვევ მეფესაც კი დაუპირისპირდნენ სასულიერო პირები და დემეტრე II-ის სამცოლიანობის გამო გადადგა კათოლიკოს-პატრიარქი. სისხლისმიერ ნათესავსა თუ ოჯახში შესულ წევრზე (რძალზე, სიძეზე) ქორწინება დაუშვებელი იყო, მას „უხვედრი ქორწინება“ ეწოდებოდა. რძლის შერთვის შემთხვევაში, თავადი, აზნაური თუ გლეხი, კაციც და ქალიც ერთნაირად ისჯებოდა. სისხლით ნათესაობის მეხუთე ან უფრო დაბალ ხარისხშიც ხდებოდა ხოლმე ქორწინება, თუ მას საფუძვლად ედო პოლიტიკური სარჩული. მსგავსი შემთხვევები, ძირითადად, მეფე-მთავართა თუ ფეოდალთა საგვარეულოებში ხდებოდა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესიაც დათმობებზე მიდიოდა. ფეოდალთა წრეში, ვინაიდან ქორწინებას პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივები განაპირობებდა, ზოგჯერ მეფე ერეოდა ქვეშევრდომთა დაქორწინების საკითხში.

ასევე, ქორწინება იკრძალებოდა: სულიერ ნათესავებში, თეთრ ან შავ სამღვდელო პირზე (თეთრ სამღვდელოებას, ზოგადად, ქორწინება არ ეკრძალებოდა, თუმცა დაქორწინება უნდა მომხდარიყო სასულიერო პირად ხელდასხმამდე), არაქრისტიანზე, დიდი ასაკობრივი სხვაობის ან ფსიქიკური პრობლემების მქონე პირზე.
8. შუა საუკუნეების საქართველოში განქორწინება საეკლესიო კანონმდებლობის მიერ იყო რეგლამენტირებული, რასაც საერო კანონმდებლობაც იზიარებდა. გარკვეულ შემთხვევებში ეკლესია ნებას რთავდა წყვილს განქორწინებულიყვნენ. მათ შორის, უპირველესი იყო ოჯახური თანაცხოვრების დროს ჩადენილი ღალატი ანუ მრუშობა. საკანონმდებლო კოდექსები განასხვავებდა ვის მიერ იყო ჩადენილი და ვის მიმართ დანაშაული და წოდებრიობის მიხედვით განწესებული იყო შესაბამისი სასჯელები. ქართული სამართლებრივი ნორმები აღიარებდა როგორც ქმრის მიერ ქალის მიტოვებას, ასევე ქალის მიერ ქმრის მიტოვებასაც. განქორწინების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ფსიქიკური დაავადება და ეპილეფსია, იმ შემთხვევაში, თუ ქალს ქორწინებამდეც ჰქონდა მსგავსი პრობლემები, თუ გათხოვების შემდეგ დაეწყებოდა ქმარი ვალდებული იყო მასზე ეზრუნა. ქალის მხრიდან ქმრის მიტოვების საფუძველი იყო ერექციული დისფუნქცია.

9. განსხვავებული უფლებებით სარგებლობდა დაქვრივებული ქალი. ამ უფლებებს განსაზღვრავდა მისი მდგომარეობა: ქმრის ოჯახში რჩებოდა, მეორედ თხოვდებოდა თუ მშობლების სახლში ბრუნდებოდა, შვილიანი იყო თუ უშვილო. სამართლის ძეგლებში ასახული ქვრივის უფლებები, ძირითადად, მის ქონებრივ მდგომარეობას ეხებოდა. ქვრივს უბრუნდებოდა ქმრის ოჯახში „მზითვის“ სახით შეტანილი პირადი ქონება. იგი განკარგავდა გარდაცვლილი ქმრის ქონების ნაწილს, გარკვეულ შემთხვევებში, სრულ ქონებას. ქვრივ ქალს შეეძლო გათხოვილიყო, საქმრო თავისი ნებით აერჩია, მეორე ქმარი მიეყვანა გარდაცვლილი ქმრის მამულში.

სამართლებრივ ნორმებში ზედმიწევნით არის ასახული, თუ რამდენად დინამიკურად იცვლებოდა ქალის სტატუსი და უფლებები შუა საუკუნეების საქართველოში.